# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 15 აგვისტო, 2006 წელი.

№ 157 (5498)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




## ნუ გაყიდით, მოვუაროთ საქართველოს!

## იარაღით წართმეული იარაღითვე უნდა დავიბრუნოთ?

3 გვ.

## სიცხესთან მებრძოლი დამკვრელები და გუნდაობა დეკემბერში...

2 გვ.

## გლეხკაცმა ქვეყანაში სამართალი ვერ იპოვა

5 გვ.

**ლუბოვ ბრეჟნევა:**

## „ბიძაჩემი უბედური კაცი იყო“

13 გვ.

# გიგი – მომავალი თბილისის მერი... და ვინ ხარ შენ?

2




# ხელისუფლება, რევოლუცია და ბიზნესი საქართველოში

8-9




4

# თურმე... ღვთის ნიშანი აქვს სამყაროსთვის ქართულს – ცით მართულს...

# ბალტიის ზღვის მშვენიერი მექოხჩეები

16



◎ ვარაუდი

# თბილისის მერი ამ აგვისტოს ხვატში

## ხახაგამშრალ მოქალაქეებს „ბახმაროს“ წყალს თავისი ხელით უფასოდ ურიგებდა

**თავიდანვე ვიტყვი, რომ ამ წერილში ოპოზიციის მიმართ მტრობა და ღვარძლი სულაც არ მალაპარაკებს, არც ცინიკური ნიშნისმოგება მაქვს განზრახული და არც ხელისუფლების მეხოტბეობა.**

პირიქით, ვისაც თქვენი მონა-მორჩილის თუნდაც ერთი წერილი მაინც წაუკითხავს ჩვენს თუ სხვა გაზეთში, სააკაშვილისა და მისი ნუცას სკოლის მიმართ ჩემი დამოკიდებულება კარგად მოეხსენება, მაგრამ სიტუაცია ისეთია, სირაქლემასავით თავის ქვიშაში დამალვა არ შეიძლება.

ქართული ოპოზიციური სპექტრი უთავბოლო და ვიწრო ინტერესებს გამოკიდებული რომ არის, ამ დღეებში კიდევ ერთხელ დამტკიცდა.

არადა, რამდენიმე თვის წინათ პროცესები იმედისმომცემად წარიმართა — დაქსაქსულმა და ერთმანეთში ძაღლი-კატასავით შეუთავსებელმა ოპოზიციურმა პარტიებმა გაერთიანება დაიწყეს და ქვეყნისთვის კრიტიკულ რამდენიმე მომენტში ერთ მუშტადაც შეიკვრნენ. თუმცა ეს ერთობა მაინცდამაინც მონოლითური არც თავიდანვე ჩანდა და ბევრმა მაშინვე თქვა: ეს ქვეყნის ინტერესების გამო კი არა, ხელისუფლების სიძულვილით გაერთიანებული ოპოზიცია არისო.

რამდენიმე ოპოზიციონერმა და პოლიტოლოგმა ამას პირადი საუბრებისას ხაზი დაბეჯითებით გაუსვა.

ოპოზიციამ ბევრი იხმაურა, როგორც იტყვიან, ქოში უკულმა ჰყარა და ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერს რომ უნდა გადავლებოდა, სწორედ მაშინ მიწაზე მოადინა ზღართანი.

თბილისის მერობის კანდიდატთან დაკავშირებით ერთიანი პირის მოშლას ვგულისხმობ.

ძლივს ერთად შეკუჩებული ოპოზიცია თავიდანვე სალომე ზურაბიშვილმა დაალალატა, რომელმაც, სხვათა შორის, ფსევდო-ოპოზიციონერის ნიღაბი თავისივე ხელით ჩამოიგლიჯა და დაამტკიცა, რომ ხელისუფლებასთან მისი დაპირისპირება და იპოდრომზე მრავალი ათასი ადამიანის წინ ხმამაღალი ანტისახელისუფლებო განცხადებები ოდენ პოზა იყო და სხვა არაფერი.

სამაგიეროდ ზურაბიშვილმა ხელისუფლებასთან ერთად ოპოზიციაც „ქაჯებად“ მონათლა და აწ უკვე ნიკა ტაბატაძის „თავისუფალ თემაში“ ისეთები ილაპარაკა, მთელი საქართველო სახტად დატოვა.

მიუხედავად ამისა, ოპოზიციას საკმაო დრო ჰქონდა საბოლოო კონდიციამდე მისასვლელად და მერობის ხელისუფლებისეული კანდიდატისთვის ერთიანი ალტერნატივის დასაპირისპირებლად, მაგრამ ეს კი არა, თითქოს ქარმა წამოუქროლაო, ისე დაიშალა ოპოზიციონერთა ერთიანი გუნდი, და თუ აქამდე არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდნენ, ახლა ზოგიერთი პარტია თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ისევ აპირებს.

არ ვიცი, რა მიზნით.

შესაძლოა ოპოზიციამ ქართველ ოლიმპიელთა დევიზი აირჩია, მთავარია მონაწილეობა და არა შედეგიო.

არადა, ადრე სხვა სიმღერას მღეროდნენ. თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება უგულავას მერობის დეკლარირებას ნიშნავსო. ახლა კი... გამოდის, რომ ოპოზიცია უგულავას „სატოპკეს უწევს?“

სხვანაირად თავად იმ ოპოზიციურმა პარტიებმაც საკუთარი ხუთი თითივით იციან, რომ არჩევნებში გამარჯვების იოტისოდენა შანსი არა აქვთ. ის კი არა, ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა არჩევნებში თვით გაერთიანებულად მონაწილეობის შემთხვევაშიც კი გაუჭირდებოდა ოპოზიციას, თუმცა შანსი რაღა თქმა უნდა, ექნებოდა.

გაუჭირდებოდა, იმიტომ კი არა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ბაჯაღლო ოქროა და ხალხის გულები დაპყრობილი აქვს, უბრალოდ იმიტომ რომ თვით ასეთი ხელისუფლების პირისპირაც კი ოპოზიცია ძალზე სუსტი ჩანს. აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ოპოზიციური სპექტრის ამგვარი სისუსტე მხოლოდ დიქტატორული რეჟიმის პირობებშია ნიშანდობლივი.

ასე თუ ისე, ოპოზიცია თვითმმართველობის კარსმომდგარ არჩევნებს ისევ დაქსაქსული ხვდება და ხელისუფლებას ვერც ერთიან, რეალურად საპირწონე კანდიდატს უპირისპირებს.

ამასობაში კი უგულავა „გულაობს“. თბილისის ახლანდელი მერი, მომავალ არჩევნებში მერობის სახელისუფლო და, სამწუხაროდ, რეალურად უალტერნატივო კანდიდატია.

დღიდან მისი მერად დანიშვნისა დღემდე, უგულავას მთელი საქმიანობა წინასაარჩევნო კამპანიის აქტივში ეთვლება და მიუხედავად მისი პერსონისადმი საზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა, ხელმეორედ მერად გახდომის სავსებით რეალური შანსიც აქვს.

უგულავას სასარგებლოდ რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს: უწინარესად, ეს არის სახელისუფლებო მანქანა, რომელიც თავის კანდიდატს დაშვებული და აკრძალული ხერხებით, რადაც არ უნდა დაუჯდეს, არჩევნებში გაამარჯვებინებს, პლუს ამას განათებული თბილისი, დაგებული ასფალტი, შადრევნები, თავზრუდამხვევად გაპიარებული მეეზოვის ინსტიტუტის აღდგენა და საზაფხულოდ დასაქმებული რამდენიმე ათასი სტუდენტის ხმა.

სხვათა შორის, დასაქმებულ სტუდენტებზე ერთი ამბავი გამახსენდა. უნივერსიტეტში აქციისას ნაცნობმა რესპონდენტმა მითხრა: ჩემს მეზობელს, ისე უჭირს, 1 ლარი მილიონია მისთვის. ამ ზაფხულს სტუდენტურ სამუშაოებში მისი შვილი მონაწილეობდა და ახლა უგულავაზე გადაბრუნებული სიტყვა რომ უთხრა, თავზე დაგამხობს ყველაფერსო.

დასკვნა თავად გამოიტანეთ.

ამ პაპანაქება სიცხეში თბილისელებს დიდად წაადგათ საფრანგეთიდან 700 ათას დოლარად ჩამოტანილი და ფილარმონიის წინ ზარზეიმით გახსნილი მოცეკვავე შადრევანი.

ესეც უგულავას მიეწერება.

გარდა ამისა, თბილისის მერი ამ აგვისტოს ხვატში ხახაგამშრალ მოქალაქეებს „ბახმაროს“ წყალს თავისი ხელით უფასოდ ურიგებდა.

ესეც ერთი პლუსი გიგის.

არის ვინმე ამ კაცის მომგები არჩევნებში?

**ჯაბა ხუბუა**

◎ ინფორმაცია

## გვალვამ მოსავალი დააზიანა

**ცხელმა ამინდებმა კახეთის რაიონები მეტნაკლებად დააზარალა. ეს განსაკუთრებით იმ რაიონებს შეეხო, სადაც სარწყავი წყლის პრობლემაა.**

სარწყავი წყლის არარსებობის გამო ყველაზე მეტად დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონები დაზარალდა.

სიღნაღის რაიონის გამგებლის ბერდი ასანიშვილის თქმით, გაფუჭებული იყო ალაზნის სარწყავი არხის 500-მეტრიანი ზოლი და მოსახლეობისათვის წყლის მიწოდება ჭირდა.

გვალვის შედეგად ყველაზე მეტად ბოსტნეულის მოსავალი დაზიანდა. ვარაუდობენ, რომ წლეულს ბოსტნეულის მოსავალი სიღნაღში 30 პროცენტით დაიკლებს.

დედოფლისწყაროში სარწყავი წყლის საქაჩი სადგური იყო გაფუჭებული, რომელიც რამდენიმე დღის წინათ შეკეთდა, — უთხრა „მედიანიუსს“ დედოფლისწყაროს რაიონის გამგებელმა გელა იაკობაშვილმა.

ამ რაიონში გვალვებმა მზესუმზირის ველებზე იმოქმედა. წლეულს დიდი სიცხეების გამო მზესუმზირის მოსავალი ნაადრევად მოვიდა, რამაც მის რაოდენობაზე ცუდად იქონია გავლენა. ერთ ჰექტარზე უნდა მოსულიყო 800-900 კგ მზესუმზირა, მოვიდა 500-600 კგ.



◎ არჩევნები

# სიცხესთან მებრძოლი დამკვრელები და გუნდაობა დეკემბერში...

**აგვისტოს ხვატიც კი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. სიცხის წინააღმდეგ „დამკვრელურ ბრიგადებს“ თავად დედაქალაქის მერი ჩასდგომია სათავეში და სასმელ წყალთან ერთად თანამოქალაქეებისთვის ჩვეულ ღიმილსაც არ იშურებს. პაპანაქება სიცხეში ეს „დამკვრელები“ ადუღებულ ასფალტს წყალსაც ასხამენ, თითქოსდა, დიდი შეღავათი მოეცემათ ამით თბილისელებს. პირიქით, ცხელი ოხშივარი უფრო მატულობს...**

მაგრამ რას ვიზამთ, როცა პიარი ჩვენი ხელისუფლების, არსებითი მიზნად ქცეულა. ხელისუფლება თავის პრეზიდენტიანად ყველაფერს აკეთებს, რათა ხალხისთვის თავდადებულისა და მზრუნველის იმიჯი შეიქმნას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კოდორის აყვავება და ბაღნარად ქცევა ამ პიარის ერთი შემადგენელი ნაწილია. წლეულს ხომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ამხეობაშიც უნდა გაიმართოს. გორში გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა შეაქო კოდორში გზის მშენებლები და თქვა: „ამ გზას ბოლომდე მივიყვანთ, საქართველოს საზღვრებამდე ჩვენ ყველანი ერთად ჩავალთ. ის ხალხი, ვინც ამ გზას აშენებს, ჩვენი ერთიანი ფერხულის, ჩვენი ერთიანი ახალი მოძრაობის მონაწილეები არიან“.

ცოტა გაუგებარია, რას გულისხმობს „ერთიანი ახალი მოძრაობა“, მართლა რაიმე მოძრაობის შექმნას თუ პიარისთვის გამოგონილ სიტყვის კონას?

პოლიტოლოგების აზრით, დღევანდელ საინფორმაციო პირობებში ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, უკვე დაიწყო საარჩევნო კამპანია. ამაში ტელევიზიას მშვენივრად იყენებენ, რაც, ბუნებრივია, ხელისუფლების სასარგებლოდ მოქმედებს. თანაც არადემოკრატიული საარჩევნო კანონიც ხელისუფლების გამარჯვების გარანტიას ქმნის.

რამაზ საყვარელიძე ფიქრობს, რომ ასეთ პირობებში ოპოზიციას გამარჯვების ძალზე მცირე შანსი რჩება, თუმცა ის მართებულად იქცევა, რომ შანსის სიმცირე ბოიკოტირების საბაბად არ მიაჩნია, „ჯერ ერთი, ხმალი ბრძოლაში უნდა გაილესოს და გამოიწრთოს, თანაც, მრავალი მოვლენა, რაც ამ არჩევნებს მოჰყვება, შემდეგ უკვე პოლიტიკური ბრძოლის საბაბად იქცევა. როგორც „ვარდების რევოლუციის“ საფუძველი სწორედ არჩევნების დროს მომხდარი მოვლენები გახდა“, — ასკვნის პოლიტოლოგი.

შეკითხვაზე, რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ მაინცდამაინც დეკემბერში არჩევნების ჩატარება, რამაზ საყვარელიძის აზრით, ქვეყანაში, სადაც კანონი ალმართს ხნავს, არც ეს ფაქტი უნდა გაგვიკვირდეს. „ოპოზიციის წარმომადგენელმა რეპლიკის სახით თქვა, არჩევნების ზამთარში დანიშვნა ხელისუფლებამ იმიტომ გადაწყვიტა, რომ მერე ავტობუსებით მიიყვანონ საარჩევნო ყუთებამდე ისინი, ვინც მათ ხელს აძლევთო. არა მგონია, ეს ვერსია მართებული იყოს. ხელისუფლებამ მაქსიმალურად გვიანი დრო აირჩია, რათა მათმა წარმომადგენლებმა ამომრჩევლის გულის მოგება მოასწრონ. ანუ ქალაქსა თუ სოფლად მაქსიმალური გააკეთონ, რაც მერე მათ გამარჯვების გარანტიას მისცემთ არჩევნებში“.

რამაზ საყვარელიძე ფიქრობს, რომ ხელისუფლებას არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსი აქვს, განსაკუთრებით — რეგიონებში, სადაც ფიქრობენ, რომ თუ რეგიონებმა სახელისუფლებო ძალის წარმომადგენელს მხარი დაუჭირეს, მერე მისი დეპუტატები უფრო ადვილად მიიღებენ იმას, რაც ხელისუფლებისგან სურთ.

ასე რომ, არჩევნებამდე შემოდგომაა გასავლელი. ოპოზიციურმა პარტიებმა ხელისუფლებას ცხელი შემოდგომა უწინასწარმეტყველეს. იმედია, ეს დაძაბულობა დეკემბერში საარჩევნო ყუთებთან გადაინაცვლებს და როგორც რამაზ საყვარელიძემ იხუმრა, პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს გუნდაობით დაუპირისპირდებიან და უფრო სერიოზულ იარაღს არ გამოიყენებენ.

ჩვენც ჯერჯერობით ამ იმედს ვიტოვებთ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ინფორმაცია

## მესაზღვრეებმა ძებნილი დააკავეს

**თბილისის აეროპორტში რეისზე „თელ-ავივი-თბილისი“, სასაზღვრო საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, მესაზღვრეებმა შსს-ს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს.**

**იგი შემდგომი რეაგირებისათვის შსს-ს ისან-სამგორის რაიონულ განყოფილებას გადაეცა.**

## დიდი ოდენობის კონტრაბანდა

**ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის პირველი ოპერატიულ-საგამოძიებო სამმართველოს მუშაკებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობის კონტრაბანდის ფაქტი გამოავლინეს.**

**საქმე ეხება შპს „ბაქტრიონის“ ხელმძღვანელობას. აღნიშნულმა ფირმამ ბელორუსიაში გააგზავნა 28 000 ლიტრი საკონიაკე სპირტი, რომელიც გაურკვეველი მიზეზების გამო შემდგომ უკან დაბრუნდა და მოექცა საბაჟო საწყობის რეჟიმში. 2006 წლის 27 ივნისს შპს „ბაქტრიონის“ წარმომადგენლებმა საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანის გზით ტვირთი გააფორმეს რეიმპორტის რეჟიმით და შეძლეს საბაჟო საწყობიდან გამოტანა, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენეს 100 ათასი ლარის ოდენობის ზიანი.**

**აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ფინანსურ პოლიციაში წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით (საბაჟო წესის დარღვევა) მიმდინარეობს. არ არის გამორიცხული დანაშაულის ჩადენაში სხვა ხელშემწყობი პირების გამოვლენა და მათზე კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.**

**მედიანიუსი**

## ხანძარი წვიმამ ჩააქრო?..



**გორი-ქვახვრელის გზის შორიახლო კვერნაქის მთაზე წიწვოვან ტყეს ღამით ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზით, ცეცხლი გაუჩნდა. შემთხვევის ადგილზე მობილიზებულმა გორის სახანძრო რაზმის მანქანებმა ვერაფერი მოუხერხეს ხანძარს, რომელიც ადამიანისთვის ძნელად მისასვლელ ადგილებში მძვინვარებდა. მთელი ღამე ქროდა ხორშაკი, ცეცხლი კი ძლიერდებოდა და ტყის ახალ-ახალ მასივებს ედებოდა.**

**ამასთან დაკავშირებით ასეთი ცნობა მიაწოდა თავის მსმენელებს რადიო „იმედმა“: გათენებისას, როდესაც მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, მეხანძრეებთან მოვიდა სამთავისისა და გორის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე ანდრია. მან ხანძრის ადგილზე ლოცვა აღავლინა. შედეგმაც არ დააყოვნა: მოვიდა წვიმა და ხანძარი ჩაქრა.**

**გურამ პავლიაშვილი,**
„სრ“ საკ. კორ.

ფიქრები

# იარაღით წართმეული იარაღითვე უნდა დავიბრუნოთ?

## 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში ომი ატყდა

**მას დათო ერქვა და ჩემთვის ყველაზე საყვარელი, ყველაზე ლამაზი ადამიანი იყო ამქვეყნად. ძმა არა მყავს და ძმის სანაცვლო შენ ხარ მეთქი, ხშირად მითქვამს.**

აფხაზეთის ომში ისე წავიდა, ბევრი არ უფიქრია. წავიდა და უკან ვეღარ დაბრუნდა: ამხანაგს გადაეფარა, სხვის ნაცვლად დაცხრილა სნაიპერის ტყვიამ!

თუ დამიჯერებთ, მის შემდეგ მეგობარი („ძმაკაცს" რომ ეძახიანძ ალარ მყოლია: ვერ ვუღალატე დათო ჭავჭანიძის ხსოვნას...

ძალზე ხშირად ვფიქრობ – რამდენი მისი მსგავსი, 19-20 წლის ბიჭი შეეწირა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებს, როგორ მოაკლდნენ საქართველოს ეს ერთგული, გარეგნულად და სულიერად ლამაზი ადამიანები!

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს წართმევით ჩვენმა დიდმა მეზობელმა ოსტატურად დაგვიგო ხაფანგი. საქართველოში სკოლის მოსწავლეებმაც კი იციან, რომ ამ პრობლემის გასაღები რუსეთშია, წართმეული მიწების დაბრუნება კი საერთაშორისო თანამეგობრობისა და ისევ რუსეთის ჩარევით უნდა მოხდეს.

– იარაღით წართმეული იარაღითვე უნდა დავიბრუნოთ, – ამტკიცებს ზოგიერთი. თუმცა ამ საკითხში საზოგადოებრიობის აზრი არაერთგვაროვანია.

– რა შეიარაღება უნდა ჰქონდეს საქართველოს ისეთი, რომ რუსულ სამხედრო ძალას დაუპირისპირდეს? – კითხულობს ბევრი.

შექმნილ სიტუაციაში განცხადებები იმის შესახებ, ახალ წელს ცხინვალში უნდა შევხვდეთო, ნაჩქარევი და უპასუხისმგებლოა – თავს იქნევენ სხვები.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე იმყოფება: გაეროს შესაბამისი სამსახურის ცნობით, საქართველოში მოსახლეობის წლიური კლება 1,07 პროცენტს უტოლდება.



ჩვენს ქვეყანაში, 1991 წლის შემდეგ, ქართველთა რიცხვი სულ ცოტა მილიონით შემცირდა.

არნახული მასშტაბები მიიღო ემიგრაციამ: ბოლო მონაცემებით ქვეყნიდან გამსვლელთა ყოველწლიური რაოდენობა 27 ათასს უტოლდება. მიდიან უმეტესად ახალგაზრდები. ისინი გაურბიან უმუშევრობას, მუდმივ გასაჭირს... წარმოიდგინეთ, მათგან რამდენი დაბრუნდება უკან, სამშობლოში, სადაც მომავლის შიშით ოჯახების შექმნაც კი ვერ გაბედეს. სახელმწიფო ვერ უქმნის ქართველ მოქალაქეებს საიმისო პირობებს, რომ ისინი აქ თავს ღირსეულ ადამიანებად გრძნობდნენ და 1-2 შვილზე მეტს აჩენდნენ.

გავიხსენოთ, რამდენი ოჯახი დაიქცა, რამდენი ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებმა, შედეგად კი რა მივიღეთ?!

გავიხსენოთ და მივხვდებით: გზა ერთადერთია – მშვიდობიანი. იმიტომ, რომ ყველაზე ძლიერ ქვეყნებსაც წელში ტეხავს ომით გამოწვეული ზარალი. იმათ, ვინც აცხადებს, იარაღით წართმეული იარაღითვე უნდა დავიბრუნოთო, სერიოზული დაფიქრება მართებთ. ეს ჩემი აზრი არ არის, ეს ქართული საზოგადოების ყველაზე გამოცდილი, დაბრძენებული, ინტელექტუალური ნაწილის აზრია...

საჭიროა სიბრძნით შეზავებული სიყვარული, რომ ქვეყანა დღეს მის წინაშე არსებულ პრობლემებს მოერიოს – არც ეს არის ჩემი მოგონილი.

ჩვენი დიპლომატები, საუკუნეთა მანძილზე ათასგვარ ხერხსა და საშუალებას იყენებდნენ საიმისოდ, რომ ქვეყანა დაღუპვისგან ეხსნათ, თორემ არც ერთ ღირსეულ ქართველ მეფეს არ სიამოვნებდა თავისი შვილების ბიზანტიის კეისრების ან ირანის შაჰების კარზე აღზრდა, რჩეული ქალიშვილებით მუსლიმანური მმართველების ჰარამხანების შევსება, ევროპის სამეფოთა კარდაკარ თხოვნით სიარული, რუსეთის იმპერატორთა სამსახური და დამამცირებელი ქედმოდრეკილობა.

ყოველივე ამას ჩვენი წინაპრები სიყვარულის ძალით ახერხებდნენ – სიბრძნით შეზავებული სიყვარულის ძალით!

ღმერთმა მოგვმადლოს ამგვარი სიყვარული და ჩვენ ყოველგვარ განსაცდელს დავძლევთ, ყველა ქარტეხილს გადავურჩებით!

**ხათუნა ჩიგოგიძე**

ინფორმაცია

### გალში ეკლესია აშენდება

**გალის რაიონის გამგებლის ბადრი ბულესკირიას ინფორმაციით, საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით გალში, რუსთაველის ქუჩაზე, მართლმადიდებლური ეკლესია აშენდება.**

**მშენებლობას ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, მეუფე დანიელი უხელმძღვანელებს.**

**ეკლესია შემოწირული თანხებით აშენდება.**

**მედიანიუსი**

### ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება

**ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის აჭარის რეგიონული I ტური ხელვაჩაურში გაიმართება.**

**დათვალიერებაში მონაწილეობენ: ბათუმის, ქობულეთის, ქედის, ხელვაჩაურის, ხულოსა და შუახევის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, ინდივიდუარული შემსრულებლები, საოჯახო ანსამბლები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები და სახალხო მთქმელი.**

**როგორც ინტერპრესნიუსს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრიდან აცნობეს, ფესტივალის მიმდინარეობის დროს იმუშავებს კომპეტენტური ჟიური, რომელიც ლაურეატებს თბილისის დასკვნითი საღამოსთვის გამოავლენს. ჟიური ანონიმურია და დაკომპლექტებულია ფოლკლორის სხვადასხვა დარგის ცნობილი სპეციალისტებით.**

**საქართველოს ფოკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალი თანდათან ფინალს უახლოვდება. დღეისათვის I ტური ჩატარებულია საქართველოს 12, ხოლო II ტური – 9 რეგიონში.**

### გასტროლები მილანში

**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული ცეკვის ანსამბლი „უნივერსიტეტი" მილანში გაემგზავრა.**

**ანსამბლი მილანის ცეკვის საერთაშორისო ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. „უნივერსიტეტი" მაყურებელს მრავალფეროვან პროგრამას წარუდგენს. მათ შორის ქორეოგრაფიულ დადგმას – „მლეთური" და ეროვნულ ცეკვებს: „ფერხული", „ხორუმი", „აჭარული" და სხვა.**

**უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი 1923 წელს დაარსდა. მას შემდეგ არაერთ საერთაშორისო ფესტივალსა და კონკურსში მიუღია მონაწილეობა.**

**ინტერპრესნიუსი**

წერილი რედაქციას

### 3000 ლარი... სიკვდილში!

***ჩემი ახლობელი, ახალგაზრდა კაცი, ამ დღეეში თბილისის ნეიროქირურგიის ინსტიტუტში დავაწვინეთ. თავის ტვინზე ოპერაცია ნეიროქირურგმა გიორგი მაღალაშვილმა გაუკეთა. მან ავადმყოფს პირობა მისცა, რომ ოპერაციის შემდეგ 10-15 წელიწადს კიდევ იცოცხლებდა. 45 წლის მამაკაცის ოჯახმა ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ ოპერაციაში მოთხოვნილი თანხა – 3000 ლარი შეეგროვებინა და წინასწარ გადაეხადა. მაგრამ პაციენტმა, სამწუხაროდ, ოპერაციის შემდეგ 15 საათსაც ვერ იცოცხლა...***

***გამოდის, რომ გაჭირვებულმა ოჯახმა 3000 ლარი გადაიხადა... სიკვდილში!***

***მაგრამ, რაც ამის შემდეგ მოხდა, ის უფრო არაადამიანური და აღმაშფოთებელია.***

***ოპერაციის შემდგომი დღეები შაბათ-კვირას დაემთხვა. ავადმყოფი მომაკვდავი იწვა. მისმა ახლობლებმა კი მაღალაშვილის კვალს ვერსად მივაგენით – გაქრა! მობილური ტელეფონიც გათიშული ჰქონდა. ამ დროს კი, მოგეხსენებათ, კვალიფიციური სპეციალისტის ახსნა-განმარტება როგორ დაამშვიდებს ხოლმე გაურკვევლობაში ჩავარდნილ ჭირისუფლებს.***

***ყოველმხრივ დაზარალებულ ჭირისუფალს გარდაცვლილის რაიონში გადასასვენებლად საავადმყოფომ მანქანაც კი არ გამოუყო. გამწარებული ოჯახის წევრები ქუჩაში გამოვიდნენ და იქ ეძებდნენ ტრანსპორტს. გზის ფულიც თვითონ გადაიხადეს.***

***ვფიქრობ, ასეთი უსულგულო დამოკიდებულება პაციენტის მიმართ შეუწყნარებელია. ცხადია, შედეგზე პასუხისმგებლობა მაღალაშვილმა აირიდა და მომხდარზე პასუხის გაცემაც კი არ იკადრა. ნამდვილი ექიმები ასე არ იქცევიან.***

**ანა შელია**

მხარე

# „...მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა"

## გორელი სტუდენტები თავიანთ ქალაქზე ზრუნავენ

**პრეზიდენტის პროგრამამ – დავასუფთაოთ და გავაკოხტაოთ მშობლიური ქალაქები და დაბები, ფართო გამოძახილი ჰპოვა გორელ ახალგაზრდებში. ამ დღეებში ქალაქის გამგეობას ასობით სტუდენტმა მიმართა და შრომით ბრიგადებში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა.**

400-ზე მეტი სტუდენტი, ისინი, ვინც ზაფხულის არდადეგების პერიოდში ქალაქში დარჩა, სამუშაო ტანსაცმელში გამოეწყო და ორი კვირის მანძილზე ხალისით შრომობდა ქუჩებისა და მოედნების დასუფთავებაზე, ფასადების შეღებვაზე. ბარი, ნიჩაბი, ფოცხი, ფუნჯი, საღებავი, ვინ იცის, კიდევ რა არ იყო მათი შრომის არსენალში. იზარებოდა სკვერები, იკრიჭებოდა გაზონები, ითიბებოდა და გროვდებოდა ბალახი და სამშენებლო ნარჩენები. შემდეგ მოდიოდნენ სპეცავტომანქანები და ეს ყველაფერი ქალაქიდან გაჰქონდათ. არ დარჩა ქალაქში ქუჩა და მოედანი, ხიდი, მოაჯირი თუ ბორდიური, სტუდენტების ხელი რომ არ შეხებოდეს. ათობით ახალგაზრდა დადგა სკოლების ხარაჩოებზე, სხვები კი ქალაქის გამწვანების მეურნეობაში ნერგების გამოყვანაზე შრომობდნენ.

გორელ ახალგაზრდებთან სტუმრად იყვნენ და ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში მათთან ერთად შრომობდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი არველაძე, პარლამენტის ვიცე სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, მხარის გუბერნატორი მიხეილ ქარელი და სხვები.

ქალაქის დასუფთავება-გალამაზების პროგრამა დასრულდა. შესრულებული სამუშაოებისთვის სტუდენტები კუთვნილ ხელფასებს მიიღებენ. შაბათ საღამოს მათს საპატივცემულოდ ქალაქის მთავარ მოედანზე გაიმართა დიდი კონცერტი. იქ შეკრებილი ასობით ადამიანის წინაშე საინტერესო პროგრამით წარსდა ამ დღეებში დამთავრებული იურმალას ფესტივალის ერთ-ერთი გამარჯვებული სოფიკო ხალვაში. გორელი ახალგაზრდების ზეიმში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ" საკ. კორ.**

**სურათებზე: გორელები თავიანთი ქალაქის დასუფთავებაზე.**





**როცა სხვის მაგივრად ვწითლდებით**

# თურმე... ღვთის ნიშანი აქვს სამყაროსთვის ქართულს – ცით მართულს...

**ფენომენი**

## ანუ უიშვიათესი ამბავი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თანათავმჯდომარის გიორგი ქორქოლიანის ცხოვრებაში ფსიქოგრაფიის, ესე იგი „ავტომატური წერილის“ უიშვიათესი ფაქტისა

სულ ტყუილად არის ნათქვამი, თვალებს არ ვუჯერებდიო, ანდა, ყურებს არ ვუჯერებდიო. კაცი თვითონ გვიყვება, თანაც ისტორიკოსი, იურისტი, 1984 წლიდან არაერთ გაზეთსა თუ ტელევიზიაში ნამუშევარი ჟურნალისტი, კავშირის თანათავმჯდომარე, და რა უფლება გვაქვს, ან თვალებს არ დავუჯეროთ, ან ყურებს. მით უმეტეს, ბატონი გიორგი ქორქოლიანის ამ მართლაც უიშვიათეს ეზოტერიკულ ხილვას (სიზმარში არ აგერიოთ!ძ ისეთი ჟურნალი აქვეყნებს, როგორიც „ფენომენია“ (სამეცნიერო-პოპულარული გამოცემა შეუცნობელზე, ამოუხსნელზე, იდუმალზე...)

ეს ფრიად სენსაციური ამბავი ჟურნალს ყდაზეც აქვს გამოტანილი... საქართველოში ფსიქოგრაფიის უნიკალური ფაქტი დაფიქსირდაო, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თანათავმჯდომარემ გიორგი ქორქოლიანმა „შექმნა“ ფსიქოგრაფიული ლექსი, რომელსაც, ჩვენი აზრით, ყველა ქართველი უნდა გაეცნოსო... ალბათ, ამიტომაც არის, რომ ამ ინტერვიუს გიორგი ქორქოლიანთან და თვითონ „ავტომატურ წერილს“, ანუ თავად უფლისაგან ნაკარნახევ ლექსად გაწყობილ „მიმართვა-გაფრთხილებას ქართველი ერისადმი და გარკვეული დოზით წმინდა წინასწარმეტყველებასაც“ დიდი ომიანობისთვის დამახასიათებელი სამძახილნიშნიანი მოწოდება აზის რუბრიკად: „ისმინოს ყველამ!!!“

ვისმინოთ, ბატონო, ვინ არის წინააღმდეგი?!? სხვა არა იყოს რა, თურმე თვითონ უფალი იესო ქრისტე გვაფრთხილებს ჩვენი კავშირის თანათავმჯდომარის ენა-პირით: ქართველებო, ფრთხილად იყავითო, და მთელი ტექსტის მიხედვით ისე გამოდის, – თორემ დედა გეტირებათო. ახლახან ეს გამაფრთხილებელი სიტყვები აკი ჩვენმა პრეზიდენტმაც გაიმეორა. ჩანს, აქაც რაღაც იდუმალ კავშირთანა გვაქვს საქმე, რაც აშკარად ცალკე კვლევის საგანია. ახლა კი თვითონ ქორქოლიანს მოვუსმინოთ (როგორც თავშივე აღვნიშნე, თვალებსაც დაუჯერეთ და ყურებსაცძ: „...იყო ჩვეულებრივი დღე, სამსახური, შეხვედრები, საუბრები. უბრალოდ შინ რომ გადაღლილი დავბრუნდი, შედარებით გვიანი იყო. (როგორც ჩანს, ჟურნალისტთა კავშირი ჩვენს ჩუმად დიდ საქმეებს აკეთებს!.. გ. წ.ძ სახლში მარტო მე და მეუღლე ვიყავით. მსუბუქად ვივახშმეთ. მერე ცოტა ხანს ტელევიზორს ვუყურე და დავწექი. ეს იყო 2005 წლის 19 აგვისტო.

გარკვევით მახსოვს, ვარ ძილბურანში. ჩემ წინ გაჩნდა სამი ფერი – ყვითელი, მწვანე და წითელი. გონებაში განსაკუთრებულად წითელი ფერი აღიბეჭდა. ახლა რომ ვუფიქრდები, წითლისადმი ასეთი მძაფრი დამოკიდებულება, ეტყობა, იმას ნიშნავდა, რომ რაღაც სხვა განზომილებაში გადავდიოდი...“ და მართლაც მყისიერად კუნაპეტი ღამეჩამოწვა და, მოკლედ, ეს ჩვენი თანათავმჯდომარე დიდ მოლიან ველზე გავიდა, (თვითონ რომ სხვა განზომილება ეგონა), სადაც „ირგვლივ უდიდესი შუქოსნობა სუფევდა“. მერე იგრძნო, რომ უსწრაფესი გადაადგილება დაიწყო. დიდი სივრცე წამში გაილია, მივიდა ველის საზღვარზე, სადაც მომცრო ღელე ჩამოდიოდა. ღელის იქითა მხარეს რამდენიმე თალოვანი ხიდი შენიშნა. ყველას ორმხრივი მოაჯირი ჰქონდა, ხიდებთან უამრავი ადამიანი ირეოდა. ბევრი შევიცანი, მაგრამ ამაზე ახლა არ ვისაუბრებო, აცხადებს ბატონი გიორგი.

მარტო ის დამიკონკრეტეთ, ნაცნობებში ისტორიული სახეები იყვნენ თუ მხოლოდ ნაცნობებიო, – ეკითხება ინტერვიუერი.

ორივე კატეგორია იყოო, მაგრამ ეს საკრალური საკითხია და ნება მომეცით, ახლა არ დავაკონკრეტოო, უპასუხებს ბატონი გიორგი.

ერთი სიტყვით, სხვები ვერ გადადიოდნენ, მაგრამ ჩვენი თანათავმჯდომარე დაუბრკოლებლად მივიდა ხიდთან (რასაკვირველია, ერთ-ერთთანძ და „ბოგირზე ფეხი შედგა“ თუ არა, თავისუფლად წავიდა წინ (ხიდთან მივიდა და ბოგირზე შედგა ფეხი!ძ. რაღა ბევრი გავაგრძელო, ბატონი გიორგი, ხიდზე გადავიდა. გადასვლა და „დიადისა და ამაღლებულის შეგრძნების გაჩენა“ ერთი იყო. თანაც „ხარისხი ამ შეგრძნებისა მით უფრო იზრდებოდა“, რაც უფრო უახლოვდებოდა ღელის იქითა მხარეს, სადაც „ღრუბლის თეთრ, ქათქათა ქულებში გახვეული სიმაღლე წამოიზარდა. იგი მყინვარივით შორსაც იყო და ახლოსაც“, და უცებ ამ სიმაღლე-გორაკიდან რაღაც დიდი სიკაშკაშე დაიძრა ბატონი გიორგისკენ. „იცით, როგორი სიკაშკაშე იყო? დაახლოებით ისეთი, როცა ადამიანი უყურებ ელექტროშედუღების პროცესს, თუმცა ამ პროცესის ყურებისას ტკივილს გრძნობ თვალების არეში. აქ კი სიკაშკაშე ბევრად ძლიერი იყო, მაგრამ იგი საოცარ სიამოვნებას მგვრიდა და გონებას უჯრედ-უჯრედ მინათებდა“ (ეს გონების უჯრედ-უჯრედ განათება, სამწუხაროდ, ამ ინტერვიუს არ ეტყობა). და გამოიკვეთა უფლის დიდებული სახე. „ეცვა ხამლი. ხელში ჯოხი ეჭირა. გვერდით კი კრავი იდგა... დამიწყო საუბარი. მახსოვს, რომ ბევრი რამ მითხრა, მაგრამ სამი რამ მკაფიოდ ჩამებეჭდა გონებაში, ესენია – ცისმეუფეობა, ზნეობა და ღირსება. სამივე ჩვენი მისამართით ითქვა, რომ ჩვენ, ქართველებმა, ცისმეუფებას სხვა რაღაც-რაღაცეები დავუპირისპირეთ, ზნეობრივი გზიდან გადავუხვიეთ და ვკარგავთ პირად ღირსებას“.

ამის მერე იესო ქრისტეს ბატონი გიორგი ქორქოლიანი ქვის მაგიდასთან მიუყვანია... და 20 აგვისტოს დილაც გათენდა: „მე ჩვეულებრივად ყოველთვის დილის შვიდ საათზე ვიღვიძებ. ასე მოხდა მაშინაც. ადგომა რომ დავაპირე, მეუღლემ მითხრა, დაწექი, დაიძინე, რატომ დგები ასე ადრე, როცა მთელი ღამე იჯექი და რაღაცას წერდიო.

მე საერთოდ როცა სამუშაო მაქვს, ძირითადად ღამე ვწერ და გვიან ვწვები – ასეთ დროს ჩემებმა იციან, რომ მეორე დილით ადრე არ ვდგები და ოჯახის წევრებს აკრძალული აქვთ საწოლ ოთახში შემოსვლა“ (მე პირადად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ბატონი გიორგი ასეთი სასტიკი იყო ოჯახში!..ძ.

რაო, თქვენმა მეუღლემ, როდიდან როდემდე იჯექით საწერ მაგიდასთანო (ხილვაში მაგიდა, გახსოვთ, ქვისა იყოძ, ეკითხებიან ბატონ გიორგის.

დაახლოებით ღამის თორმეტიდან დილის 5-6 საათამდე მჯდარა. თითქმის სამასსტრიქონიანი ლექსის დასაწერად ეს დრო ცოტაც კია, მაგრამ როცა თავად უფალი გიკარნახებს და შენ მხოლოდ იწერ, ნამდვილად ბევრია. „მაგრამ ლექსში უამრავი სიტყვა უცნობი და გაუგებარი იყო ჩემთვის, – განაგრძობს ბატონი გიორგი, – დამჭირდა ლექსიკონები – ჩუბინაშვილის, სულხან-საბასი, სხვა წყაროები... ახლაც კი არ ვიცი ბოლომდე ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა (სევა მისტერიული... სასჯლო სხეული... დუმილსაჩრდილო... რღუნოების ძალით... ცთომილ გზათა მსგეფსის წინარე... არარ იქნება რამ სამუქფთო... გსდევდეთ დარდთ ალიონი... მახვათა ჟამნი...), თუმცა მოქნეული სტრიქონებიც შემოგანათებთ ერთ ხილვიან ღამეში ჩაწერილ ამ უზარმაზარ ლექსში. აი თუნდაც: „წთოლად სამართლის ღრუბელთაგან წესთ განაწესთა“, „სისხლის ზოსტერნი, აღდგომილი სასო სორსალი“, „მთებარე ზღვარვა კერპთ, ჭეშმარიტ რწმენის ჯებირად“. ან, მაგალითად, ცალკე გამოვყოფდი ამ სტრიქონს: „მოთმინებათა ორთქლი რწმენით სულს დააუნჯებს“, ანდა კიდევ ერთს: „და ტანჯვის ზარებს გოგირდის ალში შემოკრავენ ცრემლთა თამასით...“

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ბატონმა გიორგიმ ზეციური დავალება ვერ შეასრულა – ზემოხსენებული ლექსი ხალხამდე ვერ მიიტანა (ნეტამც საერთოდ არც მიეტანა!..ძ. თუმცა ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა, რასაც თავადვე გვაუწყებს თვითონ „ფენომენის“ რედაქტორისთვის მიცემულ ინტერვიუში:

„ყველაზე საინტერესო რამ მერე მოხდა. იმავე 2005 წლის 28 აგვისტოს მე და ჩემი ოჯახის წევრები ვიყავით ბათუმში. ჩვენ იქაც გვაქვს სახლი. ძალიან მიყვარს ზღვა. იმ დღესაც გავედი ზღვაზე. მივიღე ზღვის აბაზანები. საღამოს მოულოდნელად ამიწია სიცხემ 39-დან 41 გრადუსამდე. რა არ სცადეს, მაგრამ სიცხე ვერ დამიგდეს... ოჯახმა პრაქტიკულად გამომიტირა თურმე. მე კი იმ დროს მქონდა გამოცხადება. თავთან ორი ანგელოზი დამიდგა შუბებითა და ფარებით. წვივებზე ოქროსფერი ფირფიტები ეკეთათ. „შენ უფალმა რაც დაგავალა, რატომ არ აღასრულე?“ – მკითხეს პირდაპირ“.

ვერ გავიგე, რა დავალებაზე იყო საუბარიო, – ეკითხებიან ბატონ გიორგის.

იმაზე, რომ მე ხალხისთვის უნდა გადამეცა, რაც დამაწერინესო.

მერე, რა უპასუხეო.

აი, ის პასუხიც: „მე ქართველი კაცი ვარ, თანამდებობის პირი. აქ ისეთი სიტუაციაა, გიჟად ჩამთვლიან-მეთქი. (SIC!) თან, რაღა მაინცდამაინც მე, გიორგი ქორქოლიანს, დამევალა ეს და არა სხვა ვინმეს-მეთქი“. მაგრამ ანგელოზთ მკაცრად გაუმეორეს, უფალმა რაც დაგავალა, დროზე უნდა აღსრულდესო...

მოკლედ, მორჩა ხილვა და დაცხრა სიცხეც. უკვე 36 გრადუსზე ჩამოვარდა. 7 ხაზს აღარა ვთვლი. ანდა 41 გრადუსის მერე შვიდი ხაზი რა ჩასათვლელია...

და ანგელოზთა ხელმეორედ გაფრთხილების შემდეგ, გინდა თუ არა, ცით ნაკარნახევი ლექსი დაბეჭდეო, როგორც თავადვე ამბობს, იკადრა და დაფაცურდა ბატონი გიორგი (ნეტამც არ დაფაცურებულიყო!ძ. და დიახაც ამ დაფაცურების შედეგია, რომ დღეს ყველა ქართველს გვაქვს საშუალება – ჟურნალ „ფენომენის“ აგვისტოს ნომრის ფურცლებზე ჩვენი თვალით გავეცნოთ ამ ეჭვმიუტანელ აჭიაბაჭიას, ვითომც ცით ნაკარნახევს. ისე პირუთვნელად და, ცოტა არ იყოს, მწარედაც რომ ითქვას, ჩვენს აშკარა უნიჭობას სხვას არამც და არამც არ უნდა ვაბრალებდეთ, მით უმეტეს, მაცხოვარს, რომელიც ყოველთვის კეთილგონიერებისაკენ მოგვიწოდებს... რახან სიტყვამ მოიტანა, ურიგო არ იქნებოდა, თუ „ფენომენის“ უცილოდ მაღალპროფესიონალი რედაქტორი სწორედ კეთილგონიერებას გამოიჩენდა და გარდაუვალ სირცხვილს გადაარჩენდა ამ ეგრეთ წოდებული ლექსის ავტორსაც (ხსენებულ „ლექსს“ ჟურნალის 5 გვერდი უჭირავს) და თავის არცთუ ურიგო საცნობისმოყვარეო ჟურნალსაც. არადა მერე სად მიდიხართ, ბატონებო, როცა „დრო გასრულდება წამების და გონის საბძელში...“ და როცა ჩაინთქმებიან სისხლში „ულვთოდ ემეციურნი“, ხოლო „ღვთის საიდუმლო ხორცს შეისხამს კვდომის საკლავად...“

ისიც ბარემ აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამ ინტერვიუს კითხვისას სულ ვფიქრობდი, ეს ჩვენი თანათავმჯდომარე ან ახლა ათქმევინებს უფალს რამე საკეთილოს ჩვენს გასაცოდავებულ ჟურნალისტთა კავშირზე თუ ფედერაციაზე, ან ახლა-მეთქი, მაგრამ საქმეში ხარ! (რა ვიცი, ანგელოზთ კი წაეტრაბახა, თანამდებობის პირი ვარო!ძ.

აწ იმის იმედიღა უნდა ვიქონიოთ, რომ იქნებ თანათავმჯდომარის ხილვები თავმჯდომარესაც გადაედოს და თავმჯდომარეს მაინც უკარნახოს ვინმემ, (ოღონდ უკვე პროზადძ, – სულაც არ არის საჭირო მაინცდამაინც ციდან, – როგორ დავამგვანოთ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი ნამდვილ შემოქმედებით ორგანიზაციას, რომელსაც ერთხელ და სამუდამოდ კუთვნილ პატივს მიაგებენ უპირველესად, რასაკვირველია, საზოგადოება და, რაც მთავარია, ძლიერნი ამა ქვეყნისანი, რომელთაც თვალში კი ეჩხირებათ, მაგრამ, ალბათ, ისევ ჩვენი არამწიფერი ხილვებისა გამო, ყელზე მაინცდამაინც არ ადგათ ამჟამინდელი ქართული ჟურნალისტიკა: აკი ამიტომაც, არ ვკითხულობთო, საქვეყნოდ აცხადებენ.

ხოლო რაც შეეხება ჩვენი თანათავმჯდომარის ღვთივნაკარნახევი ლექსის იმ მეტ-ნაკლებად გასაგებ სტრიქონს, რომელიც ჩვენც სათაურად გამოვიტანეთ – „ღვთის ნიშანი აქვს სამყაროსთვის ქართულს – ცით მართულს“ უწინარესად იმას ნიშნავს, რომ როგორც იტყვიან, თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ ქართულ ენას და რასაც ამ ენით დავწერთ, დღე იქნება თუ ღამე, თავისი მრავალათასწლოვანი სინათლე არ უნდა დავუკარგოთ. სხვაგვარად ქართულ ენასთან ურთიერთობა აშკარა მკრეხელობაა გაუპატიურების დონეზე.

დასასრულ, ერთიც უნდა ვუთხრა ჩვენს ღამით მუშაობის მოყვარულ ფარვანა-თანათავმჯდომარეს: ბატონო გიორგი, როცა უფალი ერევა ვისიმე შემოქმედებაში, მაშინ აუცილებლად იწერება ხოლმე „ვეფხისტყაოსანი“, „დავითიანი“, „ტანო ტატანო“, „ფიქრნი მტკვრის პირას“ და „მერანი“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „სამშობლო ხევსურისა“, „ქართვლის დედა“ და „განდეგილი“, „განთიადი“ და „გამზრდელი“, „არწივი“ და „გოგოთურ და აფშინა“, „ლურჯა ცხენები“, „მე და ღამე“ და „მთაწმინდის მთვარე“, „ლექსი მეწყერი“, „ნინოწმინდის ღამე“ და „ყივჩაღის პაემანი“, „სალაღობო“ და „კრწანისის ყაყაჩოები“, „ხმა კატამონთან“, „ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფია“ და „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა...“ და, ბოლოს, უბერებელი „რამ დამაბერა...“ ეს სია, ჩვენდა საბედნიეროდ, არცთუ მოკლეა.

უჩემოდაც კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ასეთ მართლაც ღვთივკურთხეულ ქმნილებებს შედევრები ჰქვიათ, რომელთაც სწორედაც რომ უფლის ხმა მოაქვთ თითოეული ჩვენგანის გულამდე. ეს რაც პოეზიას შეეხება. ისე, უფლის ჩაურევლად არც „ოთარაანთ ქვრივი“, „ბაში-აჩუკი“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ და „დათა თუთაშხია“ დაწერილა.

ასე რომ, მხოლოდ და მხოლოდ ამ თვალსაზრისით აქვს ღვთის ნიშანი სამყაროსათვის „ქართულს – ცით მართულს“, ჩვენო ღრმად პატივცემულო, ოღონდ ჟურნალისტთა კავშირზე გულაყრილო და ხელაღებულო თანათავმჯდომარევ!

დღეის ამას იქით კი მშვიდ და უშფოთველ ძილს გისურვებდი.

პირში მთქმელობისათვის
ბოდიშის მოხდით –
ყოველგვარ ხილვებს მოკლებული

**გურამ წიკლაური.**

### ფსიქოგრაფია – მეკავშირე ჩარლზ დიკენსსა და გიორგი ქორქოლიანს შორის





ეზოტერიკის ისტორიაში ცოტა ფაქტი როდია დაფიქსირებული, როცა ფსიქოგრაფიული ან „ავტომატური წერილით“ იწერებოდა ცნობილი მწერლებისა და პოეტების დაუმთავრებელი ნაწარმოებები.
ასე მაგალითად, 1870-იან წლების მიწურულს ახალგაზრდა ამერიკელის, ვინმე ჯეიმსის დახმარებით გასრულდა ჩარლზ დიკენსის რომანი „ედვინ დრუდი“, რომელიც მას დაუმთავრებელი დარჩა.
ირწმუნებიან, რომ ფსიქოგრაფიას შესანიშნავად ფლობდა „შერლოკ ჰოლმსის“ ავტორი, სერ არტურ კონან დოილი.
საქართველოში ფსიქოგრაფიის უნიკალური ფაქტი დაფიქსირდა. საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თანათავმჯდომარემ გიორგი ქორქოლიანმა „შექმნა“ ფსიქოგრაფიული ლექსი, რომელსაც, ჩვენი აზრით, ყველა ქართველი უნდა გაეცნოს.

ჟურნალ „ფენომენის“ ბოლო ყდა. მარცხნივ – დიკენსი, მარჯვნივ – ქორქოლიანი.

P. S. ძვირფასო მკითხველო, ბევრი კი ვეცადე, რომ აბდაუბდაზე ლაპარაკი აბდაუბდა არ გამომსვლოდა, მაგრამ მაინც ვეჭვობ, და მეგობრულად გირჩევ, თავად წაიკითხო „ფენომენის“ ეს ნომერი და, თუ გასამტყუნებელი ვარ, შენც ასევე საქვეყნოდ გამამტყუნე. დარწმუნებული ვარ, ამ სიტყვის მნიშვნელობა კარგად მოგეხსენება, თუმცა არც შეხსენება იქნება უადგილო: ფენომენი ბერძნული სიტყვაა და იშვიათ, უჩვეულო, განსაკუთრებულ მოვლენას ნიშნავს (არაჩვეულებრივი ნიჭის ადამიანებზეც იტყვიანძ. დანარჩენი შენ იცი და შენმა მკითხველობამ...

გ. წ.

◎ შენ გამართლება მითხარი

# ოპოზიცია გიგი უგულავას სერიოზულ კონკურენტად მიიჩნევს



**გავრცელებული ინფორმაციით, ბადრი პატარკაციშვილისთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ოპოზიციის ინიციატივა, რომლის მიხედვითაც შესაძლოა იგი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გაერთიანებულმა ოპოზიციამ თბილისის მეროობის კანდიდატად წარადგინოს. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები დარწმუნებული არიან, რომ პატარკაციშვილს თბილისის მეროობა სურს.**

მოგეხსენებათ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები 2006 წლის დეკემბრის დასაწყისში გაიმართება. არჩევნების დეკემბერში გამართვას ხელისუფლება საბიუჯეტო წლის დასრულებით ამართლებს. ოპოზიცია კი აცხადებს, რომ ბოლო დროს თბილისს დამატებით 54 მილიონი ლარი გამოუყვეს. ამ თანხის ათვისება წლის ბოლომდე უნდა მოხდეს, რაც მათი აზრით, გიგი უგულავას საარჩევნო პიარს წაადგება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეიტინგის თვალსაზრისით მემარჯვენე ოპოზიცია, რომელმაც პატარკაციშვილის კანდიდატურა წამოაყენა, გიგი უგულავას სერიოზულ კონკურენტად მიიჩნევს. აღნიშნავენ, პარტიული ინტერესებიდან გამიჯვნა მოახერხა და სამეურნეო ნიშა აირჩიაო.

**მანანა ნაჭყებია, „მემარჯვენე ოპოზიციის" ერთ-ერთი ლიდერი:** „ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის ბადრი პატარკაციშვილი საუკეთესო კანდიდატურაა. ჯერ ერთი, ის რეიტინგული ფიგურაა. რეიტინგული თვალსაზრისით ხელწამოსაკრავი არ არის გიგი უგულავაც, რომელმაც მოახერხა პარტიული ინტერესებისგან გამიჯვნა და სამეურნეო ნიშა აირჩია. როგორც ვთქვი, რეიტინგი გიგი უგულავასაც აქვს, მაგრამ არანაკლებ რეიტინგულია ბადრი პატარკაციშვილი. შეიძლება დღეს ციფრები და პროცენტები სხვას ამბობდეს, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პატარკაციშვილს მეროობაზე პრეტენზია არ განუცხადებია. თუ ის თანახმა იქნება და იმის ნახევარ პიარკომპანიას გასწევს, რაც გიგი უგულავამ ჩაატარა, ძალიან მალე გაუსწრებს მას".

**„დემოკრატიული ფრონტის" ერთ-ერთი ლიდერის დავით ზურაბიშვილის** აზრით, ბადრი პატარკაციშვილის სახელი რომ გამოჩნდა, გასაკვირი არ არის, რადგანაც ხალხისთვის პატარკაციშვილის კანდიდატურა ასეთია: ბევრი ფული აქვს, კორუმპირებული არ იქნება და იქნებ მოგვხედოსო. თუმცა, დავით ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ ვისაც მეროობის კანდიდატობა უნდა, რაღაც პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი უნდა იყოს, რაზეც პირდაპირ უნდა განაცხადოს. მისი თქმით, თბილისის მერი მხოლოდ სამეურნეო მუშაკი ვერ იქნება, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში იგი პოლიტიკური ფიგურაა.

ამასთან დაკავშირებით, ოპოზიციის ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ თბილისის მერად პარტიული ლიდერი უფრო მომგებიანი და მისაღები მაშინ იქნება, თუ ოპოზიცია ერთ ბლოკში გაერთიანდება. ასეთ შემთხვევაში



თვლიან, რომ სჯობს ბლოკს მეროობის კანდიდატად პოლიტიკური ფიგურა ჰყავდეს – ყველაზე რეიტინგული ლიდერის გამოკვეთა პრაიმერის ან გამოკვლევის გზით მოხდება. თუკი ბლოკის შექმნა ვერ მოხერხდება, მაშინ, ოპოზიციის ერთი ნაწილის აზრით, აჯობებს ოპოზიციური სუბიექტები ერთი იდეის გარშემო გაერთიანდნენ და მხარი ერთ კანდიდატს დაუჭირონ. ეს კანდიდატი ამ შემთხვევაში არაპოლიტიკური ფიგურა უნდა იყოს. ამ საკითხზე ოპოზიციის შიგნით კონსულტაციები გრძელდება. ვნახოთ, რა გამოიკვეთება.

**მზია გელენავა**

◎ ვალს გადახდა უნდა!

# გლეხკაცმა ქვეყანაში სამართალი ვერ იპოვა

## იყალთოელმა გარსევანიშვილმა საქმეში ჯორჯ ბუში ჩარია

***და რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, საკუთარ ქვეყანაში, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, ევროატლანტიკური დემოკრატიის შუქურად არის მონათლული, კაცი რომ ვერ იპოვა სიმართლის მთქმელი, ოკეანისგაღმიდან ბუშის ადმინისტრაცია ოპერატიულად გამოეხმაურა. რა თქმა ნდა, პენსიონერს საჩივარში დასმული კონკრეტული საკითხები ამერიკაში ვერ გადაუწყვიტეს, მაგრამ აუხსნეს, რომ მისი მიმართვის ობიექტი მხოლოდ საქართველოს სასამართლო შეიძლება იყოს.***

*– ვიცოდი, რომ ამას მიპასუხებდნენ, – ამბობს რედაქციაში საჩივრით მოსული თელავის რაიონის სოფელ იყალთოში მცხოვრები პენსიონერი შალვა გარსევანიშვილი, – ჩემს კუთვნილ თანხას, რაც ყოფილი კოლმეურნეობიდან მეკუთვნის, ამერიკელები რატომ გაისტუმრებენ, მაგრამ უცხო ქვეყნის პრეზიდენტი იმიტომ შევაწუხე, რომ ჩემი საჩივარი მშობლიური ქვეყნის პრეზიდენტამდე ვერ აღწევს და იქნებ ამაში დამხმარებოდა.*

*76 წლის კაცი ვარ, ყვება გარსევანიშვილი, აქედან თითქმის ნახევარი დრო საჩივრების დევნას მოვანდომე, მაგრამ სიმართლეს მაინც ვერ მივაღწიე. არ იფიქროთ, რომ ერთი უქნარა ვინმე ვარ, მთელი ცხოვრება კეთილსინდისიერად ვშრომობდი, ერთის ნაცვლად სამი კაცის საკეთებელს ვაკეთებდი, მაგრამ მაშინდელი კოლმეურნეობის თავმჯდომარის გურამ შათირიშვილის თვალებს მაინც ვერაფერი დავანახე. ერთხელ კოლმეურნეობის გამგეობამ 2,6 ტონა ხორბლითაც კი დამაჯილდოვა კარგი მუშაობისთვის, მაგრამ აქაც თავმჯდომარის სიჯიუტე გადამეღობა. ამას თავი დავანებოთ, ორჯერ მომხსნეს მძღოლობიდან უდანაშაულოდ. 10 თვე ვიარე უმუშევრად, აქედან 3 თვის განაცდური ამინაზღაურეს, დანარჩენი ისევ იმათ კირსერზეა. 1974 წელს პარტიიდანაც კი გამრიცხეს და მხოლოდ 1982 წელსღა აღმადგინეს შევარდნაძის დახმარებით.*

*რატომ გამრიცხეს პარტიიდან, არ იკითხავთ? ვითომ მე ვიყავი ერთი ხელმრუდე, ქურდი და უგვანი კაცი, მივითვისე სოფლის სტადიონის ნაწილი, მოვიპარე კოლმეურნეობის კუთვნილი თანხა და მისივე კუთვნილი მანქანა გამოვიყენე ანგარების მიზნით. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ვერ დამიმტკიცეს, რაც არ გამიკეთებია, როგორ დამიმტკიცებდნენ? პარტიაშიც აღმადგინეს, როგორც უდანაშაულო, მაგრამ ვინც მე ტყუილუბრალოდ ბრალი დამდო, ისინი დაუსჯელები დარჩნენ. მაშინდელმა კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ვაჟა ხუცურაულმა, რომელიც ჩემი პარტიიდან გარიცხვაში მონაწილეობდა, შემდეგ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში ცნობა მომცა, რომ არც სოფლის სტადიონის ნაწილი მიმითვისებია და არც კოლმეურნეობის ავტომანქანა გამომიყენებია ანგარებით, რაც შეეხება კოლმეურნეობიდან ფულის მოპარვას, ამის დამადასტურებელი საბუთი არ არსებობსო.*

*აი ასე, როგორც მოეპრიანებოდათ, ისე ჭრიდნენ და კერავდნენ. დავრბოდი, ვჩიოდი ერთი ინსტანციიდან მეორეში, ძირითადად რაიონისა და რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში, მაგრამ პასუხის გამცემი და საქმის გულთან მიმტანი არავინ იყო. ამასთან, ვამხელდი კოლმეურნეობის ცალკეული ხელმძღვანელი პირების მიერ საზოგადოებრივი ქონების დატაცების ფაქტებს, მაგრამ არც მათი სააშკარაოზე გამოტანით იკლავდა ვინმე თავს.*

*შალვა გარსევანიშვილმა ამას წინათაც მიიღო პასუხი თელავის პროკურატურიდან (№ 01/19-1/770. 17.07.06წ. მასში ვკითხულობთ: გენერალური პროკურატურიდან გამოგზავნილი № 7-191-87 წერილით ირკვევა, რომ იყალთოს ყოფილი კოლმეურნეობის კუთვნილი ქონების ხელმძღვანელ მუშაკთა მხრიდან დატაცების ფაქტები თავის დროზე შესწავლილია, გადაწყვეტილებებიც მიღებულია და ამიტომ თელავის პროკურატურა მასზე ველარ იმსჯელებსო. კონკრეტულად ვინ შეისწავლა, ან რა ზომები მიიღეს? ეს არც გარსევანიშვილისთვისაა ცნობილი და არც ფართო საზოგადოებისთვის.*

*ამიტომ გარსევანიშვილმა, ვიდრე ჩვენთან მოვიდოდა საჩივლელად, გაზეთ „კახეთის ხმას" მიაკითხა. რედაქციის მუშაკები გულდასმით გაეცნობიან გენპროკურატურის, სასამართლოსა და პოლიციის მასალებს და იმ დასკვნამდე მისულან, რომ მოქალაქის უფლება შეილახა, პასუხი კი არავის უგია. მეტიც, ის ადამიანები, ვისაც გარსევანიშვილი ბრალდებას უყენებს, დღემდე არავის დაუკითხავს.*

*არადა, დანაშაული აშკარად გამოკვეთილია, ირკვევა, რომ გარსევანიშვილს კოლმეურნეობაში მუშაობის დროიდან კუთვნილი ჯამაგირი არ მიუღია და არც კოოპერატიული ქონებიდან რგებია რამე. როგორც იურისტი ნინო ნატროშვილი მიიჩნევს, ასეთ შემთხვევაში კანონმდებლობით რეაგირება ძალზე რთულია, რადგან დღევანდელი სამართალდაცვითი სისტემა მოუწესრიგებელია. მაგრამ ეს სულაც არ არის მოსარჩელის გასარკვევი. მას კუთვნილი ხელ-*



*ფასი აქვს მისაღები და უნდა მიიღოს. მაგრამ როდის და როგორ, აი, ეს არის საკითხავი.*

*როგორც ირკვევა, გარსევანიშვილმა ყველა სტრუქტურას მიმართა, თუმცა უშედეგოდ. არადა, ამ საკითხის გადაწყვეტა, პირველ რიგში პროკურატურის პრეროგატივა იყო. დიახ, რამდენად საფუძვლიანია მოსარჩელის მოთხოვნები და ჭეშმარიტად იყო თუ არა დარღვეული კანონი და ადამიანის უფლებები შელახული, სწორედ ამ სამსახურის გასარკვევი იყო. მაგრამ როგორ გაარკვევდა, როცა არანაირი ძიება არ ჩატარებულა?*

*ასეთ დროს, როცა კანონი ადამიანის კი არა, ეშმაკის მხარეს არის, რა უნდა ქნას მოსარჩელემ? გარსევანიშვილს იმედი ამ შემთხვევაშიც არ დაუკარგავს. მან დაწერა განცხადება იყალთოს ყოფილი კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების მიერ არჩეულ სპეციალური კომიიის წევრთა სახელზე და მოითხოვა, დაწვრილებით შეესწავლათ მის საჩივრებში დასახელებული ფაქტების სისწორე. ასეც მოხდა. კომისიამ ობიექტურად და მიუკერძოებლად შეისწავლა მთელი 30 წლის მანძილზე კოლმეურნეობაში გარსევანიშვილის მიერ გაწეული საქმიანობა და დაადგინა, რომ თურმე ეს კი არ პარავდა კოლმეურნეობას თანხებს, პირიქით, კოლმეურნეობა პარავდა გარსევანიშვილს. ისიც დადგინდა, რომ მას ხშირად ეკუთვნოდა პრემიები, სხვა დამატებითი ანაზღაურება, რასაც არ უხდიდნენ.*

*საგაზეთო წერილში ყველაფერს ვერ ვიტყვით (ფართობი ვერ დაიტევსძ, რაც კომისიის მიერ გაკეთებულ დასკვნაში ამოვიკითხეთ, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, ყოფილ კოლმეურნეობას, შემდგომში გადაკეთებულს და 2001 წლამდე ფირმად წოდებულს, გარსევანიშვილის მართებს გარკვეული რაოდენობის თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოს.*

*რამდენია თანხა? კომისიის დასკვნით იგი 25 ათას დოლარამდეა.*

*თუმცა მარტო ამ თანხის დაბრუნებას არ მოითხოვს გარსევანიშვილი. იგი თვლის, რომ საკოლმეურნეო ქონება, რომელიც 20 მილიონ დოლარამდეა, არის ხალხის და არა სახელმწიფო საკუთრება. ამიტომ ის ქონება ხალხსავე უნდა დაუბრუნდეს, პირადად მას ამ ქონებიდან 100 ათას დოლარამდე ეკუთვნის.*

*– მართალია ამ თანხას ახლა მთლიანად ვერ ამოვიღებთ, – ამბობს გარსევანიშვილი, – მაგრამ აქედან ნახევარი მილიონი დოლარიც რომ დავიბრუნოთ, ხალხი ერთგვარად სულს მოითქვამს. მე, მოხუცი კაცი, სიკვდილამდე ვიბრძოლებ, რომ სიმართლე აღვადგინო.*

***ვერ გეტყვით, შალვა გარსევანიშვილი ახლო მომავალში რა სიმდიდრის პატრონი გახდება, მაგრამ ქვეყანას რომ სამართლის დეფიციტი ხრავს, ამას, მე მგონი, თავად პროკურატურაშიც ვერ უარყოფენ. თუ არ სჯერათ, დაიდონ ბატონო კოლმეურნეობის კომისიის წევრთა მიერ გამოკვლეული მასალები და შიგ რამდენ ღლავსაც დაიჭერენ, მე ნუ გამინაწილებენ.***

**ოტია ჩართოლანი.**

◎ ინფორმაცია

### საქართველოში ინფლაციის დონე მაღალია

**საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა ჯონ ვეიკმანლინმა პირველი შეხვედრა ფინანსთა მინისტრთან ალექსი ალექსიშვილთან გამართა. მათ სიღარიბის დაძლევის პროგრამის მიმდინარეობა და საქართველოს საფინანსო სისტემაში მიმდინარე პროცესები განიხილეს.**

**შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას ჯონ ვეიკმან-ლინმა განაცხადა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარება შეიმჩნევა, თუმცა ინფლაციის მაჩვენებლის მაღალი დონის გამო მთავრობასთან მუშაობაა საჭირო.**

### „იუნესკო" დააფინანსებს

**საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში, რომელიც თბილისში, კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს, სარეაბილიტაციო სამუშაოებს „იუნესკო" დააფინანსებს.**

**როგორც „მედიანიუსს" საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმასრულებელმა დირექტორმა კახა ტრაპაიძემ უთხრა, ეთნოგრაფიულ მუზეუმში განთავსებული 64 შენობიდან ნახევარზე მეტი სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს. ამ მუზეუმში 30 წელია, რაც პრევენციული ზომები არ გატარებულა, რამაც შენობების დაზიანება გამოიწვია.**

**კახა ტრაპაიძის თქმით, მუზეუმში განთავსებული შენობების პროექტირება უკვე დაიწყო.**

**ეთნოგრაფიული მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოებს „იუნესკოს" ექსპერტების დახმარებით ქართველი სპეციალისტები შეასრულებენ.**

### მარიამობის მარხვა დაიწყო

**გუშინ მარიამობის მარხვა დაიწყო და 28 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღეს, დასრულდება. ეკლესიის ისტორიაში, ამ მარხვის დაწესების ზუსტი თარიღი უცნობია, აგრეთვე უცნობია, როდის დაწესდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული. საისტორიო წყაროების მიხედვით, საუკუნეების მანძილზე მარიამობის მარხვის შენახვა ყველა ავტოკეფალური ეკლესიის ტრადიციას არ წარმოადგენდა. მსოფლიო მართლმადიდებელმა სამყარომ დღესასწაულის საყოველთაო აღნიშვნა მოგვიანებით, დაახლოებით X-XI საუკუნეებიდან დაიწყო. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ანტიოქიის ეკლესიაში მიძინების მარხვა 1060 წელს პატრიარქ იოანესა და იმპერატორ კონსტატინე დუკას გადაწყვეტილებით დადგინდა.**

**მედიანიუსი**



ინფორმაცია

## ბინების ფასი გაორმაგდა

ბოლო ორი წლის განმავლობაში თბილისში ბინების ფასმა 200 პროცენტით მოიმატა. თუ თბილისის ცენტრში კვადრატული მეტრი ღირდა 400-500 დოლარი, დღესდღეობით ის 1000 დოლარს აღემატება, — განუცხადეს „მედიანიუსს“ უძრავი ქონების სააგენტოებში.

ბინების ფასი თბილისის ყველა რაიონში გაიზარდა და როგორც უძრავი ქონების სააგენტოებში ფიქრობენ, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: ერთ-ერთია მოსახლეობაში შემოსავლების ზრდა, ასევე მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ბინათმშენებლობის ბუმია, რეალურად მათზე მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას.

ქვეყანაში მიმდინარე დადებითი პროცესები უფრო უსაფრთხოს ხდის თბილისში უძრავ ქონებაში ფულის დაბანდებას, რაც თავის მხრივ, ბაზარზე მოთხოვნას ზრდის. ბინებზე ფასების ზრდის ტენდენციამ მთლიანად გადაფარა ფასებზე სეზონურობის ზეგავლენა.

დედაქალაქში ფასმა მოიმატა, როგორც ძველ ბინებში, ასევე ახალ მშენებლობაზე. ძველ ბინებში ფასების მომატება განაპირობა ახალ მშენებლობებზე ფასების ზრდამ; თავის მხრივ, მათზე ფასების მატება, სხვა მიზეზებთან ერთად, ასევე განპირობებულია სამშენებლო მასალებზე ფასების მომატებით.

მედიანიუსი

## გალის რაიონში სიმშვიდეა

14 აგვისტოს — აფხაზეთის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების დაწყების დღესთან დაკავშირებით, გალის რაიონში შედარებით სიმშვიდეა.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, დამატებითი ძალების კონცენტრაცია გალის რაიონის სოფლებში არ მომხდარა. ამას ენგურის ხიდზე ზუგდიდის რაიონის ტერიტორისკენ მომავალი ქართველი მოსახლეობა ადასტურებს.

თუმცა მოსახლეობის ნაწილი ასევე აღნიშნავს, რომ გალთან ახლოს მდებარე სოფლებში გამკაცრებულია კონტროლი, ტარდება აფხაზური მილიციისა და თავდაცვის სამინისტროს რეიდები, რომლებიც ეძებენ ახალგაზრდებს აფხაზურ არმიაში გასაწვევად. ამის გამო ქართველი ახალგაზრდები ტოვებენ აფხაზეთის სოფლებს და თავს ზუგდიდის რაიონს აფარებენ.

ჯარში გაწვევის ერთი წლით გადავადების სანაცვლოდ, აფხაზური მხარე ქართველებისგან 300 დოლარის გადახდას ითხოვს.

## საპროტესტო აქციით იმუქრებიან

7 აგვისტოს, გალის რაიონის სოფელ რეფში მოკლული გიორგი ალანიას გადმოსვენება ჯერჯერობით კვლავ არ ხერხდება.

როგორც ცნობილი გახდა, დაახლოებით ორი დღის წინათ დააბრუნეს მოკლული შოთა ფანცულაიას ცხედარი, თუმცა შეთანხმების მიუხედავად, აფხაზეთის მხარე ჯერჯერობით არ აბრუნებს გიორგი ალანიას ცხედარს, რომელიც ასევე 7 აგვისტოს შეიარაღებული შეტაკების დროს იქნა მოკლული.

ალანიას ახლობლები ამ ფაქტს აპროტესტებენ. მათი განცხადებით, შეთანხმება უკვე არსებობდა და ალანიას ცხედარი აფხაზურ მხარეს ჭირისუფლებისთვის უნდა გადაეცა.

იმ შემთხვევაში, თუ აფხაზური მხარე უახლოეს დღეებში არ შეასრულებს დანაპირებს, ალანიას ახლობლები თავდაპირველად ენგურის ხიდზე, ხოლო შემდეგ სახელმწიფო კანცელარიის წინ საპროტესტო აქციის გამართვით იმუქრებიან.

ინტერპრესნიუსი

ჟურნალისტური გამოძიება

# როგორ დაინგრა და განიავდა

## ხელისუფლებას, ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას!

**1991 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ენერგეტიკის გადარჩენისა და განვითარებისთვის დამოუკიდებელი საქართველოს ყოველ ხელისუფლებას პრეზიდენტის, პარლამენტის და მთავრობის სახით, არაერთი გადაწყვეტილება აქვს მიღებული.**

თუ ხელისუფლების მხრიდან მიღებული გადაწყვეტილების შედეგად შელახულია სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესები, ზიანი მიადგა ეკონომიკას და ა.შ, მისი ქმედების შეფასება „შეცდომად“ დაუშვებელია, რაც პირდაპირ მიგვითითებს იმაზე, რომ ხელისუფლებას — მის მმართველ გუნდს ამით ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ენერგეტიკის დარგთან მიმართებაში, სამართლებრივი შეფასებით, სამშობლოს ღალატს უთანაბრდება.

განვლილი დრო გვარწმუნებს იმაში, რომ ხელისუფლების მხრიდან ისჯებიან მხოლოდ „ლიფსიტები“, რომელთა უმრავლესობა იხდის ეგრეთ წოდებულ „ჯარიმას“, შემდეგ კი რჩებიან თავისუფლები. რაც შეეხება „მსხვილებს“, ისინი დღემდე სახელისუფლებო „საჭესთან“ სხედან ან თანამდებობიდან დროზე მოასწრეს წასვლა და კანონით გათვალისწინებული სასჯელისგან ხელშეუხებელნი რჩებიან.

ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ ხელისუფლებაზე, საჭიროა დავაკონკრეტოთ — რა დროის ხელისუფლებაზე ვსაუბრობთ და პიროვნულად ვინ იღებდა გადაწყვეტილებას, რომლის შედეგად ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკა დაზარალდა.

1991-1997 წლებში ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკა, „საქენერგოს“ სახით, ემსგავსებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირის ენერგოსტრუქტურას, ანუ ენერგეტიკის მართვა ხორციელდებოდა ერთი სახელმწიფო ორგანოთი, რომელიც სავსებით სამართლიანად შერაცხეს „მონსტრად“.

მიუხედავად ამისა, **1994-1995 წლებში პრაქტიკულად, საქართველოს ყველა მცირე ჰიდროელექტროსადგური იყო პრივატიზებული. ჰესების შესყიდვა კი ხორციელდებოდა მაშინდელ კუპონებში.**

ჰესების მეპატრონეებმა აღნიშნული ობიექტები შეისყიდეს სიმბოლურ ფასად, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, მათ რატომღაც აჩუქა ეს ჰესები...

ხელისუფლებამ რატომ და რისთვის გადადგა ეს ნაბიჯი, უცნობია, რადგან ამით მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა სახელმწიფო ბიუჯეტმა. მყიდველთა უმრავლესობა იყვნენ ხელისუფლებაში მყოფი თანამდებობის პირები, ან მათი ნათესავები და ახლობლები.

**მეპატრონეებმა მოკლე დროში გაასხვისეს ჰესები იმ ფასად, რაც 1000-ჯერ და უფრო მეტად აღემატებოდა მათი შესყიდვის პირველად ღირებულებას. ეს ფაქტი პირდაპირ მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლებამ მცირე ჰესების პრივატიზაცია — გასაჩუქრება განახორციელა იმ მიზნით, რომ ჰესების პირველ პატრონებს, ჰესების რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის გარეშე, მეორედ გაყიდვით მიეღოთ დიდი ოდენობის მუქთა შემოსავალი — მოგება, რომლის დაბეგვრა ხელისუფლების მხრიდან არ განხორციელდა და ეს იმიტომ, რომ აღნიშნული ჰესების მეორადი გაყიდვის ფაქტობრივი ფასი ოფიციალურად არ იყო დაფიქსირებული,** რისი დამტკიცება დოკუმენტალურად ძალზე რთულია, რადგან არც „მყიდველი“ და არც „გამყიდველი“ არ აღიარებენ ფასთა სხვაობას...

„ვარდების“ რევოლუციის შემდეგ „წილები გადანაწილდა“. დასადგენია და გასარკვევია: ვინ, როდის და რის საფუძველზე გახდა მათი ახალი მფლობელი და ამის გარდა, აღნიშნული ჰესების ფუნქციონირებამ რა სახის დადებითი წვლილი შეიტანა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტში, ასევე ქვეყნის ენერგეტიკის განვითარებაში?

ხელისუფლება ვალდებულია ქვეყნის მოსახლეობის წინაშე, რომლის უმრავლესობაც თითქმის გაღატაკებულია, კანონის ფარგლებში აგებინოს პასუხი ყველა იმას, ვისი მეშვეობითაც განხორციელდა მცირე ჰესების პრივატიზაცია, რომელსაც კრძალავდა საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე, დასადგენია არსებული მცირე ჰესების ჯამური სიმძლავრე და მათი ამჟამინდელი საწარმოო-ტექნიკური და ფინანსური მდგომარეობა.

1997 წელს დაიწყო ზემოთ ხსენებულ „საქენერგოს“ დაყოფა, რის შედეგად მის მაგიერ საქართველოს ენერგოსისტემის მართვა ხორციელდებოდა ახლად შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით — „ელექტროგადაცემა“, „საქენერგო“, „საქენერგოგენერაცია“, „საქრუსენერგო“.

ამის შემდეგ „საქენერგოს“ გამოეყვნენ ენერგოგასაღების და დისპეტჩერიზაციის სამსახურები და მათ ნაცვლად შეიქმნა „საქართველოს ელექტროენერგიის ბაზარი — „სესბი“, და „დისპეტჩერიზაცია-2000“.

ამან განაპირობა „საქენერგოს“ გარდაქმნა გაუგებარ და უმართავ ორგანიზაციად „საქენერგო-2000“-ად, რომელსაც დაევალა საგარეო თუ შიდა ვალების გასტუმრება. ამ მიმართულებით, „საქენერგო-2000“-ის საქმიანობის შედეგი, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, აღმოჩნდა ნულის ტოლფასი და მიუხედავად ამისა, ეს ორგანიზაცია დღესაც „აგრძელებს“ თავის საქმიანობას.



შემდეგ „საქენერგოგენერაციას“ გამოეყვნენ ქვეყნის ყველა ჰიდრო და თბო ელექტროსადგურები, რის შედეგად „საქენერგოგენერაცია“ გარდაიქმნა „გენერაციად“, რომელიც სამართლებრივად არანაირად არ აგებდა და არ აგებს პასუხს „საქენერგოგენერაციის“ და მით უმეტეს „საქენერგოს“ საქმიანობის წარსულზე.

საბოლოოდ, „ელექტროგადაცემის“ და „დისპეტჩერიზაცია-2000“-ს გაერთიანებით, დაარსდა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, რომლის მართვას, ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, დაბალ დონეზე ახორციელებენ უცხო ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებმაც უპიროვნოდ — ყველანაირი პასუხისმგებლობის გარეშე საქართველოს ხელისუფლებისგან მიიღეს ეს ახლად შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დასადგენია ხელისუფლების მხრიდან კონკრეტულად, ვინ და რაზე აგებს პასუხს?

აღსანიშნავია, რომ 2003 წლის 10 ნოემბრის საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ა. ჯორბენაძის დავალებით საქართველოს კონტროლის პალატამ 2003 წლის 22 ნოემბერს წერილობით, კონტროლის პალატის თავმჯდომარის ს. მოლაშვილის ხელმოწერით, წარუდგინა მას დოკუმენტი, რომლის მიხედვით უცხო ქვეყნის კომპანიების წარმომადგენლებზე „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ და „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ მართვის უფლებით გადაცემა იყო კანონსაწინააღმდეგო აქტი, და ეს იმიტომ, რომ მართვის სახელშეკრულებო პირობებში „მმართველის“ მოვალეობები და მათ მიმართ, საჭიროების შემთხვევაში, განსახორციელებელი საჯარიმო სანქციები არანაირად არ იყვნენ ასახული, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობას.

ხელისუფლებამ დაშალა „საქენერგო“, რომელშიც მუშაობდა უამრავი ადამიანი. დაშლის შედეგად კი, ახალ სტრუქტურებში დღესაც მუშაობს ბევრად მეტი ადამიანი. ეს ფაქტი მიგვითითებს იმაზე, რომ **„საქენერგო“ — ენერგოგიგანტი, სინამდვილეში, ჯამურ გამოხატულებაში, შეცვალა ბევრად უფრო მსხვილმა ენერგოგიგანტმა, რომლის საწარმოო მაჩვენებლები არ მეტყველებენ ქვეყნის ენერგეტიკის დადებით განვითარებაზე, ან მის უპირატესობაზე „საქენერგო“-სთან შედარებით.**

რაში დასჭირდა ხელისუფლებას, ამოფარებოდა უცხო ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნებს, მოეხდინა ამგვარი გადატრიალება ქვეყნის ენერგეტიკაში, თუ ამას არ მოჰყვებოდა ქვეყნის ენერგეტიკის დადებითი შედეგი? სამაგიეროდ, გენერაციისა და ელექტროსისტემის დებიტორულმა დავალიანებამ დღესდღეობით გადააჭარბა 750 მილიონ ლარს და მისი დაფარვა, თეორიულად თუ პრაქტიკულად, შეუძლებელია!

**ზარალი სახეზეა. მაგრამ კონკრეტული დამნაშავე, ან დამნაშავეთა ჯგუფი გასარკვევია. მიუხედავად ამისა, დამნაშავე სახეზეა — ესაა ხელისუფლება, მისი კონკრეტული დიდი და პატარა წარმომადგენლებით, რომელთა დასახელება ძალზე ადვილია, თუ განვიხილავთ ყოველი კონკრეტული ფაქტის უკან ხელისუფლების მხრიდან დაკავშირებულ პირველი რანგის ჩინოვნიკებს. მაგალითად — ამა თუ იმ სათბობ-ენერგეტიკის ან ენერგეტიკის, სახელმწიფო ქონების მართვის ან ეკონომიკური განვითარების მინისტრებს, პარლამენტის ამა თუ იმ თავმჯდომარეს, ქვეყნის პრეზიდენტებს** — დიახ, საქართველოს პრეზიდენტებს და ეს იმიტომ, რომ ისინი თავის არსებობით, ქვეყანაში მომხდარ ამა თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენებზე ყოველთვის ყველაფრის თავში არიან. დემოკრატიის პირობებში ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა არ უნდა დავავიწყოთ ქვეყნის არც ერთი პრეზიდენტს ამის შესახებ. ისინი ვალდებულები არიან გააცნობიერონ, რომ სახელმწიფოში მომხდარ მოვლენებზე მოსახლეობის და კანონის წინაშე პირადად აგებენ პასუხს!

1997 წელს საქართველოს ხელისუფლება დათანხმდა შექმნა „რაო ეეს“-თან ერთად 50-50 პროცენტიანი წილობრივი მონაწილეობით სს „საქრუსენერგო“, რითაც გადასცა ხსენებულ ქართულ-რუსულ საწარმოს ქვეყნის ელექტროგადაცემის მნიშვნელოვანი ნაწილი, ანუ რუსეთი დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, პირველად გახდა საქართველოს ელექტროგადაცემის გარკვეული ნაწილის თანამეპატრონე!

როგორც ირკვევა — ეს ის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებია, რომელთა მეშვეობით რუსეთს ეძლევა ტექნიკური საშუალება ელექტროენერგია გაიტანოს რუსეთიდან თურქეთის მიმართულებით, რაც, პირველ რიგში, პოლიტიკურად და ფინანსურად მომგებიანი იქნება რუსეთის მხარისთვის.

შესასწავლია სრული პაკეტი იმ დოკუმენტების და ხელშეკრულებებისა, რომლის საფუძველზეც იყო შექმნილი „საქრუსენერგო“.

**უნდა დადგინდეს — რუსეთის მხარეს დღემდე ჰქონდა თუ არა „საქრუსენერგო“-ში რაიმე სახით ჩადებული ინვესტიცია და რამდენად ეფექტიანად. ანუ, იყო თუ არა განხორციელებული საწარმოს რომელიმე მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის სრული და არა, ნაწილობრივი რეაბილიტაცია. თუ იყო — ეს მისასალმებელია და თუ არა — მაშინ დასადგენია, რამ განაპირობა და რამდენად კანონიერია ეს?**

იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის, ან პირიქით, საქართველოს მხარე „საქრუსენერგო“-სთან დაკავშირებით არღვევს თავის ვალდებულებებს, საქართველოს ან რუსეთის ხელისუფლებამ ერთმანეთს მოსთხოვეს თუ არა კანონით განსაზღვრული პასუხი და რა შედეგი მოჰყვა ამას?

**„საქრუსენერგო“-ს შექმნა პირველი მაგალითია იმისა, თუ როგორ დაეუფლა უცხო ქვეყანა საქართველოს ენერგეტიკის გარკვეულ ნაწილს. იმ დროისათვის საქართველოს კონსტიტუცია, როგორც ჩვენთვის ცნობილია, კრძალავდა ამგვარი საწარმოს შექმნას და მიუხედავად ამისა, „საქრუსენერგო“ მაინც შეიქმნა. რამ განაპირობა ეს უკანონობა?**

გაკვირვებას იწვევს ის, რომ ეს წარმოება დღემდე წამგებიანია და მიუხედავად ამისა, არც საქართველოს და არც რუსეთის ხელისუფლება არანაირ ზომებს არ მიმართავენ. საწარმოს დებიტორულმა დავალიანებამ უკვე გადააჭარბა 60 მილიონ ლარს.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, „საქრუსენერგო“-ს დირექტორატი, კანონის ფარგლებში, ვალდებულია დაიბრუნოს თავისი კუთვნილი თანხები. თუმცა, „საქრუსენერგო“-მ, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სასამართლო დავის შედეგად „სესბ“-თან შეძლო დაებრუნებინა თავისი კუთვნილი 15 მილიონი ლარი, რაც, უდავოდ მისასალმებელია.

გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ მიუხედავად დებიტორული დავალიანებისა, „საქრუსენერგო“-ს დირექტორატი და მისი კოლექტივი ჯერჯერობით მზადყოფნაში ინარჩუნებს თავის კუთვნილ ელექტროგადამცემ ხაზებს, რასაც „საქრუსენერგო“-ს დირექტორატი ხსნის იმით, რომ ახერხებენ ხაზების შენარჩუნებას არსებული მწირი შემოსავლების პირობებში. მაგრამ, როდემდე გაგრძელდება ამგვარი ეკონომიკა? როცა კომპანიის გადამცემი ხაზების მეურნეობა ტექნიკურად დაძველებულია, „საქრუსენერგო“-ს ტექნიკური ბაზა, არც თუ ისე დიდ დროში, გახდება ამორტიზებული და მისი ექსპლუატაცია იქნება დაუშვებელი.

**დასადგენია აგრეთვე ის, თუ რამ განაპირობა რუსეთიდან ელექტროენერგიის ექსპორტის განხორციელებისას წლების განმავლობაში, საქართველოს და რუსეთს შორის შუამავალი კომერციული სტრუქტურის არსებობა? კერძოდ, შპს „ვიგფილდ“-ის არსებობა, რომლის მფლობელების გარკვეულ ნაწილს მაშინაც და დღესაც საქართველოს მოქალაქეები წარმოადგენენ?**

მოგეხსენებათ, რომ შუამავლის არსებობა მყიდველს უძვირებს შესყიდული პროდუქციის ღირებულებას. აქედან გამომდინარე, საქართველოს მხარე რის გამო თანხმდებოდა ამგვარ კაბალურ პირობებზე? ამით ხომ, საბოლოოდ, ზარალდებოდა ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკა, ეკონომიკა და მოსახლეობა?

დასადგენია კიდევ ის, თუ რა მიზნებს ისახავდა საქართველოსათვის „კატეკო-ენერჯის“ და „ანგლო-ოილის“ შუამავლობა ელექტროენერგიის ტრანზიტის დროს რუსეთიდან თურქეთში, ანუ, იყო თუ არა ეს აუცილებელი და მომგებიანი ჩვენი ქვეყნისათვის?

**დასადგენია: რამ განაპირობა 1999 წელს „თელასის“ ქონების 75 პროცენტის პრივატიზაციის დროს, რომ იმჟამინდელ ხელისუფლებას ჩამოეწერა 130 მილიონი ლარის კრედიტორული დავალიანება „საქენერგოს“ მიმართ, და ეს იმიტომ, რომ 99 წლით გადაევადებინა აღნიშნული ვალის დაფარვა პროცენტის და ინდექსაციის გარეშე!**

დასადგენია, აგრეთვე, თუ რა დადებითი შედეგი მოუტანა საქართველოს „თელასის“ ქონების 75 პროცენტის და აგრეთვე „თბილსრესის“ მე-9 და მე-10 ენერგობლოკების გაყიდვამ, ჰიდროელექტროსადგურების „ხრამი-1“ და „ხრამი—2“-ს 25-წლიანი მართვის უფლების გადაცემამ უცხო ქვეყნის კომპანიისათვის „ეიესისათვის?“

დასადგენია: რატომაა ჩვენი სახელმწიფო, გარდა 130 მილიონ ლარის ჩამოწერისა, დღემდე ვალდებულია, დაფაროს 80 მილიონი მარკის ოდენობის კრედიტი, თავის დროზე მიმართული მე-9 და მე-10 ენერგობლოკების სარეაბილიტაციოდ, და 60 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტი, აღებული კომპანია „ეი ი ეს“-ის მიერ უცხოეთიდან, რომელიც, როგორც ცნობილია, დღესდღეობით არ მოქმედებს საქართველოს ენერგოსისტემაში.

დასადგენია, აგრეთვე, რამ განაპირობა ის, რომ „თელასის“ პრივატიზაციის გამო საქართველოს ელექტროენერგიის ყველა სახის მომხმარებელს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ 1999 წლამდე, გაუძვირა ენერგოტარიფი ჯერ 4 თეთრიდან 6 თეთრამდე და შემდგომ — 9 თეთრამდე, რითაც გაუუარესა მოსახლეობას სოციალურ-ეკონომიკური პირობები და ასევე ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობა.

საქართველოში „ეიესის“ შემოსვლით, თბილისის ელექტროენერგიის მომხმარებელმა განიცადა ზარალი იმის გამო, რომ მოსვლისთანავე, ერთ ორ წელიწადში, „ეიესმა“ „სემეკის“ თანხმობით გააძვირა სამომხმარებლო ტარიფი 12 თეთრამდე და ამას ხსნიდა იმით, რომ, მაგალითისათვის, მომხმარებლებს დაუყენა 19-დოლარიანი ელექტრომექანიკური მრიცხველები, რომლებიც მთელ

ჟურნალისტური გამოძიება

# საქართველოს ენერგეტიკა

მსოფლიოში იმ დროისათვის ხმარებიდან იყო ამოღებული. უფრო მეტიც, ერთი ასეთი მრიცხველის სინამდვილეში შესყიდვის ფასი არ აღემატებოდა 2-3 დოლარს. არის თუ არა ეს აფიორა „ეიესი"-ს მხრიდან, რომელიც იმჟამინდელმა ხელისუფლებამ რეაგირების გარეშე დატოვა?

უფრო მეტიც, თბილისის სს „ეკრანმა" „ეიეს თელასთან" იმ დროისთვის გააფორმა ხელშეკრულება ელექტრონულ მრიცხველების დამზადებაზე. „ეიეს თელასმა" შეისყიდა მხოლოდ 15 ათასი „ეკრანის" მრიცხველი და დანარჩენზე განუცხადა კატეგორიული უარი, რითაც დააზარალა ჩვენი სამამულო საწარმო. აქვე აღსანიშნავია, რომ ამჟამად არსებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების ქსელში მექანიკურ ელექტრომრიცხველებს ახასიათებს ცდომილების მაღალი კოეფიციენტი, რომელიც ენერგოტარიფის გაზრდით ხდება უფრო საგრძნობი მომხმარებლისათვის...

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თანხმობით „ელექტროგადაცემის" ხელმძღვანელობამ „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შექმნის წინ მიიღო უნიკალური გადაწყვეტილება და თავის მომხმარებელს - „ეიეს თელასის" სახით, ყველანაირი საბანკო და ინდექსაციის გარანტიების გარეშე, და ამავე დროს სასამართლო წესით, ხელშეკრულების გასაჩივრების აკრძალვით, 20 წლით გადაუვადა თავისი 3,4 მილიონ ლარის ოდენობის კუთვნილი დებიტორული დავალიანების დაფარვა, რითაც ზიანი მიაყენა როგორც „ელექტროგადაცემა"-ს, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტს. ხელისუფლებამ აღნიშნულ ფაქტს არანაირი შეფასება არ მისცა, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩათვალა ეს რიგით საწარმოო ხასიათის მოვლენად.

1999 წელს შეიქმნა „სესბი". მისი შექმნის ერთადერთი მიზანი იყო ის, რომ ქვეყნის ელექტროენერგოგენერაცია და ელექტროსისტემა უზრუნველყოფილიყო ელექტროენერგიის ღირებულების სრული დაფარვით. ამით მათ მიეცემოდათ განვითარების რეალური საშუალება.

**დღესდღეობით „ესბისნაირმა" ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვამ ელექტროენერგოგენერაციას და ელექტროსისტემას შეუქმნა დებიტორული დავალიანება — 750-ზე მეტი მილიონი ლარი და ეს მაშინ, როცა „სესბი"-ს ყველა, გარდა ამჟამინდელისა, გენერალური დირექტორის მიმართ თავის დროზე იყო აღძრული სისხლის სამართლის საქმე ჩადენილი და გამოვლენილი ფინანსური მაქინაციების ფაქტებზე!..**

უფრო მეტიც, ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ესპანეთის მოქალაქე ა. სოლისი, რომელიც შევარდნაძისდროინდელმა ხელისუფლებამ დანიშნა „სესბში" გენერალურ დირექტორის თანამდებობაზე, რათა მას გამოესწორებინა მდგომარეობა, და იმისათვის, რომ მისი საქმიანობა უფრო ეფექტური გამხდარიყო — იმჟამინდელმა ხელისუფლებამ მსოფლიო ბანკისგან აიღო კრედიტი 27 მილიონი დოლარის ოდენობით, რითიც უზრუნველყო ა.სოლისი და მისი „გუნდი" „სესბში" არსებული ყოველთვიური, საქართველოს მაშტაბით, ძალზე მაღალი ხელფასით.

ეს კრედიტი ჩვენ — საქართველოს მოსახლეობამ უნდა დავფაროთ. ა.სოლისი კი მშვიდობიანად წაბრძანდა სახლში — ესპანეთში. ცხადია, რომ აღნიშნული 27 მილიონი დოლარი ამ ბატონმა და მისმა „გუნდმა" მთლიანად არ „მიიჯიბა" და ამიტომ დღემდე უცნობია, რაში დაიხარჯა აღნიშნულ კრედიტის დანარჩენი ნაწილი? — რასაც ჩვენ აუცილებლად დავადგენთ! ისმის კითხვა — რისთვის? „სესბის" საქმიანობის შედეგის მიხედვით — საქართველოს სახელმწიფოს, მისი ენერგეტიკის, ეკონომიკის და მოსახლეობის საზიანოდ.

„სესბის" ხელმძღვანელები, არსებობის პირველი დღიდანვე, აშკარად უკეთებდა იგნორირებას საქართველოს კანონს „ენერგეტიკის და ბუნებრივ გაზის შესახებ" და ეს იმიტომ, რომ ქვეყნის ელექტროენერგოგენერაციის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მომხმარებლები, ქვეყნის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების სახით, შესასყიდ ელექტროენერგიას მოიხმარდნენ თითქმის გადახდის გარეშე და ეს მაშინ, როცა მათი მომხმარებლები, პირიქით, მოხმარებული ელექტროენერგიის 90-100 პროცენტის ღირებულებას ფარავდნენ.

**უფრო მეტიც, ამჟამინდელი ხელისუფლება აპირებს და, როგორც ჩვენთვის ცნობილია, განახორციელა „სესბის" ფუნქციონალური გარდაქმნა ანუ მისი, ფაქტიური, გაუქმება, რაც ნიშნავს იმას, რომ ამით ისევ ჩვენს სახელმწიფოს, მის ენერგეტიკას, ეკონომიკას და მოსახლეობას მიადგა ზიანი, გაზათილ-დება გენერაციის და ელექტროსისტემის დებიტორული დავალიანება, რაც ძალზე საზიანოა საქართველოს ენერგეტიკისათვის.** შექმნილ ვითარებაში არ გამოვრიცხავთ, რომ ხელისუფლება შექმნის „საქენერგო-2000"-ის ანალოგს, რომლის მეშვეობით „შეეცდება" დაფაროს არსებული დავალიანება, რაც, ჩვენი მტკიცებით, წარმოადგენს უტოპიას.

ამჟამინდელმა ხელისუფლებამ, ახლახან განხორციელებული ენერგოობიექტების პრივატიზაციით, ყველანაირად ხელი შეუწყო „სესბის" დანაშაულებრივი ხასიათის ნამოქმედარის გაბათილებას.

ეს გამოიხატა იმაში, რომ ქვეყნის ექვსი მნიშვნელოვანი ჰიდროელექტროსადგური (გარდა ენგურჰესის და ჟინვალჰესის, „ხრამი-1"-ს და „ხრამი-2"-ს, „თბილსრესის" და ა.შ.ძ, და აგრეთვე სადისტრიბუციო-გამანაწილებელი კომპანიები — „აჭარენერგო", „კახეთის ენერგოკომპანია", „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" გაყიდეს (მიზერულ ფასად — 317 მილიონ დოლარად) კრედიტორული დავალიანების გარეშე. ამის გარდა, **ხელისუფლებამ „მყიდველს" უფეშქაშა ახალი, მაღალი, როგორც გენერაციის, აგრეთვე სადისტრიბუციო ენერგოტარიფი, რითიც მნიშვნელოვნად გაუუარესა მოსახლეობას სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.** ამის გარდა, აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში, როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, საქართველოს ენერგეტიკის სარეაბილიტაციო მიზნების განსახორციელებლად სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დაიხარჯა 257 მილიონი ლარი. ისმის კითხვა — ხელისუფლებამ რისთვის განახორციელა ეს „ღონისძიება"? თუ ამის შემდეგ გაყიდა ზემოთ ხსენებული ენერგოობიექტები და საბოლოოდ, აშკარად საზიანოდ ქვეყნისათვის — მისი ინტერესებიდან გამომდინარე?

აღსანიშნავია, რომ შევარდნაძისდროინდელმა ხელისუფლებამ 1998 წელს ქვეყნის ენერგეტიკის არსებული



დავალიანება ასობით მილიონი ლარის ოდენობით, ფაქტობრივად, ჩამოწერა, რაც არანაირად არ იყო გამართლებული. უფრო მეტიც, ამით ხელისუფლებამ ჩაიდინა დანაშაული ქვეყნის ენერგეტიკის, ეკონომიკის და მოსახლეობის წინაშე. ისმის კითხვა — ამგვარი ნამოქმედარით, არსებითად, რითი განსხვავდება შევარდნაძის დრო ამჟამინდელ ხელისუფლებისაგან? ჩვენი პასუხია, — რომ არაფრით...

**აღსანიშნავია ისიც, რომ 2005 წელს ხელისუფლებამ, ამჟამად გაყიდულ ლაჯანურჰესზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, გამოყო არაერთი მილიონი ლარი და ამავე დროს, ლაჯანურჰესზე — თავის დროზე დახარჯული იყო იაპონიის კრედიტის ფარგლებში 20 მილიონამდე დოლარი, რაც დადებითად არ აისახა ხსენებულ ჰიდროსადგურზე და ვალი კი დარჩა გასასტუმრებელი ქვეყნის მოსახლეობის ზურგით.**

რისთვის დაიხარჯა სახელმწიფო სახსრები აღნიშნულ ჰესებზე, თუ ხელისუფლება მათ ამზადებდა გასაყიდად? და, რაც მთავარია, გაყიდა ძალზე დაბალ ფასში, მყიდველს „მიართვა" ზევრად გაზრდილი გენერაციის და სადისტრიბუციო ენერგოტარიფი.

ხელისუფლებამ ეს განახორციელა პარალელურად, შპს „ენგურჰესი"-ს ენერგოტარიფის ორმაგი შემცირების ფონზე, რითიც საქართველოს ენერგეტიკის ფლაგმანს მიართვა ევროზანკის კრედიტი, გრანტი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყო აღნიშნული კრედიტის 20 პროცენტის ფარგლებში დამატებითი სახსრები.

რბილად რომ ვთქვათ, გასაკვირია და, რაც მთავარია, დასადგენია, რა ამოძრავებდა ხელისუფლებას ამგვარი ნაბიჯის გადადგმის დროს?

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „მყიდველს" „საქართველოს ხელისუფლებამ არ დააკისრა ვალების გასტუმრება, ამით აღნიშნული ჰესების და სადისტრიბუციო კომპანიების დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები დღეს წარმოადგენენ მათი დაფარვის თვალსაზრისით — უპერსპექტივოს, რომელთა დაფარვა, სინამდვილეში, განხორციელდება ისევ საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესების ხარჯზე.

უფრო მეტიც, „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას", 2003 წლის მაისიდან ქვეყნის გენერაციის და ელექტროსისტემის საზარალოდ, ხელმძღვანელობდა ისევ უცხო ქვეყნის წარმომადგენელი — დინ სკოტ უაითი, რომელიც, ჩვენი სააგენტოს 100-პროცენტიანი მტკიცებულებით, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა კონტრაბანდული გზით სომხეთიდან „ელექტროენერგიის იმპორტს, წერდა კომპანიის მომხმარებლებისაგან ყალბ ქვითრებს — დაუსაბუთებელი ვალის არსებობის აღნიშვნით, ეწეოდა ფულის გამოძალვას, თავად კომპანიას შეუქმნა დებიტორული დავალიანება — 200 მილიონი ლარი. მიიღო საქართველოს ხელისუფლებისგან დოტაცია 20 მილიონი ლარის ოდენობით, ხელისუფლებისგან ითხოვდა ევროზანკის კრედიტის მიღებას 25 მილიონი ევროს ოდენობით, რაც უნდა გამოყენებულიყო კომპანიის „მიზნების" განხორციელებისათვის, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ის დღესაც წარმოადგენს „სესბის" აღმასრულებელ საბჭოს თავმჯდომარეს, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად არანაირად არ ითვლება კომპანიის ხელმძღვანელ პირად.

ამის შესახებ ჩვენმა სააგენტომ წერილობით არაერთხელ მიმართა გენერალურ პროკურორს ზ. ადეიშვილს, ფინანსური პოლიციის უფროსს დ. კეზერაშვილს, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსს ს. მესხს და ა.შ. — მათ მხრიდან კი რეაგირება, ფაქტობრივად, ნოლის ტოლია. რას ნიშნავს ეს?

არ მიგვანიშნებს მათ მხრიდან დ. ს. უაითის მიერ ჩადენილი დანაშაულის პირდაპირ დაფარვას ანუ მათ მხრიდან ჩვენს მიერ გამოვლენილ დანაშაულში თანამონაწილეობას? მიუხედავად ამისა, დარწმუნებულები ვართ, რომ ხელისუფლება გამონახავს „ცრუსახის" მტკიცებულებას და ჩვენ, სააგენტოს წარმომადგენლებს გამოგვიყვანს დამნაშავედ...

2000 წლის ბოლოდან საქართველოში მოქმედებს უკანონო, სომხეთის მიერ აშენებული მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „აშოცკ-ნინოწმინდა", რომლის დაპატრონება საქართველოს ხელისუფლებამ არ ჩათვალა საჭიროდ და მიუხედავად ამისა, ხაზი არის მოქმედებაში, მისი მეშვეობით, პერიოდულად ხორციელდებოდა და ხორციელდება სომხეთიდან კონტრაბანდული გზით ელექტროენერგიის იმპორტი, რაც ყოვლად დაუშვებელია!

ამის შესახებ, ჩვენ არაერთხელ შევატყობინეთ ხელისუფლებას — შედეგი კვლავ ნულის ტოლია.

დღესდღეობით, გარკვეულწილად, დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები ენგურჰესზე — ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკის ფლაგმანზე. სამუშაოები სრულდებოდა ევროზანკის კრედიტის, გრანტის და საქართველოს მხრიდან კრედიტის 20 პროცენტი თანადაფინანსების ხარჯზე, რაც წარმოადგენდა დაახლოებით 60 მილიონ დოლარს, ანუ უთანაბრდება შპს "ენგურჰესის" ქონების ღირებულებას, განსაზღვრულს ამჟამინდელი ხელისუფლების მხრიდან სააუდიტორო შეფასების საფუძველზე.

ეს ხდება მაშინ, როცა ერთის მხრივ, შპს "ენგურჰესი" არ არის პასუხისმგებელი აღნიშნულ სარეაბილიტაციო თანხის დაფარვაზე და მეორეს მხრივ, გაურკვეველია შპს "ენგურჰესის" გამომუშავებულ ელექტროენერგიის ღირებულების ამოღების პერსპექტივა.

ხელისუფლება ამის ნაცვლად აპირებს, რომ შპს "ენგურჰესს" მისცეს უფლება თავისი კუთვნილი ელექტროენერგია გაყიდოს პირდაპირ სახელშეკრულებო პირობების საფუძველზე და ეს მაშინ, როცა პარალელურად ამზადებს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით აფხაზეთის რეგიონში მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობა მიეწერება მხოლოდ „ენგურჰესს", რაც ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება დააკანონებს შპს "ენგურჰესი"-ს მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიის 1/3-ს ღირებულების გაუფასურებას, რითაც, თუ გავითვალისწინებთ მის ახლახან დამტკიცებულ ენერგოტარიფს, რომელიც ნახევრად ნაკლებია სადგურის წინა ენერგოტარიფზე — „ენგურჰესის" კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნად ეცემა. რით ახსნის ამას ხელისუფლება — თავის ზრუნვით ქვეყნის ენერგეტიკის, ეკონომიკის და მოსახლეობის მიმართ? ამის უფლება მას არა აქვს და ეს იმიტომ, რომ ჩაიდინა დანაშაული საქართველოს მიმართ, რაზედაც დღეს თუ არა, ხვალ პასუხს აგებს!

აგრეთვე აღვნიშნავთ, რომ შპს „ენგურჰესის" მომავალი პერსპექტივის საკითხს სწავლობს ჩვენი სააგენტო. აღსანიშნავია ის, რომ შპს „ენგურჰესისს" დებიტორული დავალიანება გადასცილდა 250 მილიონ ლარს და ამავე დროს, როგორც ცნობილია, თავის დროზე შევარდნაძისდროინდელმა ხელისუფლებამ განახორციელა „ენგურჰესის" ყოფილი დებიტორული დავალიანების რესტრუქტურიზაცია, ანუ, ფაქტობრივად, ვალი ჩამოწერა. დღესდღეობით ენგურჰესის სიმძლავრე მიუახლოვდა 1000 მგვტ-ს, ანუ 300 მგვტ-ით ნაკლებია სადგურის სიმძლავრის საპროექტო მაჩვენებელზე. ისევ ვამახვილებთ ყურადღებას იმაზე, რომ დღემდე შპს "ენგურჰესისათვის" გაურკვეველი მექანიზმია შემუშავებული და რეალიზირებული ელექტროენერგიის ღირებულების სრული დაფარვის შესახებ.

ჩვენი მონიტორინგის ფარგლებში ვსწავლობთ შპს „ენგურჰესზე" სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით „ევროზანკის" კრედიტის, გრანტის და საქართველოს მხრიდან კრედიტის 20 პროცენტის ფარგლებში თანადაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის მიზნობრივ გამოყენებას, და ამავე დროს, ვსწავლობთ შპს „ენგურჰესზე" 1999 წლიდან დაგროვილი დებიტორული დავალიანების, 250 მილიონ ლარის, ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზებს, დაკავშირებულს კონკრეტულ ხელმძღვანელი პირების საქმიანობასთან.

აგრეთვე, აღვნიშნავთ, რომ **იაპონიის კრედიტის მიზნობრივი გამოყენება ჩვენს მიერ არის შესწავლილი და ჩვენი მტკიცებით, 39 მილიონი დოლარი არის მთლიანად დახარჯული არამიზნობრივად და ეს იმიტომ, რომ ჰიდროსადგურებზე „ხრამი-2"-ზე და „ლაჯანურზე" დადებითად კრედიტის გამოყენება არ აისახა — 39 მილიონ დოლარის ათვისების შემდეგ ხსენებული ჰიდროსადგურები არ ამუშავდნენ, და ეს მაშინ, როცა სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე ორივე ჰიდროსადგური მუშაობდა.** ამჟამად გენერალური პროკურატურის და კონტროლის პალატის მხრიდან გრძელდება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის გამოძიება.

ჩვენი ჟურნალისტური გამოძიება გაგრძელდება და ახლო მომავალში საზოგადოება გაიგებს საქართველოს ენერგეტიკის ნგრევაში კონკრეტულ მონაწილე პირების ვინაობას, რომელთა საქმიანობის შედეგად საქართველოს ენერგეტიკა განიავდა.

მიუხედავად ჩვენი არაერთზის წერილობითი მიმართვისა ამჟამინდელ ხელისუფლების სახელზე, პრობლემური საკითხების გადაჭრა ყველანაირად ჭიანურდება, ხორციელდება მათი იგნორირება.

იმედს მაინც არ ვკარგავთ და სააგენტო განაგრძობს ჟურნალისტურ გამოძიებას საქართველოს ენერგეტიკის და მისი ეკონომიკის სხვადასხვა დარგში არსებულ პრობლემებზე და დანაშაულზე.

ველით რეაგირებას ყველა ჩვენს მიერ წამოყენებულ საკითხზე ხელისუფლების მხრიდან, ველოდებით, ქვეყნის სასიკეთო, დადებითი შედეგის მომტან გადაწყვეტილებებს, რითაც საქართველოს ენერგეტიკა დაადგება განვითარების გზას, ხოლო შექმნილი რთული მდგომარეობის „ავტორებს" გაეცემათ საკადრისი პასუხი კანონის სრული სიმკაცრით, რათა ერთხელ და საბოლოოდ იყოს დაცული საქართველოს, მისი მოსახლეობის და ეკონომიკის კანონიერი უფლებები.

**სააგენტო „დრო და სივრცე"**

ინფორმაცია

## მოვლენები სხვა სცენარით განვითარდება

**აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის მთავრობა მიიჩნევს, რომ 14 წლის წინანდელი მოვლენები აფხაზეთში შესაძლოა განმეორდეს, თუმცა ისინი სხვა სცენარით განვითარდება.**

**ამის თაობაზე თვითაღიარებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ რუსულ საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსთან" საუბრისას განაცხადა.**

**„14 წლის წინათ ჩვენ მზად არ ვიყავით ომისათვის, რომელიც ქართული ჯარების აფხაზეთში მასობრივი შეჭრით, ქალაქებში საზღვაო დესანტისა და მშვიდობიანი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების დაბომბვით დაიწყო. თავიდან ჩვენ ცოტა რამ თუ შეგვეძლო ამისათვის დაგვეპირისპირებინა, გარდა ჩვენი სწრაფვისა სიცოცხლისა და თავისუფლებისადმი", — განაცხადა ხაჯიმბამ.**

**მისი მოსაზრებით, განვლილი 14 წლის განმავლობაში რუსეთში და მთლიანად მსოფლიოში აფხაზეთისადმი და საქართველოსთან კონფლიქტისადმი დამოკიდებულება შეიცვალა.**

## ჩხალთაში ადმინისტრაციული ნაგებობა ოქტომბერში დასრულდება

**აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობისათვის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია კოდორის ხეობაში, სოფელ ჩხალთაში, ოქტომბრის ბოლოს დასრულდება.**

**ამის თაობაზე „ინტერპრესნიუსს" ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარემ, მალხაზ აკიშბაიამ განუცხადა.**

**შენობის საბოლოო აღდგენამდე ლეგიტიმური მთავრობა ჩხალთაში მაინც გადავა და მუშაობას დაიწყებს.**

## ონიშჩენკო: მაბრალებენ, არ მითქვამსო

**რუსეთის მთავარი სანიტარი გენადი ონიშჩენკო უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს მან ქართულ მხარეს რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის შეტანასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების აღდგენა შესთავაზა.**

**ეს ის შემთხვევაა, როდესაც სასურველი რეალობად აღიქმება, — განაცხადა ონიშჩენკომ გადაცემა „ვესტისთვის" მიცემულ ინტერვიუში.**

**როგორც რუსული სააგენტოები იუწყებიან, ონიშჩენკოს ეს განცხადება საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხეილ სვიმონიშვილის იმ განცხადებას მოჰყვა, რომლის თანახმადაც, ონიშჩენკო ქართულ მხარეს მოლაპარაკებების დაწყებას სთავაზობს ღვინის რუსეთისთვის მიწოდების აღდგენასთან დაკავშირებით.**

**სვიმონიშვილის მტკიცებით, მსგავსი შინაარსის წინადადება გენადი ონიშჩენკოს იმ წერილშია მოცემული, რომელიც მან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე გაგზავნა.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ ინფორმაცია

## ხეხილს ამერიკელი პეპლები შეესივნენ

ზუგდიდის რაიონის სოფლებში წინასწარ ჩატარებული სამუშაოების მიუხედავად, ამერიკული პეპლების შემოტევა იგრძნობა.

ინგირში, ორსანტიაში, განმახურში და ახალ აბასთუმანში, ხეხილზე ამერიკული პეპლების დიდი რაოდენობაა შესეული.



ისინი ანადგურებენ ხის მწვანე საფარს და სწრაფად გადაადგილდებიან დიდ ტერიტორიებზე.

წინასწარ ჩატარებული სამუშაოები, რომელსაც თავად სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი ხელმძღვანელობდა, როგორც ჩანს, უძლური აღმოჩნდა ამერიკული პეპლების წინააღმდეგ. თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, რომ შარშანდელთან შედარებით პეპლების შემოტევა შედარებით ნაკლებადმასშტაბურია. მიუხედავად ამისა ხეხილის დასაზიანებლად ისინი საკმაოდ ბევრი არიან და ხელისუფლებისგან ქმედითი ზომების გატარებას მოითხოვენ.

ინტერპრესნიუსი

◉ განსჯა

# ხელისუფლება, რევოლუცია

**მეორე ნაწილი**

*მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება — მმართველი პარტიის — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს. არჩევნების წინ ის ამ ბიზნესის წარმომადგენლებს ჰპირდებოდა, რომ გადაუწყვეტდა საგადასახადო რეჟიმის პრობლემას, რომელიც უკვე დიდი ხანია, რაც მეწარმეთა უკმაყოფილებას იწვევს. ედუარდ შევარდნაძის დროს მათ ადვილად შეეძლოთ გვერდი აევლოთ ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობისთვის სახელმწიფო ბიუროკრატიის წარმომადგენლებთან არაოფიციალური შეთანხმებების საფუძველზე, რასაც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში განიხილავდნენ როგორც კაპიტალიზმის ბუნებრივი ისტორიული განვითარებისა და კაპიტალის პირველადი დაგროვების პროცესის კანონზომიერებას. ბიზნესს უფლებას აძლევდნენ, რომ დაერღვია კანონები, ხოლო ბიუროკრატიას კი — გამდიდრებულიყო თავისი თანამდებობის პირადი ინტერესებისათვის გამოყენების გზით. მაგრამ თუ ქვეყნის ხელმძღვანელობა ამ გზით ასუსტებდა სახელმწიფოს ზემოქმედებას ბიზნესზე და მას განვითარების საშუალებას აძლევდა, ის, ამავე დროს, აძლიერებდა ბიუროკრატიულ და პოლიტიკურ ზეწოლას, რომლის შედეგადაც ბიზნესი პოლიტიკური და ბიუროკრატიული ხელისუფლების მძევლად იქცა. სახელმწიფო ჩინოვნიკები არა მხოლოდ მდიდრდებოდნენ მეწარმეთაგან აღებული ქრთამებით, არამედ წილშიც უჯდებოდნენ ბიზნესში. გარდა ამისა, კორუმპირებული პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები ასრულებდნენ „კრიშების“ როლს ბიზნესის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც მასობრივად არღვევდნენ კანონს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოსგან ეკონომიკური ზეწოლის შესუსტების ნაცვლად ბიზნესმა მიიღო ორი ბატონი — ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და კორუმპირებული ბიუროკრატები, რომლებიც ცდილობდნენ, ესარგებლათ თავიანთი თანამდებობრივი მდგომარეობით.*



*რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა ბიზნესმენთა უკმაყოფილებას იწვევდა. მათ განთავისუფლება სურდათ პოლიტიკური ხელისუფლებისა და სახელმწიფო ბიუროკრატიის უზომო ზეწოლისგან, რასაც ე. შევარდნაძე კარგად იყენებდა ბიზნესის კონტროლისა და თავისი რეჟიმის სოციალური ბაზის გაძლიერებისათვის. მას განსაკუთრებით სჭირდებოდა ეს, რადგანაც ხელისუფლებაში მოვიდა ლეგიტიმური პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას დამხობის შედეგად, რომლის მომხრეებიც ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას არ წყვეტდნენ, რასაც თან ერთვოდა ეკონომიკის რღვევა და მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების დონის კატასტროფულად გაუარესება. ყოველივე ეს კი სერიოზული საფრთხის წყაროს წარმოადგენდა პოლიტიკური სისტემისათვის. ამიტომ შევარდნაძე ცდილობდა, ბიზნესმენთა კლასი შეექმნა თავისი მეგობრებისგან, პოლიტიკური მოკავშირეებისაგან, აგრეთვე ისეთი ახალი მომხრეების მიმხრობით, რომლებიც საკუთარი სამეწარმეო საქმიანობით იქნებოდნენ დაკავშირებულნი არსებულ რეჟიმთან, გაამტკიცებდნენ მისი ბატონობის ეკონომიკურ და სოციალურ ბაზას. ალბათ სწორედ ამით უნდა აიხსნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კრედიტების გაფლანგვა.*

*შევარდნაძის მმართველობის დროს არსებული გაწუკითხაობით სარგებლობდნენ არა მხოლოდ მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკები და ბიზნესმენები, არამედ მოსახლეობის დაბალი ფენებიც, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაკარგეს სამუშაო და იძულებული გახდნენ კატასტროფულ პირობებში ეარსებათ. ისინი გადაიქცნენ წვრილ მოვაჭრეებად, კონტრაბანდისტებად, დაიწყეს საქმიანობა მცირე და საშუალო ბიზნესში და ამასთან მასობრივად უვლიდნენ გვერდს კანონის მოთხოვნებს. ასეთი განუკითხაობა ასუსტებდა სახელმწიფო მოქმედებას დაბალ ფენებზე და მათ არსებობის საშუალებას აძლევდა, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს სახელმწიფოს სისტემის ხარჯზე ხდებოდა.*

*კერძო საკუთრების ბატონობის პირობებში პოლიტიკური ხელისუფლებისათვის საბრძოლველად აუცილებელია მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა არასახელმწიფო (საზოგადოებრივი) წყაროებიდან. სწორედ ამიტომ ცდილობენ საქართველოს მმართველი პოლიტიკური ძალები, რომ ბიზნესი საკუთარ კონტროლს დაუმორჩილონ, ხოლო მეწარმეები, თავის მხრივ, დაინტერესებული არიან ისეთი ხალხის არსებობით, რომლებიც მათ ინტერესებს წარმოადგენენ და დაიცავენ გაბატონებულ პოლიტიკურ ძალაში. როგორც რევოლუციამდე, ასევე რევოლუციის შემდეგაც, ბიზნესი რჩება ბიუროკრატიისა და პოლიტიკური ხელისუფლების კონტროლის ქვეშ. მაგრამ რევოლუციის*

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 155-156.

◉ გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

# რა უნდა ვიცოდეთ სახელმწიფო კომპენსაციებისა

***როგორც მკითხველებს ახსოვთ, ჩვენი გაზეთის 2 აგვისტოს ნომერში, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მიღებული შეკითხვების გათვალისწინებით, საუბარი გვქონდა სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების დანიშვნა-გაცემის ზოგიერთ საკითხზე. ვაგრძელებთ საუბარს იმ საკითხებზე, რომელთა სრულყოფილი განმარტებაც ერთ საგაზეთო წერილში ვერ მოხერხდა.***

***ამ საკითხებს განმარტავს ჩვენი რედაქციის იურიდიული კონსულტანტი, ქალბატონი ირინე ღლონტი.***

**„სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“** საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონის შესაბამისად, 2006 წლის 1 იანვრის შემდეგ კომპენსაციის და სტიპენდიის მიღების უფლება არ წარმოიშობა, თუ პირი აღნიშნული თანამდებობიდან დათხოვნილი იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ან სხვა არამართლზომიერი ქმედების ჩადენის გამო.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, **სტიპენდია ასაკის მიღწევის გამო ენიშნება პირს,** რომელსაც შეუსრულდა 50 წელი და აქვს 20 წლის სამეცნიერო ან პედაგოგიური მუშაობის სტაჟი, ამასთანავე, თუ იგი დასაქმებული იყო საჯარო სამართლის იურიდიულ პირ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესორ-მასწავლებლის ან დამხმარე თანამდებობაზე, ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში — სამეცნიერო ან დამხმარე თანამდებობაზე (დანართი №1-ის შესაბამისად) და 2005 წლის 1 ივნისიდან 2007 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლდა შესაბამისი თანამდებობიდან შტატების შემცირებასთან დაკავშირებით ან პირადი სურვილით.

**ზემოაღნიშნულ პირებს, პირადი სურვილით გათავისუფლების შემთხვევაში, უნდა ჰქონდეთ არანაკლებ 5 წლის მუშაობის სტაჟი დაწესებულებაში, რომლიდანაც ისინი გათავისუფლდნენ.**

თუ დაცული იქნება კანონის ზემოთ მითითებული მოთხოვნები, ამ პირებს სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია განესაზღვრებათ საჯარო მოსამსახურის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 80 პროცენტის ოდენობით — მეცნიერებათა დოქტორს; 60 პროცენტის ოდენობით — მეცნიერებათა კანდიდატს; 40 პროცენტის ოდენობით — სამეცნიერო ხარისხის არმქონე პირს.

ზოგიერთი კატეგორიის პირებისათვის ასაკის გამო სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის შესახებ ჩვენი გაზეთის 2 აგვისტოს ნომერში უკვე გვქონდა საუბარი, რაც შეეხება **შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსისა და მარჩენალის დაკარგვის გამო კომპენსაციის დანიშვნას,** განვმარტავთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის გამო კომპენსაცია ენიშნებათ მხოლოდ:

— სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების, ფინანსური პოლიციისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს;

— პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილ პირებს;

— პარლამენტის წევრებს (ყოფილ წევრებს).

**შეზღუდული შესაძლებლობის გამო კომპენსაცია ინიშნება იმ შემთხვევაში,** თუ შესაძლებლობის შეზღუდვა დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან (შრომითი დასახიჩრება).

სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების, ფინანსური პოლიციისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირებსა და პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილ პირებს:

— მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში კომპენსაცია შეადგენს სტატუსის დადგენის მომენტისათვის მისი თანამდებობრივი სარგოს 1,5 პროცენტის ნამრავლს ნამსახურობის 20 წელზე, ნამსახურობის სტაჟის მიუხედავად;

მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში კომპენსაცია შეადგენს მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში დადგენილი კომპენსაციის 125 პროცენტს.

**პარლამენტის წევრებისათვის (ყოფილი წევრები) კომპენსაციის დანიშვნისას, კანონით გათვალისწინებულია შემდეგი გარემოებები:**

პარლამენტის წევრებს უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენისას ენიშნებათ კომპენსაცია პარლამენტის წევრის კომპენსაციის 100 პროცენტის ოდენობით;

პარლამენტის ყოფილ წევრებს, სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების შემდგომ, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დადგენისას — პარლამენტის კომპენსაციის 100 პროცენტის ოდენობით, ხოლო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში — პარლამენტარის კომპენსაციის 50 პროცენტი.

კანონის თანახმად, კომპენსაცია ინიშნება მარჩენალის გარდაცვალების გამო და წარმოადგენს ოჯახისათვის განკუთვნილ სარგებელს, რომელიც გულისხმობს კომპენსაციის პროპორციულ განაწილებას ოჯახის მარჩენალდაკარგულ წევრებს შორის.

**ერთი და იმავე პირის გარდაცვალების გამო ინიშნება კომპენსაცია ან სახელმწიფო პენსია.** გარდაცვლილის ოჯახის რომელიმე წევრისათვის მარჩენალის გარდაცვალების საფუძვლით კომპენსაციის დანიშვნისას სახელმწიფო პენსიის დანიშვნა დაუშვებელია. ამასთან გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, რომ **თუ კომპენსაციის ოდენობა ნაკლებია მთელი ოჯახისათვის „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დასანიშნი სარგებლის საერთო ოდენობაზე, ოჯახს უფლება აქვს მიიღოს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით ოჯახისათვის განსაზღვრული პენსია.**

**ძალოვან სტრუქტურებში მომუშავე და მასთან გათანაბრებული** მუშაკის გარდაცვალების გამო კომპენსაციის დანიშვნა, კანონიდან გამომდინარე, რეგულირდება, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/6 ბრძანების საფუძველზე, რომლის მე-11 მუხლის შესაბამისად, სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში გარდაცვლილი მარჩენალის გამო კომპენსაცია ენიშნებათ შემდეგ პირებს:

— სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მომუშავე მოსამსახურეთა გარდაცვალების გამო კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ გარდაცვლილის შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე, შრომისუუნარო მშობლებს, მეუღლესა და შვილებს, თუ მარჩენალი გარდაიცვალა სამხედრო სამსახურის დროს ან არა უგვიანეს 3 თვისა, სამხედრო სამსახურიდან გასვლის შემდეგ, ან ამ ვადაზე უფრო გვიან სხვა დაავადებით, რომელიც სამხედრო მოსამსახურემ მიიღო სამხედრო სამსახურის ან ოპერატიული მუშაობის დროს. ასეთივე უფლებით სარგებლობენ **ყოფილი სამხედრო ტყვეების ოჯახის წევრები,** რომლებიც ნებაყოფლობით არ ჩაბარდნენ ტყვედ და ტყვეობაში ყოფნის დროს არ ჩაუდენიათ სამშობლოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე **საომარი მოქმედების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო მოსამსახურის ოჯახი უთანაბრდება ომში დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახს.**

— ფინანსური პოლიციის თანამშრომლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გარდაცვალების შემთხვევაში, კომპენსაცია ენიშნებათ გარდაცვლილის შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე და შრომისუუნარო მეუღლეს.

— სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით პროკურატურის მუშაკის გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაცია ენიშნებათ მხოლოდ გარდაცვლილის შვილებს — 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

— საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის (ყოფილი წევრის), უზენაესი სასამართლოს, საერთო სასამართლოს მოსამართლის გარდაცვალების შემთხვევაში პენსია ენიშნებათ მათ შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე, ხოლო შრომისუუნარო მეუღლეს და შვილებს — ასაკის მიუხედავად.

— პარლამენტის წევრის (პარლამენტის ყოფილი წევრის) გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაცია ენიშნებათ მცირეწლოვან შვილებს — 18 წლის ასაკის მიღწევამდე, ხოლო შრომისუუნარო მეუღლესა და შვილებს — ასაკის მიუხედავად.

ზემოაღნიშნული ყველა პირისათვის მარჩენალის დაკარგვის გამო დასანიშნი პენსიის ოდენობა განსაზღვრულია „საქართველოს კანონით სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“, რომლის გაანგარიშებასაც, წარდგენილი საბუთების მიხედვით ახდენს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შესაბამისი სამსახური.

საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების გარდაცვალების შემთხვევაში, მათი ოჯახის წევრთა სოციალური დაცვა რეგულირდება „საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და პირობებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **კომპენსაციასა და სტიპენდიას, შესაბამისი განცხადების საფუძველზე, ნიშნავს სოციალური დაზღვევის**

◎ განსჯა

# და ბიზნესი საქართველოში

შემდეგ ეს კონტროლი უფრო მკაცრი გახდა, რამაც მეწარმეთა წრეებში გააძლიერა შიში და მნიშვნელოვნად იკლო მათმა კრიტიკულმა გამოსვლებმა ხელისუფლების მისამართით.

ძირითადი პრობლემა, რომელსაც თანამედროვე ქართული ბიზნესი აწყდება, ისევ და ისევ მისი ფუნქციონირების საგადასახადო რეჟიმშია. პარტიის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ უკანასკნელ ყრილობაზე აღინიშნა, რომ ეკონომიკური სიტუაცია უარესდება, მეწარმეებს საქმიანობა უწევთ უმძიმეს საგადასახადო პირობებში. ბიზნესის სხვადასხვა სფეროში ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს ცვლიან ახლები, გახშირდა მეწარმეთა შანტაჟისა და დაშინების ფაქტები. ბიზნესი ისევე, როგორც შევარდნაძის დროს, უძლურია სახელმწიფო მანქანის ყოვლისშემძლეობის წინაშე, რომლის მართვაც კვლავინდებურად მიმდინარეობს სახელისუფლებო წრეებისა და მმართველი პარტიის ინტერესების შესაბამისად, მის საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის მნიშვნელოვანი შესუსტების პირობებში. მეწარმეთა პოლიტიკური აქტიურობის ზრდას აფერხებს საკუთარი ბიზნესის დაკარგვის შიში.

რევოლუციის წინ ე. შევარდნაძის პოლიტიკური მოწინააღმდეგენი ბიზნესის წარმომადგენლებს არწმუნებდნენ, რომ გამოაცხადებდნენ სრულ საგადასახადო ამნისტიას მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, რადგანაც გადასახადები იყო უსამართლო, ატარებდნენ კონფისკაციურ ხასიათს და სარგებლობა მოჭქონდათ არა სახელ-



მწიფოსათვის, არამედ გამომძალველებისა და ოფიციალური რეკეტისათვის. რევოლუციის შემდეგ მიღებულია ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელშიც 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 7. მაგრამ ამან ვერ გააუმჯობესა მეწარმეთა მდგომარეობა. რკინეულობის მაღაზიის პატრონმა ძ. ზესტაფონში ინტერვიუში განგვიცხადა, თუ ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით ვიმუშავეთ, იძულებული გავხდებით დავხურო მაღაზია და შინ წავიდეო. მისი აზრით, საგადასახადო კოდექსი უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს სახელმწიფოსა და ბიზნესმენს და ამ უკანასკნელებს ბიუროკრატის ნებას უმორჩილებსო. ოფიციალური გადასახადების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, ბიზნესმენთა მდგომარეობა, მათივე განცხადებით, კი არ გაუმჯობესდა, არამედ პირიქით, გაუარესდა. ისინი ახლა იძულებული არიან სრული მოცულობით შეიტანონ გადასახადები, რის გამოც მათ, ოფიციალურად და არაოფიციალურად, უფრო მეტის გადახდა უხდებათ, ვიდრე იხდიდნენ ე. შევარდნაძის დროს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინიციატივით, 2005 წლის 14 ნოემბერს გაიმართა შეხვედრა მეწარმეთა წარმომადგენლებთან, რომელსაც ესწრებოდა 150 ბიზნესმენი. ამ შეხვედრამ გვიჩვენა, რომ რევოლუციამ ვერ გაამართლა ბიზნესის იმედები, რომელიც ხელისუფლებისგან საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას მოელოდა. აღმოჩნდა, რომ საგადასახადო დისციპლინის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიუხედავად, მთავრობა მაინც ვერ ახერხებს, რომ სრულიად დაუმორჩილოს თავის კონტროლს კერძო სექტორი. ამ შეხვედრაზე პრეზიდენტი აღნიშნავდა, რომ ბიზნესი ახერხებს სოციალური გადასახადის დაფარვას, და იმისათვის, რომ არ გადაიხადოს, ზოგიერთი ბიზნესმენი საერთოდ არ აფორმებს კონტრაქტს თანამშრომლებთან. სხვა შემთხვევაში მეწარმეები ვერ გაუძლებდნენ საკუთარი ბიზნესის ხარჯებს.

პოლიტიკური და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით მმართველი წრეების წარმომადგენლები, სხვადასხვა კულუარული მექანიზმის გამოყენებით, ახერხებენ სხვადასხვა ბიზნესში შეღწევას, ზემოქმედებას ახდენენ მეწარმეებზე, რათა ისინი აიძულონ დაუთმონ თავისი ბიზნესი ან კიდევ წილი მასში. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ვრცელდება ხმები, რომ დაიწყო ბიზნესის გადანაწილება მმართველი პოლიტიკური ძალების სასარგებლოდ. ამ ხმების ჭეშმარიტება საჯაროდ დაადასტურა თავისი პარტიის III ყრილობაზე გიორგი თოფაძემ. საპარლამენტო საგამოძიებო კომისიამ, რომელიც იძიებდა დეპუტატ ბექაურის კავშირებს საბაჟო ტერმინალ „ოპიზასთან“, გამოავლინა ის მექანიზმები, რომელსაც მმართველი ძალის წარმომადგენლები საზოგადოებისაგან დაფარულად იყენებენ კონკრეტულ ბიზნესში შესაღწევად.

**ვალერიან დოლიძე,**
პოლიტოლოგი

(გაგრძელება იქნება)

◎ ინფორმაცია

## სავალუტო ფონდი შეფასებებს იძლევა



საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მისია ფინანსთა მინისტრს ლექსო ალექსიშვილს შეხვდა.

„დელეგაციის წევრებს გავაცანით მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, შემოსავლების მობილიზების კუთხით გატარებული ღონისძიებები და ბიუჯეტის ხარჯვითი პოლიტიკა. აგრეთვე, ვიმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ შევამცირებთ ინფლაციის მაღალ დონეს და რა ღონისძიებებს მივმართავთ ამ მხრივ ეროვნულ ბანკთან ერთობლივი მუშაობის შედეგად“, განაცხადა მინისტრმა.

სსფ-ს დელეგაცია ჯონ ვეიკმან ლინის ხელმძღვანელობით თბილისს 10 აგვისტოს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, რომელიც 19 აგვისტომდე გაგრძელდება, მისია შეაფასებს ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობას, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს. შეხვედრებისას განიხილება ასევე სიღარიბის დაძლევის პროგრამის მიმდინარეობა.

სსფ-ს წარმომადგენლები საქართველოს პრემიერ-მინისტრს, მთავრობის ეკონომიკურ გუნდს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, პარლამენტის წევრებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეხვდებიან.

**ინტერპრესნიუსი**

◎ გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

# და აკადემიური სტიპენდიების შესახებ

**ერთიანი სახელმწიფო ფონდი. განცხადებას თან უნდა დაერთოს შესაბამისი უწყების წარდგინება, რომელიც მზადდება კანონით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე და თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი.**

კომპენსაციის ან სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე საკითხს ფონდი განიხილავს განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში.

**მარჩენალის გარდაცვალების გამო კომპენსაცია ინიშნება** მარჩენალის გარდაცვალების დღიდან, თუ განცხადება (და ყველა საჭირო დოკუმენტიძ ფონდს წარედგინა ამ საფუძვლის წარმოშობიდან არაუგვიანეს 3 თვის განმავლობაში.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კომპენსაცია დაინიშნება განცხადების წარდგენის დღიდან. კანონის თანახმად, კომპენსაციის, სტიპენდიის გაცემა ხორციელდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, პიროვნების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

**მიმდინარე თვის კომპენსაციის გაცემა წარმოებს იმავე თვეში, ხოლო ადგილზე მიტანა (მიმღების წერილობითი განცხადების საფუძველზეძ – მომდევნო თვის ბოლომდე. აღნიშნული პერიოდი არის მაქსიმალურად დასაშვები ვადა ფონდსა და კომპენსაციის გამცემ ორგანიზაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე.** კომპენსაციის მიმღები პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მასზე რიცხული კომპენსაციის, სტიპენდიის თანხების გაცემა ხდება მემკვიდრეებზე, თუ მის მისაღებად მიმართეს არაუგვიანეს ერთი წლის განმავლობაში. მიუღებელი თანხები მემკვიდრეებს შორის განაწილდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონის თანახმად, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია გაიცემა პირის სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში.**

სახელმწიფო კომპენსაციის ან აკადემიური სტიპენდიის შეჩერების საფუძველია შემდეგი გარემოებები:

– პირის მიერ კომპენსაციის, სტიპენდიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობა, ე. ი. როდესაც ამ პირის მიერ არ ხდება მისი კუთვნილი ანგარიშიდან თანხის მოძრაობა 6 თვის განმავლობაში;

– შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროში დადგენილ ვადაში გადამოწმებით საპატიო მიზეზით (საავადმყოფოში, სანატორიუმში ან სხვა სტაციონარულ-სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის გამო და სხვაძ გამოუცხადებლობა.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განმეორებით დადგენის შემთხვევაში, პენსიის გაცემა განახლდება ასეთი სტატუსის დადგენის დღიდან და გაიცემა წარსული დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა კომპენსაციის, სტიპენდიის გაცემის შეჩერების დღიდან.

კანონის თანახმად, კომპენსაციის, სტიპენდიის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს შემდეგი გარემოებები:

– კომპენსაციის, სტიპენდიის მიმღები პირის გარდაცვალება;

– საჯარო საქმიანობის განხორციელება (გარდა ყოფილი პარლამენტის (უზენაესი საბჭოსძ წევრის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელებისა, რომლის დროსაც კომპენსაცია გაიცემა მისი საშუალო თვიური ანაზღაურების კანონით განსაზღვრული კომპენსაციის ოდენობამდე შევსების პრინციპითძ:

– პირის საქართველოდან მუდმივ საცხოვრებლად წასვლა;

– მარჩენალდაკარგული პირების 18 წლის ასაკის მიღწევისას.

18 წელს გადაცილებულ პირებს, რომელთაც 2006 წლის 1 იანვრამდე დანიშნული აქვს კომპენსაცია, უგრძელდებათ მისი მიღება 23 წლის ასაკამდე – საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შემთხვევაში;

– სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;

კანონით გათვალისწინებული საფუძვლით კომპენსაციის დანიშვნისათვის საჭირო შესაბამისი შესაძლებლობიის შეზღუდვის სტატუსის დაკარგვა;

– პირადი განცხადება;

– შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროში დადგენილ ვადაში გამოუცხადებლობა, თუ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი;

– სახელმწიფო პენსიის დანიშვნა;

– უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევება;

– საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა.

**აღსანიშნავია, რომ შეჩერებული კომპენსაციის, სტიპენდიის შეწყვეტა მოხდება შეჩერებიდან 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ.**

მოსალოდნელი გაუგებრობათა თავიდან აცილების მიზნით, აქვე განვმარტავთ, რომ შეჩერებული კომპენსაციის, სტიპენდიის განახლება მოხდება მისი მიმღები პირის მიერ ფონდში კომპენსაციის, სტიპენდიის განახლების თაობაზე განცხადების შეტანის მომდევნო თვეს და ანაზღაურდება წარსული დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა კომპენსაციის, სტიპენდიის შეჩერების დღიდან.

**შეწყვეტილი კომპენსაციის, სტიპენდიის აღდგენა (განახლებაძ მოხდება კომპენსაციის, სტიპენდიის განახლებისათვის საჭირო წერილობითი განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების ფონდში წარდგენის დღიდან, კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით.**

თუ იმ პირს, რომელიც კომპენსაციას ან სტიპენდიას იღებდა, მისი შეწყვეტის შემდეგ წარმოეშობა კომპენსაციის ან სტიპენდიის დანიშვნის ახალი საფუძველი, მისი სურვილით, შეუძლია მოითხოვოს ადრე დანიშნული კომპენსაციის, სტიპენდიის აღდგენა ან ახლის დანიშვნა, კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ასეთ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში, კომპენსაციის, სტიპენდიის მიღება ხორციელდება პირის არჩევანის საფუძველზე.

გასათვალისწინებელია, რომ კანონით დადგენილი კომპენსაციის, სტიპენდიის მაქსიმალური ზღვარი არ ვრცელდება „საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონით დანიშნულ ოდენობებზე.

დანარჩი №1
სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური თანამდებობის ჩამონათვალი:

1. პროფესორი;
2. დოცენტი;
3. კონსულტანტი;
4. მთავარი კონსულტანტი;
5. უმცროსი მასწავლებელი;
6: მასწავლებელი;
7. უფროსი მასწავლებელი;
8. ლაბორანტი;
9. უფროსი ლაბორანტი;
10. სტაჟიორ-მკვლევარი;
11. ასისტენტი;
12. უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი;
13. მეცნიერი თანამშრომელი;
14. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
15. წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი;
16. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
17. მეცნიერი კონსულტანტი;
18. მთავარი მეცნიერი კონსულტანტი;
19. საპატიო დოქტორი;
20. სამეცნიერო განყოფილების (ლაბორატორიის, ცენტრის, სექტორისძ გამგე, უფროსი;
21. სწავლული მდივანი.

* * *

22. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში;
23. ინსტიტუტის დირექტორი;
24. ინჟინერი;
25. უფროსი ინჟინერი;
26. წამყვანი ინჟინერი;
27. პროგრამისტი;
28. ინჟინერი პროგრამისტი;
29. უფროსი ინჟინერი პროგრამისტი;
30. ტექნიკოსი;
31. მთარგმნელი, თარჯიმანი (შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულშიძ;
32. ელექტრიკოსი (შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულშიძ;
33. მეთევზე (შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულშიძ;
34. მყვინთავი (შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულშიძ;
35. ზოოტექნიკოსი (შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულშიძ;
36. უფროსი ზოოტექნიკოსი (შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულშიძ;
37. ვეტექიმი (შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულშიძ;
38. უფროსი ვეტექიმი (შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულშიძ;
39. ტექნოლოგი (შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულშიძ;
40. უფროსი ტექნოლოგი (შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულშიძ;
41. უფროსი ქიმიკოსი (შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულშიძ;
42. აგრონომი (შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულშიძ;
43. უფროსი აგრონომი (შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულშიძ;
44. მიკრობიოლოგი (შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულშიძ;
45. უფროსი მიკრობიოლოგი (შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულშიძ.

### რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მონიტორინგმა მძიმე ტექნიკის კვალი გამოავლინა

**რუსეთის, საქართველოს და ჩრდილოეთ ოსეთის სამხედრო მეთვალყურეებმა, ეუთოს მისიის წარმომადგენლებთან ერთად, განახორციელეს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ჩრდილოეთი საზღვრის მონიტორინგი, რომელიც შედის შერეული სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის ზონაში.** იქ, ეუთოს ინფორმაციით, 11 აგვისტოს შენიშნეს ჯავშანმანქანა. როგორც შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებულ შტაბში გვაცნობეს, ადგილმდებარეობის დათვალიერების დროს სამონიტორინგო ჯგუფმა ჯრიის დასახლებულ პუნქტთან აღმოაჩინა მძიმე ტექნიკის კვალი, რომელმაც დაადასტურა, რომ ობიექტი შევიდა 150 მეტრზე შერეული სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის ზონაში. ჯერჯერობით ვერ დაადგინეს, თუ რომელ მხარეს ეკუთვნის ჯავშანტექნიკა. სხვა სამხედრო ტექნიკა, შეიარაღებული ადამიანები ან საფორტიფიკაციო ნაგებობები შემოწმების მომენტში არ აღმოუჩენიათ, იტყობინება შერეული სამშვიდობო ძალების შტაბი.



REGNUM
14 აგვისტო

# საექსპერტო მილსადენის შესაძლო კოროზია ემუქრება საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ტრანსკავკასიის ნავთობსადენს ემუქრება მილების კოროზია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ეკოლოგიური კატასტროფა საქართველოში, აზერბაიჯანსა და თურქეთში, აცხადებს „პლატფორმ“ საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაცია.** ასეთი განცხადება გაკეთდა მას შემდეგ, რაც ნავთობსადენის მშენებლობის კონსორციუმის მეთაური კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმი“ იძულებული გახდა შეეწყვიტა ნავთობის მოპოვება ალიასკის საბადოებში ამ კომპანიის კონტროლსდაქვემდებარებულ ტრანსალიასკის ნავთობსადენის სწრაფი კოროზიის გამო. „პლატფორმის“ თანამშრომლის მიკ მინიო პალუელოს თქმით, კავკასიაში ნავთობსადენის მშენებლობის დროს „ბრიტიშ პეტროლიუმს“ უფრო ნაკლებად ზრუნავდა ეკოლოგიური უსაფრთხოება, ვიდრე ალიასკაში. ყოველივე ამის შედეგად, ნავთობით გაჭუჭყიანების საფრთხე შეექმნა იმ რაიონებს, რომლებზეც გადის ტრანსკავკასიის ნავთობსადენი, მათ შორის – უკნიკალურ ბუნებრივ ნაკრძალებსაც, მიაჩნიათ „პლატფორმის“ ექსპერტებს.

REGNUM
14 აგვისტო



### პიროვნება

# ძმა-კაცები



**ამ დღეებში კუბის რევოლუციის ლიდერს კომანდანტე ფიდელ კასტროს 80 წელი შეუსრულდა. უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა (1959 წლიდანძ ფიდელს ხელიდან არ გაუშვია ძალაუფლება. მაგრამ წლებს თავისი მიაქვს და მოაქვს კიდეც – ამჟამად კუბის ლიდერი ავად არის. სწორედ ავადმყოფობის გამო ფიდელმა ქვეყნის პრეზიდენტობა დროებით (გამოჯანსაღებამდეძ თავის ღვიძლ ძმას – რაულს ანდო, რომელიც ფიდელის ყველაზე უფრო ნდობით აღჭურვილი თანამებრძოლია. ძმები მუდამ ძმაკაცებიც იყვნენ...**

# რა დათმო ორმა ვიქტორმა

## და რა „კუდს გამოიქნევს“ ის რუსეთისთვის

### იუშჩენკოს დათმობანი:



**დათანხმდა ნატოში უკრაინის წევრობის საკითხის საყოველთაო რეფერენდუმზე გატანაზე.**

(რუსეთს ეს აწყობს, ვინაიდან სადღეისოდ უკრაინელთა უმრავლესობა ბლოკში შესვლის წინააღმდეგიაძ.

უარი თქვა უკრაინაში ერთიანი საადგილმამულო (უნიატურულიძ ეკლესიის შექმნის იდეის მხარდაჭერაზე.

(რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ფართო უკრაინული ეპარქია მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში დარჩა. რუსეთს შემორჩა მძლავრი რელიგიური ბერკეტი უკრაინაზე გავლენისთვისძ.

დასთანხდა ქვეყნის მონაწილეობაზე ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირებაში რუსეთთან, ბელორუსიასთან და ყაზახეთთან ერთად.

(რუსეთს ეძლევა თავის ეკონომიკური სტრუქტურაში მეზობლის „გადაქაჩვის“ შესაძლებლობაძ.

### იანუკოვიჩის დათმობანი:



**ვერ შეძლო რუსული გაეხადა მეორე სახელმწიფო ენად. მაგრამ დაარეზერვა მისი რეგიონალურობის სტატუსი.**

(უკრაინის რუსულენოვანი ოლქების რუსეთთან ეთნოკულტურული კავშირები არ შესუსტდება. თუმცა საერთოდ ქვეყანაზე რუსეთის საინფორმაციო გავლენა ქვეითდება.

უარი თქვა უკრაინის სახელმწიფო მოწყობაში ფედერალიზმის პრინციპის შემოღებაზე.

(„პრორუსული“ რეგიონები არ მიიღებენ ავტონომიურობის სტატუსს. მათი რუსეთთან ადმინისტრაციულ-სამეურნეო კავშირები განხორციელდება მხოლოდ კიევის მეშვეობითძ.

დათანხმდება ევროკავშირთან უკრაინის დაახლოვების კურსზე და მომავალში იქ შესვლაზე.

(უკრაინას ეს „გააწინწილებს“ ევროკავშირსა და ერთიან ეკონომიკურ სივრცეს შორის. ევროპული ალტერნატივა ჯერჯერობით კიევისთვის მიმზიდველად გამოიყურება. ეს კი იმის საშიშროებას ქმნის, რომ ერთიან ეკონომიკურ სივრცესთან უკრაინის მიერთება ვერ მოხერხებაძ.

## რა უნდათ რუსებს უკრაინელებისგან?

| | მომხრე | მოწინააღმდეგე | სულ ერთია |
|---|---|---|---|
| ნატოში უკრაინის შესვლა | 8 პროცენტი | 56 პროცენტი | |
| უკრაინის შესვლა ევროკავშირში | 22 პროცენტი | 22 პროცენტი | 36 პროცენტი |
| უკრაინის შესვლა ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ბელორუსიასთან, რუსეთთან და ყაზახეთთან ერთად | 60 პროცენტი | 8 პროცენტი | |
| ყირიმის დაბრუნება რუსეთის შემადგენლობაში | 79 პროცენტი | 8 პროცენტი | |


**განჩინება**

საქართველოს სახელით

11.08. 2006 წელი ქ. ხონი

**ხონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ო. მარჯანიშვილმა განიხილე სს „კოლხეთის“ გაკოტრების მმართველის მ. მელქაძის განცხადება კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ.**

**ვიხელმძღვანელე რა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით**

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :**

მოწვეულ იქნას სს „კოლხეთის“ მიმართ კრედიტორთა კრება ხონის რაიონული სასამართლოს შენობაში (ხონი ჭანტურიას ქ. № 4ძ 2006 წლის 24 აგვისტოს 11 საათზე.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდეს ცენტრალურ პრესაში.

მოსამართლე:
ო. მარჯანიშვილი.



# კვალი პაკისტანში მიდის

**ყველა ის პირი, რომელიც გეგმავდა დივერსიებს ბრიტანეთ-აშშ-ს დამაკავშირებელ ავიახაზებზე, შეერთებულ სამეფოში მცხოვრები მუსულმანია. მაგრამ ამ შეთქმულების მთავარი ცენტრი, მისი მატერიალური და ფინანსური ბაზა მდებარეობს პაკისტანში. გასულ კვირას ბრიტანეთის პოლიციის მიერ დაკავებულ ათობით ეჭვმიტანილს შორის 17 კაცს ნათესავები ჰყავს პაკისტანში, რამდენიმე მათგანი კი ამ ცოტა ხნის წინათ იმყოფებოდა იქ თავიანთი დაჯგუფებების წევრებთან შესახვედრად და მათგან ინსტრუქციის მისაღებად.**

ეს ჟურნალისტებს აცნობეს შეერთებული შტატების და ევროპის სპეცსამსახურების თანამშრომლებმა. ისლამაბადში გამოაცხადეს, რომ დააკავეს 7 კაცი და დასძინეს, რომ პაკისტანმა გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ტრაგედიის თავიდან აცილების საქმეში. დაპატიმრებულთაგან ორი ძმები არიან — ორივე ბრიტანეთის ქვეშევრდომია. ერთ-ერთი რაუფ რაშიდი, დააკავეს პაკისტან-ავღანეთის საზღვრების მიდამოებში. პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მტკიცებით, იგი იყო „ცენტრალური ფიგურა“ ავღანეთში დაბანაკებულ „ალ-ყაიდასთან“ კავშირის დროს.

შეერთებული შტატების, ინგლისის და პაკისტანის ოფიციალური პირები აღიარებენ, რომ „ალ-ყაიდას“ ქსელი არ არის ბოლომდე განადგურებული. მაგრამ, თუ პაკისტანი ცდილობს თავი წარმოაჩინოს დასავლეთის საიმედო მოკავშირედ და ამტკიცებს, რომ „ალ-ყაიდას“ ნარჩენებმა თავი მეზობელ ავღანეთში შეაფარეს, ამერიკის სადაზვერვო წრეებში სულ სხვაგვარად ფიქრობენ. იქ მიაჩნიათ, რომ ამ იდუმალებით მოცული დაჯგუფების ლიდერებმა თავშესაფარი სწორედ პაკისტანში ჰპოვეს. თანაც, 2001 წელს 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ იქ ისლამისტი-მოთარეშეების რიცხვი გაიზარდა. კიდევ უფრო მეტიც, ამ ადამიანებს სიმპათიით ეკიდება პაკისტანის საუწყებათაშორისო დაზვერვის ზოგიერთი ოფიცერიც.

ეს სიტუაცია თითქმის აბსურდულია. ქვეყნის პრეზიდენტმა გენერალმა ფერვეზ მუშარაფმა პაკისტანი ხომ გამოაცხადა ანტიტერორისტული კოალიციის მონაწილედ და პაკისტანელთა ჯარები აწარმოებენ საომარ მოქმედებას ავღანეთის საზღვრებთან თალიბების წინააღმდეგ, რომლებიც იფარავენ „ალ-ყაიდას“. მაგრამ საქმე ის არის, რომ შეერთებული შტატების მეთაურობით მოქმედი ეს ალიანსი არ არის პოპულარული მუსულმანთა შორის, მით უმეტეს — დაზვერვის იმ ოფიცერთა შორის, რომლებიც გასულ ათწლეულში სემინარიის სტუდენტებისგან ქმნიდნენ „თალიბანის“ მოძრაობას, რათა მისი მეშვეობით დაემყარებინათ კონტროლი ავღანეთში და გაეჩაღებინათ პარტიზანული ომი ინდოეთის წინააღმდეგ.

მაგრამ, ლონდონმა თუ შეძლო ტრაგედიის თავიდან აცილება, ინდოელები თავს ასე დაცულად არ გრძნობენ. ქვეყნის ხელისუფლებამ უკვე აკრძალა თვითმფრინავებში თხევადი მასალების შეტანა.

11 ივლისს ააფეთქეს რამდენიმე ბომბი ქალაქ ბომბეის საგარეუბნო მატარებლებში. დაიღუპა 207 კაცი. რამდენიმე ეჭვმიტანილის დაპატიმრების შემდეგ, დელიმ ამაში დაადანაშაულა მთელი რიგი ექსტრემისტული ორგანიზაციები, რომლებიც დაბანაკებულები არიან ქაშმირის პაკისტანურ ნაწილში. ვითარების განმუხტვის პროცესი გაჭიანურდა, დელიმ და ისლამაბადმა კი, სხვა ვერაფერი ვერ მოიფიქრეს იმაზე უკეთესი, რომ თავთავიანთ ქვეყნებიდან გაეძევებინათ თითო დიპლომატი.

ინდოელთა აზრით, ძალზე საშიშია, რომ პაკისტანის აგენტურა ახერხებს ადამიანების გადაბირებას ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობის წარმომადგენელთა შორის და მათ მიერ განხორციელებული ნებისმიერი ტერორისტული აქტი მიზნად ისახავს ინდოეთში დემოკრატიის საფუძვლებისთვის ძირის გამოთხრას და შუღლის დათესვას ინდუსებსა და ქვეყანაში მცხოვრებ მუსლიმანებს შორის.

# ოპერაცია ლიბანში — ირანში ომის დაწყების რეპეტიცია?



**თეთრმა სახლმა უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს ისრაელის ომი „ჰესბოლას“ წინააღმდეგ ჩაფიქრებული იყო როგორც აშშ-ირანის მომავალი ომის „რეპეტიცია“. ასეთი განცხადება გააკეთა შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უშიშროების საკითხებში სტივენ ჰედლიმ.**

თეთრი სახლის განცხადება გაკეთდა მას შემდეგ, რაც ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა სეიმურ ჰერშმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების და ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყეს სამხედრო სტრატეგიის საიდუმლო შემუშავება, რომელსაც გამოიყენებდა არა მარტო ისრაელის არმია „ჰესბოლას“ წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალებიც ირანში შესაძლო სამხედრო ოპერაციის დროს.



ჰერშის მტკიცებით, შეერთებული შტატები დათანხმდა, რომ ისრაელს განეხორციელებინა ოპერაცია ლიბანში და ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ კარგად იცოდა, თუ რის გაკეთებასაც აპირებდა ისრაელი სამხრეთ ლიბანში.

**სპეცსამსახურების და დიპლომატიური წრეების ანონიმური წყაროების დამოწმებით, ჰერში ჟურნალ „ნიუ იორკერის“ ორშაბათის ნომერში წერდა: ჯორჯ ბუში და რიჩარდ ჩეინი დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ „ჰესბოლას“ მიწისქვეშა სარაკეტო და სამეთაურო ობიექტების წარმატებული დაბომბვა იქნებოდა თავისებური პრელუდია ამერიკელთა მიერ იმ წინასწრები დარტყმის განხორციელებისათვის, რომელმაც უნდა გაანადგუროს ირანის ბირთვული ობიექტები. და ამ ობიექტების ნაწილი ასევე ღრმად მიწისქვეშ არის განლაგებული.**

# ფიდელ კასტრომ, ჩემი მკურნალობა შეიძლება გაჭიანურდესო

**კუბის ლიდერმა ფიდელ კასტრომ განაცხადა, რომ მისი გამოჯანმრთელების პროცესი შეიძლება გაჭიანურდეს. ამავე დროს, ფიდელის უმცროსმა ძმამ — 75 წლის რაულ კასტრომ დაიწყო საჯარო საქმიანობა. კერძოდ, ჰავანის აეროპორტში იგი დახვდა ვენესუელის პრეზიდენტს უგო ჩავესს, რომელიც ფიდელ კასტროს დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით ეწვია კუბას.**

ავადმყოფობის შემდეგ ფიდელ კასტრო შაბათს წარსდგა პირველად კუბელების წინაშე. გაზეთმა „ხუვენტუდ რებელდემ“ („მეამბოხე ახალგაზრდობა“)ძ გამოაქვეყნა კუბის ლიდერის ოთხი ფოტოსურათი. ერთ-ერთ ფოტოსურათზე ფიდელ კასტრო ტელეფონით ლაპარაკობს, მეორეზე კი, კითხულობს კომუნისტური პარტიის წამყვანი გაზეთის „გრანმას“ შაბათის გამოშვებას.

თავის ჯანმრთელობაზე და იუბილეზე საუბრის დროს, კასტრომ განაცხადა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა მაინც არსებობს საფრთხე. „მოგიწოდებთ, დარჩეთ ოპტიმისტებად, მაგრამ, ამავე დროს, ყოველთვის მზად იყავით ცუდი ახალი ამბებისთვის“, — თქვა კასტრომ თანამემამულეებისადმი მიმართვის დროს.

„იმის თქმა, რომ ჩემი ჯანმრთელობა გაუმჯობესდა, ტყუილი არ იქნება. მაგრამ ლაპარაკი იმაზე, თითქოს აღდგენითი პერიოდი მიმდინარეობდეს სწრაფი ტემპით და აღარ არსებობს საფრთხე ჩემი ჯანმრთელობისთვის, არ იქნებოდა მართალი“, — აღნიშნა მან.

**როგორც ცნობილია, 2006 წლის 31 ივლისს ფიდელ კასტროს გაუკეთეს სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია და ამ ბოლო 47 წლის განმავლობაში პირველად, მან გამოჯანმრთელებამდე დაკისრებული უფლებამოსილება დროებით გადასცა თავის 75 წლის ძმას რაულ კასტროს. იგი ამჟამად ასრულებს კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის და უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციებს.**



**ამერიკელი პორნოვარსკვლავი მერი კერი კალიფორნიის შტატის გუბერნატორის პოსტს ეცილება არნოლდ შვარცენეგერს.**

აღსანიშნავია, რომ კერი ჯერ კიდევ სამი წლის წინათ ცდილობდა დაეკავებინა „ოქროს შტატის“ ხელმძღვანელის სავარძელი, თუმცა ყოველივე ეს წარუმატებლად დასრულდა. მაგრამ, როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელია. ამ კამპანიის წყალობით პორნოვარსკვლავმა საყოველთაო პოპულარობა მოიხვეჭა.



კერიმ, რომელიც მაშინ 23 წლის იყო, არჩევნებზე მოაგროვა 10 ათასზე მეტი ხმა, რის შედეგადაც იგი 135 კანდიდატიდან გუბერნატორის პოსტის მაძიებელთა პირველ ათეულში მოხვდა.

წინასაარჩევნო აგიტაციის დროს კერი აცხადებდა, რომ შტატში შემოიღებდა გადასახადს სილიკონის მკერდისთვის, რათა შეივსოს კალიფორნიის ბიუჯეტი, აგრეთვე

# პორნოვარსკვლავმა კვლავ დაიწყო ბრძოლა კალიფორნიის გუბერნატორის პოსტისათვის

იარაღს შეცვლიდა პორნოგრაფიით, რაც შეუწყობდა ხელს დამნაშავეობის დონის შემცირებას, რადგან, პორნოვარსკვლავის აზრით, მამაკაცები დანაშაულს სჩადიან ხშირად იმის გამო, რომ ვერ ახერხებენ თავიანთი ჰორმონების დაოკებას.

არჩევნების შემდეგ კერიმ გადაიღო ორსაათიანი პორნოფილმი საარჩევნო კომპანიის შესახებ, რომელშიც მთავარი როლი თვითონ შეასრულა. ფილმში შევიდა რეალური საარჩევნო კამპანიის ამსახველი კადრები, აგრეთვე დადგმული სცენები, რომლებშიც ასახულია ის, რაც მოხდა კამპანიის კულისებს მიღმა. ერთ-ერთ სცენაში მსახიობი, რომელიც გუბერნატორობის კანდიდატის როლს ასრულებს, გამოთქვამს შეშფოთებას, თავისი მეტოქის კერის მაღალი რეიტინგის გამო, თუმცა ამავე დროს, ძალზე ვნებიანად ეალერსება პოლიტექნოლოგიათა საკითხებში თავის მრჩეველ-ქალს.

კერის აზრით, ახლა მას გამარჯვების დიდი შანსია აქვს. „როგორც ხედავთ, უფრო სერიოზულად ვარ ჩაცმული, თმებიც მუქწაბლისფრად შევიღებე, რადგან შავგვრემან-ქალებს უფრო სერიოზულად აღიქვამენ“, — განუცხადა პრეტენდენტმა ჟურნალისტებს ლოს-ანჯელეში.

**მაგრამ, როგორც პორნოვარსკვლავმა თქვა, მის საარჩევნო კამპანიაში დაიწყო უკვე პრობლემები: იმ 164 ათასი ხელმოწერიდან, რომლებიც საჭიროა ამა თუ იმ პირის დამოუკიდებელ კანდიდატად დარეგისტრირებისთვის, კერიმ მხოლოდ 40 ათასის მოგროვება შეძლო. თუმცა, იგი ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებს და გეგმავს ფართო აგიტაციის გაჩაღებას შტატის კოლეჯებში, უწინარეს ყოვლისა კი — შტატის ახალგაზრდა მამაკაცებს შორის.**

**კალიფორნიის შტატის გუბერნატორის არჩევნები 2006 წლის ნოემბერში გაიმართება.**

# აზერბაიჯანი თავის ტერიტორიაზე მეორე სომხური სახელმწიფოს შექმნას არ დაუშვებს

**აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა, რომ ბაქო არასდროს არ დაუშვებს თავის ტერიტორიაზე მეორე სომხური სახელმწიფოს შექმნას.**

„ჩვენ ვიცით, რომ მრავალ ქვეყანაში არსებობენ ეროვნული უმცირესობები, ავტონომიები, მაგრამ ნაციონალურ უმცირესობად ყოფნა იმას როდის ნიშნავს, რომ სეპარატისტულად გამოყო რომელიმე ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი და იქ შექმნა რაღაც სახელმწიფო“, — აღნიშნა პრეზიდენტმა საზღვარგარეთის ქვეყნებში აზერბაიჯანის ელჩების წინაშე გამოსვლისას.

**„ამბობენ, რომ მთიან ყარაბაღში მცხოვრებ სომხებს აქვთ თვითგამორკვევის უფლება, მაგრამ, სომხები ხომ სხვა ქვეყნებშიც ცხოვრობენ. მაშინ, სხვა სახელმწიფოებშიც მოითხოვონ მათ ასეთი თვითგამორკვევის უფლება“, — თქვა ალიევმა.**

პოლემიკა

# „ხმამაღლა ნაფიქრალი" უტიფრობა

**„იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიცაა ბეჭდვური სიტყვა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკიდურესობაზე უსაძაგლესია" – ბრძანებდა წმიდა ილია მართალი. სამწუხაროდ ილიას ეს შეგონება დავიწყებია ქალბატონ იზა ორჯონიკიძეს მის „ხმამაღლა ნაფიქრალში". ისე, ხმადაბლა, რომ ეკითხა და დაინტერესებულიყო აფხაზეთის საკითხით, თუ მართლა „აწუხებდა" მისი დაკარგვა, არავინ დაამადლიდა. მაგრამ ქ-ნ იზას არც იმ დროს შეუწუხებია თავი და არც მერე, თორემ ეცოდინებოდა, რომ მაშინ აფხაზეთი ჯერ კიდევ საბჭოთა გახლდათ და საქართველოს იურისდიქციის სრულად გავრცელება ამ ტერიტორიაზე შეუძლებელი იყო. ეს კი ქვეყნის პრობლემებით დაინტერესებულ პოლიტიკოსს კარგად უნდა სცოდნოდა.**

ქ-ნი იზა კი, (როგორც ჩანს შეგნებულადძ ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება, როცა გვიმტკიცებს: „აფხაზეთი მაშინაც დავკარგეთ, როცა ღალიძგის გადალმა ზ. გამსახურდიას ხელისუფლებამ არც ერთი პრეფექტი არ დანიშნა და საქართველოს იურისდიქციის გავრცელება აფხაზეთში რატომღაც არ ინება! რატომ?" იმიტომ, რომ უპირველეს ყოვლისა, კრემლის მიერ დაგეგმილი ომი აგვეცილებინა და აფხაზეთის ასსრ საოლქო კომიტეტის დღეგრძელობისათვის არ შეგვეწყო ხელი. აგრეთვე იმიტომაც, რომ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო გადარჩეულიყო მაქსიმალურად მოკლე დროში და ჩატარებულიყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს (უ.სძ არჩევნები, რაც აფხაზეთს საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში მოათავსებდა (ეს კი 1991 წლის ოქტომბერში მოხერხდა.ძ პრეფექტების დანიშვნა, რომ საქართველოს სამართლებრივი სივრციდან ამოვარდნილ ღალიძგისგადაღმა ტერიტორიაზე ძალის გამოუყენებლად ან ვითარების უკიდურესი გამწვავების გარეშე შეუძლებელი იყო, კამათს ნამდვილად არ უნდა იწვევდეს. როგორც ვხედავთ, ზ. გამსახურდიას ხელისუფლებას საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, სისხლის ღვრა და აფხაზეთის დაკარგვა კი არა, არამედ აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის გავრცელების თანმიმ-[redacted]

ეს თემა დაკვეთილია, შემკვეთთა მიზანია ომის წინაპირობის შექმნა როგორმე ზ. გამსახურდიას ხელისუფლებას აჰკიდონ. ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ქ-ნ იზას თანამოაზრეთა შორის აფხაზეთის მკვიდრი, ვინმე თემურ ჩილაჩავაც ამოტივტივდა, რომელსაც თურმე, აფხაზეთის საზოგადოებასთან ერთად გულს უწუხებდა აფხაზეთში შექმნილი იმდროინდელი ვითარება, მაგრამ დუმილი და დამალვა ამჯობინა. დღეს კი 15 წლის შემდეგ გვსაყვედურობს: **„საუბედუროდ მაშინ დეპუტატებს, ძირითადად, ირჩევდნენ (ნიშნავდნენძ პირადი ერთგულებისა და ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით.**



**აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1991 წელს აფხაზეთის ქართული საზოგადოების კატეგორიული პროტესტის მიუხედავად, თბილისმა და ფაქტიურად, „აიდგილარა"-მ მიიღეს აპარტეიდული საარჩევნო კანონი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს კომპლექტაციისა" ან კიდევ „ზოგ შემთხვევაში უმაღლეს საბჭოში არჩეულ იქნენ დეპუტატები, რომლებიც სათანადოდ ვერ ფლობენ საკანონმდებლო ორგანოს სამუშაო რუსულ ენას".** ხედავთ ქ-ნო იზა აზრთა როგორ დამთხვევასთან გვაქვს საქმე? ეს აფხაზეთის მკვიდრი, აფხაზეთში შექმნილ ვითარებაში „ღრმად ჩახედული", რუსული ენის დიდებული მცოდნე, (მისივე წერილიდან გამომდინარე ქართულსაც, რომ ვერ დაუწუნებ.ძ იმ დროს, ასსრ-ში, ვერც ერთ ენაზე, რომ ვერ შემოგვეხმიანა უგნურებსა და ვერ აგვიხსნა ის, თუ რა „მავნე", „ქვეყნის დამღუპველ", აპარტეიდულ კანონს ვთანხმდებოდით. „ქართველი საზოგადოების პროტესტის მიუხედავად" „აიდგილარას" რომ ჩავხუტებივართ და „დაგვიქცევია ქვეყანა". ან ის მაინც გვითხრას ამ ბრგე ვაჟკაცმა სად იყო მაშინ, როცა სოხუმის უნივერსიტეტს უჭირდა? ან მაშინ, როდესაც უნივერსიტეტის არსებობას საფრთხე შეექმნა? ისიც [redacted]

გილარა"-ს „მეგობრებს" კი, როგორც ვიცით, უზოძა სხვა დანარჩენი, და ისიც კარგად არის ცნობილი, რომ უფრო სამართლიანი არჩევნები საქართველოში არასოდეს არ ჩატარებულა და ალბათ არც ახლო მომავალში მოიაზრება.

უნებლიედ გაგონდება დიდი ილიას სიტყვები: **„უსრბილო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის"...**

გაზეთ „დიოსკურიაში" გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში **„სოხუმის უნივერსიტეტის დაარსებისათვის"**, თ. ჩილიჩავამ **„მისი საქმენი საგმირონიც"** გვიამბო. გამოგიტყდებით ქ-ნო იზა, რომ გამაკვირვა კიდევაც ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის მონათხრობმა: **„რამოდენიმე პიროვნება ჩავედით სოხუმიდან ადლერში, სადაც სამმხრივ კომისიას (რუსები, აფხაზები, ქართველებიძ უნდა რუსეთ-საქართველოს საზღვართან (მდ. ფსოუს სიახლოვესძ გაეკონტროლებინათ სატვირთო მანქანების ჩატვირთვა.**

**ჩვენს თვალწინ დღისით მართლაც მანქანები იტვირთებოდა შესაბამისი ჰუმანიტარული ტვირთით, მაგრამ მეორე დღის დილას ჩვენს გარეშე მანქანები იწყებდნენ მოძრაობას სოხუმისაკენ.**

**ადვილად მოსალოდნელია, რომ რუსები ღამით სატვირთო მანქანებს დამატებით ტვირთავდნენ „ნაკლებად ჰუმანიტარული ტვირთით (ავტომატები, ტყვიამფრქვევები, ნაღმები და სხვაძ ამის თაობაზე ჩვენ ვატყობინებდით ქართულ ხელმძღვანელობას სოხუმში, მაგრამ სოხუმში, სამწუხაროდ ქართულ „სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციის გამო", არ ხდებოდა ამ მანქანების დამატებითი დათვალიერება, რაც უფრო აძლიერებს იმ აზრს, რომ საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელობაში მრავლად იყვნენ ადამიანები, რომლებიც მოქმედებდნენ რუსული სცენარით".**

რას ან ვის ატყობინებდნენ პატივცემული კომისიის წევრები ჩვენ არ ვიცით, ის კი კარგად არის ცნობილი, რომ იმ დროს [redacted]

**მოგვთავაზა დამოუკიდებელი აფხაზეთის სახელმწიფოს სადღეგრძელო",...** ვკითხულობთ შემდეგ:

**„ბუნებრივია, რომ ჩვენ გამოვთქვით განსხვავებული აზრი, რაზედაც რუსეთის დელეგაციის სხვა საკმაოდ მაღალი ეშელონების წარმომადგენლებმა გვითხრეს (1993 წლის 26 ივნისიაძ: „Ребята, не езжаите в Сухуми, мы Сухуми возмем..."**

**„სოხუმში ჩამოსვლისთანავე, (17 ივნისიძ ეს ყველაფერი და აგრეთვე ის, რომ რუსები და აფხაზები გაგრაში ამზადებდნენ საავადმყოფოებს მომავალ საომარ მოქმედებებში დაჭრილებისათვის, ჩვენ ვთქვით დაუფარავად".** სად თქვეს? ვის უთხრეს და როგორ უთხრეს, რა თქმა უნდა, დასაზუსტებელია და ვფიქრობთ მომავალში ყველაფერს ნათელი მოეფინება. ალბათ ისიც გაირკვევა თუ რაზე ისაუბრეს მაღალჩინოსნებმა, ერთი კი ცხადია: „იზაბელა" იმდენად მათრობელა ყოფილა, რომ დღემდე ვერ გამოფხიზლებულა ეს მეტად საპასუხისმგებლო კომისიის ყოფილი წევრი.

ამდენედ ასეთ ინფორმაციას თუ ფლობდა ეს კაცი, საკითხავია, იმ დროს გამოცხადებულ ე.წ. „პერემირიე"-მდე გახიზნულ მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს შინ დაბრუნებას, რომ სთხოვდნენ (რაც საყოველთაოდ ცნობილიაძ რატომ წინ არ გადაეღობა მათი გადარჩენის მიზნით და ან განგაში არ ატეხა? ამით ხომ ასეულობით ადამიანს გადაარჩენდა აი, ეს კი იქნებოდა ბუნებრივი და ღირსეული საქციელი.

როგორც ვხედავთ ბ-ნი თ. ჩილაჩავას „მოღვაწეობა" ომამდე და ომის დროს მრავალ კითხვას და ეჭვს ბადებს, მაგრამ ის, რომ არითმეტიკა ბრწყინვალედ იცის, ეჭვი არ [redacted]

და დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ". „გამარჯვებით" ფრთაშესხმულ სეპარატისტთა და დეკლარაციით აღშფოთებულ ქართველთა დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. აფხაზეთში მშვიდობა ბეწვზე ეკიდა. ერთ მუშტად შეკრული „აიდგილარა", „სლავიანსკი დომ" და „კრუნკი" მზად იყვნენ ნებისმიერი პროვოკაციის მოსაწყობად (მით უფრო, რომ შესანიშნავად ხედავდნენ სხვადასხვა პარტიებში გაწევრიანებულ და დაპირისპირებულ ქართველთა დაძსაძსულობას, როგორც ხედავთ, აფხაზეთის ქართული მოსახლეობა პოლიტიკურ ტერორს განიცდის. საქართველო პოლიტიკურად და იურიდიულად ერთიანი არ არის. ასეთ მდგომარეობაში, რომ გადასარჩევი იყო დრომოჭმული და ვადაგასული ასსრ უმაღლესი საბჭო, რაც ახალი საარჩევნო კანონის გარეშე ვერ მოხდებოდა, საკამათო არ უნდა იყოს, მაგრამ კანონი, რომელიც მიიღო ასსრ უ.ს-მ ქართულ მხარესთან შეთანხმებით, ეროვნული ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულად სურთ წარმოადგინონ. ვნახოთ რა მოხდა სინამდვილეში?

რამ განაპირობა ის კომპრომისული ნაბიჯი, რომელიც გადადგა ეროვნულმა ხელისუფლებამ იმ აგრესიულ ფონზე, რომელსაც ქმნიდა აგონიაში მყოფი საბჭოთა სახელმწიფო. მხოლოდ „მარაზმში" ჩავარდნილისათვისაა უცნობი, რომ კრემლში შექმნილი სცენარი ე.წ. ეთნოკონფლიქტებისა, აშკარად იდგამდა ფეხს აფხაზეთში, რათა საქართველოს არ მისცემოდა საშუალება დამოუკიდებელი განვითარებისათვის. თქვენ კი, როგორც ჩანს, მხოლოდ ის გაგიგიათ,- რომ აფხაზები მოსახლეობის 17 პროცენტს შეადგენდნენ და მეტი არაფრით დაინტერესებულხართ, ვითარება კი გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე თქვენ ცდილობთ წარმოაჩინოთ სინამდვილეში ქართველები, მოსახლეობის 45,7 პროცენტს,, აფხაზები – 17,8 პროცენტს, , ხოლო სხვა ეროვნება 36,5 პროცენტს წარმოადგენდა. 45,75 რომ არ არის თუნდაც 50 პროცენტი მტკიცებას ვფიქრობთ არ საჭიროებს. ხოლო იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველთა დიდი უმრავლესობა (80 ათასიძ კომპაქტურად მხოლოდ გალის რაიონში იყო დასახლებული და საარჩევნო ოლქებს საბჭოთა აღმასკომები ქმნიდნენ, ქართველთა მდგომარეობა სახარბიელოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდა.

**მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ „აიდგილარა", „სლავიანსკი დომ", „კრუნკ"-ი, „აფხაზეთის დემოკრატიული პარტია" (ადპძ და „ლდპრ" (ჟირინოვსკის პარტიაძ საარჩევნო ბლოკ „სოიუზ"-ად ჩამოყალიბდა და დაუპირისპირდა ქართულ მხარეს ანუ მოსახლეობის უმცირესობას (45,7 პროცენტიძ. ამას ისიც დაემატა, რომ საქართველოში არა და არ მოხერხდა იმის შეგნება, რომ რასაც „იტანდა" (მხედველობაშია პარტიათა დაპირისპირებაძ თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი და თუ გნებავთ გალი, ვერ იტანდა სოხუმი, გაგრა, ოჩამჩირე,ტყვარჩელი, ახ. ათონი და სხვა, რადგანაც საარჩევნო ოლქებში ქართველთა რაოდენობა უმცირესობას წარმოადგენდა. კვოტა კი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მიუხედავად ქართველთა მცირე რაოდენობისა, ამა თუ იმ საარჩევნო ოლქში, არჩეული მხოლოდ ქართველი იქნებოდა. მაგალითად, სოხუმის ყველაზე ქართულ ოლქში, სადაც მე ვიყრიდი კენჭს და ორჯერ ამირჩიეს საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში, ქარველი ამომრჩეველი არ აღემა-**

ტებოდა 37 პროცენტს (ბლოკ „სოიუზმა“ მაშინ პოლიტიკური მოსაზრებების გამო ბოიკოტი გამოაცხადა და კანდიდატი არ წარადგინაძ. წარმოვიდგინოთ, რომ ჩემთან ერთად კენჭი ეყარა არა ქართველს, არამედ აფხაზს, რუსს ან სხვას? ყველაზე ნაკლები 50 პროცენტი პლუს ერთი ხმა ხომ გარანტირებული ჰქონდათ. როგორც ვხედავთ, არჩევნებში ბლოკ „სოიუზის“ უპირატესობა აშკარაა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. ამას ისიც მოწმობს, რომ ამომრჩეველთა სრული რაოდენობა 315034-ია, რომელთაგან ქართველი მხოლოდ 143921-ია და ამ რაოდენობის თითქმის ორი მესამედი გალისა და გულრიფშის რაიონებშია განსახლებული. საზოგადოებას კარგად ახსოვს, თუ რა დაძაბულ ვითარებაში გვიხდებოდა საარჩევნო კანონზე მუშაობა, სსრკ ხელისუფლების და პარტიული ნომენკლატურის აშკარა ზეწოლის ქვეშ ალმოჩენილ ქართულ-აფხაზურ ჯგუფს, ზემოთ აღნიშნული პრობლემებისა და ნიუანსების გათვალისწინების გარდა, აფხაზეთში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებაც უხდებოდა და ამ პირობებში მაინც მოხერხდა კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღება. კერძოდ: 1991 წლის 27 აგვისტოს თქვენთვის მიუღებელ საარჩევნო კანონთან ერთად ორი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური ცვლილებაც იქნა მიღებული:

1. კონსტიტუციის 98-ე მუხლს დაემატა: „კანონები და სხვა აქტები აფხაზეთის ასსრ სამართლებრივი სტატუსის საკითხებზე მიიღება უ.ს.-ს რაოდენობის ორი მესამედი ხმებით“.

2. „აფხაზეთის ასსრ საყოველთაო სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმისძ შესახებ“ კანონის მე-5 მუხლს მე-3 ნაწილად დაემატა შემდეგი ტექსტი: „გადაწყვეტილება რეფერენდუმის ჩატარების შესახებ იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია აფხაზეთის კონსტიტუციის ცვლილებასთან, შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ აფხაზეთის უ.ს დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედი ხმებით“. ხოლო კანონი კვოტური წარმომადგენლობითი ფორმულით 26-28- 11 ერთი შეხედვით კი არის კომპრომისული, მაგრამ მეორეს მხრივ პრაგმატულიცაა და ზემოთ მო [redacted] ბებთან ერთად სა [redacted] ხელმწიფოს მთლ [redacted] ც. ამავდროულად [redacted], დაუნახაობა კი [redacted] რაზმია“, მით უმეტ [redacted] ფაქტორის აღდგ [redacted] და ხელს.

ახლა კი [redacted] ასკვნათ, რომ საქარ [redacted] ვნულმა ხელისუფ [redacted] ურიდიული და ს [redacted] ი პირობა შექმნა, [redacted] მთლიანობას საფ [redacted] ოდა და შენარჩუ [redacted] ვიდობა აფხაზეთ [redacted] ვია, რომ წლების მა [redacted] რთი ამდენად მნი [redacted] ოკუმენტი არ მიღ [redacted] ს სახით, რომელი [redacted] დგენის თვალსაზ [redacted] ცედენტოა და რ [redacted] ქვს უნდა უქარწ [redacted] კლებად პრაგმატ [redacted] ვნე პოლიტიკოს [redacted] ლენათა შემდგომმ [redacted] მ მკვეთრად შეცვ [redacted] ობა საქართველო [redacted] კი ომის წინაპირო [redacted] ფუძველი და მტ [redacted] გეგმები რეალობა [redacted] მწიფო გადატრია [redacted] ფხაზეთის ტრაგ [redacted] დებოდა, ამისათვი [redacted] ბლობა იმ ხელის [redacted] ება, რომელსაც თ [redacted] რ მეცნობი, მოყვრ [redacted] რმოადგენდით. ი [redacted] ლის გაყალბებას [redacted] ბულად ცდილობე [redacted] რის ადგილს მიუ [redacted]

**[redacted] ბზარ [redacted] ვილი,**
**აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატი**

◉ გენერალური მდივნის კარის კონკია

# ლუბოვ ბრეჟნევა:
# „ბიძაჩემი უბედური კაცი იყო“



*ლეონიდ ბრეჟნევის ქალიშვილ გალინას შესახებ დაიწერა ასობით სტატია, გამოქვეყნდა წიგნები, გადაღებულია ფილმები. მისი ბიძაშვილის — ლუბოვ ბრეჟნევას ბედი კი ნაკლებად დრამატული და საგულისყუროა.*

## გულუბრყვილო პროვინციელი

**— დავიბადე ურალში, დედაჩემი კაზაკების შთამომავალია. ჩემი დიდი პაპა კაზაკთა ატამანი იყო. ჩემმა მშობლებმა ომის დროს გაიცნეს ერთმანეთი. მაგნიტოგორსკში განახორციელეს იმ მეტალურგიული ტექნიკუმის ევაკუაცია, რომელშიც მამაჩემი სწავლობდა, და რომლის რექტორიც ომამდელ წლებში იყო ლეონიდ ბრეჟნევი. ჰოდა, შეხვდა 17 წლის ულამაზეს გოგონას — დედაჩემს, რომელსაც დაუმალა, რომ ცოლი ჰყავდა. დედამ ყოველივე ამის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა რვა თვის ფეხმძიმე იყო — მიიღო წერილი მამაჩემის ცოლის მამისგან. მოულოდნელმა ელდამ მას ფეხები წაართვა, მაგრამ მაინც, მამასთან ცხოვრება აღარ მოინდომა, ჩასვა იგი მატარებელში და ოჯახში დააბრუნა.**

— მამაჩემს პირველად შევხვდი, როცა 4 წლის ვიყავი. დედამ მას ჩვენთან ჩამოსვლის ნება დართო, როცა გათხოვება დააპირა. მას შემდეგ მამასთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია, თუმცა დედაჩემი ყოველთვის ცდილობდა, რომ მამინაცვალთან უფრო ახლოს ვყოფილიყავი.

— ლეონიდ ბრეჟნევი კი პირველად ვნახე, როცა 5 წელი შემისრულდა. როცა ბიძაჩემმა დაიწყო კარიერაში დაწინაურება, დედამ მამის გვარზე დამწერა, და მეც ბრეჟნევა გავხდი.

— ლეონიდ ილიჩს სურდა, რომ მისი ყველა ნათესავი გადასულიყო დედაქალაქში. 1964 წლის მარტში პირველად ჩავედი მოსკოვში. მაშინ ვიყავი ერთი ჩვეულებრივი პროვინციელი, მოკრძალებული, გულუბრყვილო გოგონა.

მამამ დამაბინავა სასტუმრო „მოსკოვის“ ლუქსში. ამის შემდეგ მივხვდი, რომ ნომერი დაიქირავეს არა იმდენად ჩემთვის, რამდენადაც იმისთვის, რომ იქ საიდუმლო მოლაპარაკება გაემართათ საოლქო კომიტეტების მდივნებთან. მამა თავის ძმას ეხმარებოდა ხრუშჩოვის დამხობისათვის გამიზნული შეთქმულების ორგანიზებაში.

მე, როგორც ყველა გოგო, მსახიობობაზე ვოცნებობდი და მამაჩემმაც, რომელსაც ერთ დროს ჰქონდა რომანი ფურცევასთან, იკისრა ჩემი მოწყობა კინემატოგრაფიის სახელმწიფო საკავშირო ინსტიტუტში. ეკატერინე ფურცევას ჩავაკითხეთ აგარაკზე. როცა მამამ იქიდან გაალვიძა, ფურცევა — კულტურის მინისტრი — გაექანა, გადაეხვია მამაჩემს და პირდაპირ განუცხადა, რომ ინსტიტუტში ჩემი ჩარიცხვის საქმე გადაწყვეტილია და ხვალვე გადამიღებენ მთავარ როლში ბონდარჩუკთან. ჩემი მსახიობობის საკითხს აღარ დავბრუნებივართ. გადაწყდა, რომ ჩავაბარებდი უცხო ენათა ინსტიტუტში.

## „ბრეჟნევის ძმისწულის“ დამღა

**ძალზე საინტერესო იყო ჩემი ინსტიტუტში მოწყობის ამბავი. გამოცდების დროს ყველა სუნთქვაშეკრული მიყურებდა და აკანკალებული ხელით მიწერდნენ ხუთიანებს. პრინციპში ეს უნდა გამხარებოდა. მაგრამ იმთავითვე მივხვდი, რომ ყოველივე ამისთვის მომიწევდა საზღაურის გაღება.**

როცა მამაჩემმა პირველად მიმიყვანა ინსტიტუტში, ვთხოვე მას მანქანა შესასვლელი კარიდან მოშორებით გაეჩერებინა, რათა არავის დაენახა. დერეფანში გოგონები იდგნენ და უცებ ასეთი რამ მომესმა: „იცით, რომ ჩვენთან ერთად ისწავლის თვით ამხანაგ



ბრეჟნევის ძმისწული?“

ასეთივე ბედი ეწია მამაჩემსაც, რომელმაც მთელი ცხოვრება ვერ მოიშორა „ბრეჟნევის ძმის“ დამღა. ერთხელ მამამ თქვა: „მთელი ცხოვრება ჩემი ძმის გამონაცვალი ტანსაცმლით დავდიოდი (ძია ლიონია მასზე 7 წლით უფროსი იყოძ და ახლაც ეს მაცვია“.

მამა კარგი, გულისხმიერი ადამიანი იყო, ისევე როგორც ლეონიდ ილიჩი. მთელი ცხოვრების განმავლობაში მუშაობდა მეტალურგიულ კომბინატში საამქროს უფროსად. როცა ლეონიდ ილიჩი „დიდი კაცი“ გახდა, მან მოსკოვში გადაიყვანა ყველა ნათესავი. მამაჩემს დააწყებინეს მუშაობა მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში განყოფილების გამგის თანამდებობაზე. პირველ ხანებში მამა ერთთავად ამბობდა, რომ არ იცოდა თუ რა უნდა ეკეთებინა. შემდეგ გადაიყვანეს შავი და ფერადი მეტალურგიის სამინისტროში. მამაჩემის გაცნობა ყველას სურდა, ჰოდა, იგი გადაეშვა სისხლსავსე ცხოვრების მორევში — დადიოდა რესტორნებში, თანდათანობით მოუმატა სმას.

მეც საკმაოდ არასახარბიელო სიტუაციაში აღმოვჩნდი. ერთის მხრივ, ყველა მეპყრობოდა, როგორც გენერალური მდივნის ძმისწულს, ბიძაჩემთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ მეორეს მხრივ — მისმა ოჯახმა არ მოისურვა ჩემი მიღება. ისე იქცეოდნენ, თითქოს ვერც კი მამჩნევდნენ. ლეონიდ ილიჩმა სცადა ჩემი დაცვა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა...

როცა მქონდა რომანი გერმანელთან, ბიძაჩემი უკვე მერიდებოდა. ჰელმუტს, სამხედრო აკადემიის მსმენელს, შევხვდი სახელგანთქმული რომან კარმენის ბინაში. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება.

ჩვენ ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ, როგორც ჩანს, ვიღაცამ „ზემოდან“ გასცა ბრძანება, რომ ჩვენი ურთიერთობა აღარ გაგრძელებულიყო. პირველ ხანებში ვამჩნევდი, რომ სახლში ჩემი არყოფნის დროს, იქ ვიღაც შედიოდა, დავკარგე რაღაც ნივთები და წერილები. შემდეგ კი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები საერთოდ აღარც კი მერიდებოდნენ.

ერთხელ, გამომიძახეს დაკითხვაზე და პირდაპირ განმიცხადეს, რომ უნდა შემეწყვიტა ურთიერთობა „ჩემს ფაშისტთან“. ვცადე, არაორაზროვნად მიმენიშნებინა მათთვის, თუ ვინ იყო ბიძაჩემი, ვუთხარი, რომ გენერალურ მდივანს ძალიან უყვარს თავისი ძმისწული. ამის პასუხად მათ მხოლოდ გაიცინეს, და ასევე არაორაზროვნად მითხრეს, რომ მსგავსი შეხვედრები ხშირად მთავრდებოდა დასაკითხად გამოძახებული პირის თვითმკვლელობით. ეს უკვე მეტისმეტი იყო. მე და ჰელმუტმა გადავწყვიტეთ განცხადება შეგვეტანა მმაჩის ბიუროში. როცა განცხადების მიღებაზე უარი გვითხრეს, მე ვთქვი, რომ კანონი უცხოელებთან ქორწინების შესახებ გაუქმებული იყო. „გაუქმებულია ყველასთვის, ბრეჟნევის ძმისწულის გარდა“, — ასეთი პასუხის მივიღე.

უკანასკნელი იმედი იყო ბიძაჩემთან დალაპარაკება. მაგრამ იგი ძალზე ნეგატიურად შეხვდა ჩემს რომანს გერმანელთან. როცა ვთხოვე, რომ დაერთო ჩემთვის და ჰელმუტისთვის საზღვარგარეთ წასვლის ნება, მან ასე მიპასუხა: „შენ თუ გაგიშვი — სხვებიც გაიქცევიან, ჰოდა, დავრჩებით აქ მარტო მე და კოსიგინი. თანაც, თუ შანსი მიეცემა, კოსიგინიც „მოტყდება“. მალე ჰელმუტს მოუწია ბერლინში დაბრუნება.

ბოლო წლებში ბიძაჩემთან საკმაოდ რთული ურთიერთობა მქონდა, თუმცა, როგორც ვფიქრობ, იგი პატივისცემით მეპყრობოდა. ალბათ, იმიტომ, რომ მე ვიყავი ერთი იმ მცირერიცხოვანთა შორის, რომელიც მას ყოველთვის დაუფარავადეუბნებოდა სიმართლეს. თუმცა, ეს მის გაბრაზებას იწვევდა და ერთხელ მითხრა: „თუ ასეთი ჭკვიანი ხარ, დაჯექი ჩემს ადგილას. ნახავ, როგორ გაუძღვები საქმეს“.

## „ოჯახს ზოგჯერ ბიძაჩემი ცრემლებამდე მიჰყავდა“

**ოჯახის წევრების ურთიერთობას მეგობრულს ნამდვილად ვერ ვუწოდებდით. მე მინახავს, თუ როგორ მიუყვანიათ ბიძაჩემი ცრემლებამდე ოჯახის წევრებს — შვილებს, ცოლს. იგი ძალზე უბედური კაცი იყო. როცა სუსლოვი სუფრაზე იწყებდა ლაპარაკს, რომ მკაცრად ზრდიდა თავის შვილებს, ბიძაჩემი ეუბნებოდა: „რისი თქმა გინდა ამით მიშა, შენ? ჩემს შვილებს ხომ არ გულისხმობ? მართალი ხარ, შვილებში ნამდვილად არ გამიმართლა“.**

როცა მამაჩემმა საბოლოოდ გაწყვიტა ბრეჟნევის შვილებთან ურთიერთობა, იგი ხშირად ამბობდა ხოლმე, რომ მის ძმას ცხოვრება ვერ აეწყო.

ბრეჟნევების ოჯახის ერთადერთი წევრი, რომელიც ჩემს მიმართ კეთილმოსურნეობას იჩენდა, იყო გალინა. იგი კეთილი, მაგრამ გზააბნეული ადამიანი იყო.

მამა მთხოვდა მასთან მეცხოვრა — სტაროკონიუშენოში, სადაც მეზობლად ჰყავდა მიხეილ შოლოხოვი, თუმცა მამასთან საცხოვრებლად გადასვლაზე უარი ვთქვი. მამა და ბიძა დიდხანს ბჭობდნენ იმაზე თუ სად უნდა მეცხოვრა და ბოლოს მომცეს ოთახი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში. როცა მახსენდება მიკვირს, თუ რატომ არავის მოუვიდა თავში ჩემთვის თუნდაც ერთოთხიანი ბინის მოცემა?

თვით ქვეყნის პირველი პირები ხომ ფუფუნებაში ცხოვრობდნენ. ყველაზე მეტად გამაოცა ბუდიონის აგარაკმა, რომელსაც ეკავა უზარმაზარი ფართობი მოსკოვის მახლობლად, ბაკოვკაში. როცა სასეირნოდ შევედი აგარაკის ტერიტორიაზე, ვნახე, რომ იქ გადიოდა მდინარე თავისი ბორნით. ბორანს ახალგაზრდა ჯარისკაცი მართავდა, რომელსაც მარშლის სტუმრები მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადაჰყავდა. მახსოვს, ერთხელ ქეიფის დროს ბიძაჩემმა სიცილით მიამბო ბუდიონის გმირობის შესახებ: „სამოქალაქო ომის დროს მისი ცხენი შემთხვევით თეთრების განლაგებაში შეჯირითდა. შეშინებულმა ბუდიონმა ხმლის ქნევა ატეხა და სწორედ ამან მისცა დასაბამი მის შესახებ გავრცელებულ ლეგენდას. არადა, რომ იცოდე, ბუდიონს და ვოროშილოვს თავიანთი რამდენი ამხანაგი „ჩაუშვიათ“ დასმენებით?!“.

სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე ლეონიდ ილიჩმა მამაჩემს დაურეკა და უთხრა, რომ ძალზე დაიღალა, „რამ დაგღალა?“ — ჰკითხა მამამ. „ცხოვრებამ“, — უპასუხა ბიძაჩემმა და დაკიდა ყურმილი. რამდენიმე კვირის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

1989 წლის ზამთარში დამირეკა ერთ-ერთმა ამხანაგმა და მითხრა, რომ ამერიკის საელჩოში გასცემენ ქვეყნიდან გასამგზავრებელ ანკეტებს. მაშინ მე ვმუშაობდი საზოგადოება „ცოდნაში“ და ჟურნალში „შენი ჯანმრთელობა“. რაღაც სტატიებს ვწერდი, ზოგჯერ ვთარგმნიდი. საელჩოში გასაუბრების დროს როგორც კი შეხედეს ჩემ გვარს, მაშინვე მკითხეს: „რაო, კარგი ცხოვრება აღარ გაქვთ და გაქცევა გადაწყვიტეთ?“, მაგრამ, ბოლოს მაინც მომცეს ემიგრანტის სტატუსი. ამერიკაში ჩავედი ისე, რომ არც ენას ვფლობდი და არც მეგობრები მყავდა. პირველი ორი წელი ძალზე მიჭირდა. შემდეგ კი — შევეჩვიე. 1995 წელს იქ გამოვეცი წიგნი. მაგრამ ის, რაც გამოქვეყნებულია, გამომცემლობა „ცენტროპოლიგრაფში“, უფრო გულახდილადაა დაწერილი. თუმცა, აქაც მხოლოდ იმის ნახევარი ვთქვი, რაც ვიცი.

თავდაპირველად დავეჭვდი, ღირდა თუ არა ოჯახის საიდუმლოებების გამხელა. მაგრამ ბრეჟნევებმა მაიძულეს ამის გაკეთება. როცა მათ შეიტყვეს, რომ მოლაპარაკებას ვაწარმოებდი გამომცემლობასთან, სცადეს, რომ საზოგადოების თვალში გამოვეყვანე როგორც ვიღაც თვითმარქვია.

ჩემს ნათესავებს ფულიც კი არ მოუციათ იმისთვის, რომ ნორმალურად დამეკრძალა მამაჩემი. ყოველივე ამის შედეგად მამაჩემის ცხედარი დაწვეს. მე კი მისი გარდაცვალების შესახებ არც კი შემატყობინეს. მანამდე კი მეგონა, მამაჩემი ხანდაზმულთა სახლში იყო.

ამერიკაში ახალი ცხოვრება დავიწყე, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა.

**იგორ იზგარშევი**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

კალათბურთი

# მეორე ეტაპი უფრო რთული იქნება



**ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გრძელდება 16-წლამდელ კალათბურთელთა ევროპის პირველობა B დივიზიონში. უმაღლეს ეშელონში გადასასვლელად 16 გუნდი იბრძოდა. პირველი ჯგუფური ტურნირის შემდეგ გამოვლინდა ის რვა ნაკრები, რომელიც მეორე ეტაპზე ითამაშებს. მათ შორის ქართველებიც არიან (მთავარი მწვრთნელი ნიკო ჩერქეზიშვილი).**

უკვე გაუწყეთ, რომ ჩვენებმა ჯერ ესტონეთს სძლიეს 90:77, შემდეგ ერთი ქულით ავსტრიას – 62:61 აჯობეს. ასევე დაძაბული გამოდგა ორთაბრძოლა ნორვეგიელებთან. პირველი მეოთხედი ჩვენებმა მოიგეს (23:11), მეორეში ნორვეგიელებმა იძალეს (17:7). საფინალო სასტვენის შემდეგ კი ტაბლოზე ერთნაირი რიცხვები ენთო – 61:61. დამატებით დროში ჩერქეზიშვილის შეგირდებმა უფრო მეტი მონდომებითა და სიზუსტით ითამაშეს და მატჩიც ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს – 75:71. თავი განსაკუთრებით ბარბაქაძემ გამოიჩინა, რომელმაც 18 ქულა შესძინა გუნდს. საგულისხმოა, რომ ამ მოგებით საქართველოს ნაკრებმა მეორე ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტურში ავსტრიელებმა ესტონელები დაჯაბნეს 62:45, ხოლო ნორვეგიელებმა შვედებს დააყრევინეს ფარხმალი 60:55. სწორედ ამ ბოლო შეხვედრის ანგარიშმა დაუკარგა ინტერესი საქართველო-შვედების შეხვედრას, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე ქართველები და ალპური სახელმწიფოს წარმომადგენლები გავიდოდნენ. ამიტომაც ნიკო ჩერქეზიშვილმა ბოლო ტურში გუნდის ერთ-ერთი ლიდერი მეტრეველი დაასვენა. საერთოდაც, ბიჭებმა საკუთარი შესაძლებლობები მხოლოდ მეორე მეოთხედში გამოაჩინეს, როცა მეტოქეს 10-ის წილ 24 ქულა „აართვეს“, თუმცა ძალების ბოლომდე დახარჯვას მოერიდნენ და დამარცხდნენ 73:80 (ჩვენებს 24 ქულა შენგელიამ მოუტანა).

მეორე ეტაპზე უფრო მძიმე და ფიცხელი ორთაბრძოლები გველის: დღეს ინგლისთან, ხვალ ჩეხებთან, ზეგ კი ფინელებთან. იმედია, საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებს, ოციანების მსგავსად ნახევარფინალში გასვლა და დივიზიონის საგზურის მოპოვება არ გაუჭირდება.

**ლექსო ცინცაძე**

კრივი

# „ვერცხლის“ დებიუტი



**სტამბოლში დამთავრდა კადეტ მოკრივეთა მსოფლიო პირველობა. ამ ასპარეზობაზე ტარიელ ვერულაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს ცხრა მოკრივემ მოსინჯა ძალა და მათგან მხოლოდ ზაალ კვაჭატაძემ (52კ) მიაღწია წარმატებას. ნახევარფინალში მან ამერიკელ სამუელ დი პნაჩის 36:32 სძლია, ფინალში კი რუს ალექსანდრ ვოლკოვს დანებდა. ჭაბუკი მოკრივისთვის „ვერცხლის“ დებიუტი ურიგო არ არის.**

ნაკრების ხელმძღვანელთა თქმით, ობიექტური მსაჯობის შემთხვევაში ბრინჯაოს მედალი მაინც უნდა აელო გურამ გოგიაშვილს (60კ), მეოთხედფინალში შეხვედრისას ალბანელი მეტოქისთვის სრულიად უსამართლოდ მიუკუთვნებიათ გამარჯვება.

ევროპის ჩემპიონატის მსგავსად, მსოფლიო პირველობაზეც რუსების აშკარა უპირატესობა იგრძნობოდა. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა ცამეტიდან ცხრა ფინალში მიიღეს მონაწილეობა და შინ შვიდი ოქროს მედლით დაბრუნდნენ.

ფაქტი

# „ჯვაროსანთა“ დიდგორი

**კლაუს ტოპმიოლერი დიდგორობა დღეს გახლავთ დაბადებული. ჰოდა, ასეთი დამთხვევის არაღნიშვნა შეიძლებოდა?**

ფარერის კუნძულებზე გამგზავრების წინ კინოთეატრ „ამირანში“ ფილმ „ერთი გუნდის“ პრეზენტაცია მოეწყო, რომელშიც მისმა ავტორმა, რეჟისორმა და პროდიუსერმა სერგი გვარჯალაძემ გადამღებ ჯგუფთან ერთად საქართველოს ეროვნული ნაკრების შიდა სამზარეულოში უფრო ღრმად ჩაახედა გულშემატკივრები და ჟურნალისტები. შემოქმედებითი გაერთიანება „ულტრასტეპკომის“ თანადგომით გერმანულ-ავსტრიული შეკრების დროს შექმნილი 52-წუთიანი ფირი თვალნათლივ ადასტურებს, რომ „ჯვაროსანთა“ კრებული მართლაც ერთი მთლიანი ორგანიზმია და ბიჭები საერთო მიზნის მისაღწევად თავდადებით იბრძოლებენ.

ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**ინგლისი. სუპერთასი.** „ლივერპული“-„ჩელსი“ 2:1.

**ჰოლანდია. სუპერთასი.** „აიაქსი“ – „ეინდჰოვენი“ 3:1.

**გერმანია. I ტური.** „ბაიერნი“ – „ბორუსია“ 2:0, „მაინცი“ – „ბოხუმი“ 2:1, „შალკე“ – „აინტრახტი“ 1:1, „ლევერკუზენი“ – „ალემანია“ 3:0, „შტუტგარტი“ – „ნიურნბერგი“ 0:3, „გლადბახი“ – „კოტბუსი“ 2:0, „ჰამბურგი“ – „ბილეფელდი“ 1:1, „ჰანოვერი“ – „ვერდერი“ 2:4, „ვოლფსბურგი“ – „ჰერტა“ 0:0.

**საფრანგეთი. II ტური.** „ლორიანი“ – „ბორდო“ 0:1, „ლიონი“ – „ტულუზა“ 1:1, „მონაკო“ – „სენტ ეტიენი“ 1:2, „ნანსი“ – „სედანი“ 3:1, „ნიცა“ – „ნანტი“ 1:1, „ტრუა“ – „ლე მანი“ 2:2, „სოშო“ – „ოსერი“ 1:1, „ლილი“ – „ლანსი“ 4:0, „ვალანსიენი“ – „პსჟ“ 0:0, „მარსელი“ – „რენი“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლილი“, „ნანსი“, „ბორდო“ – 6-6 ქულა.

**რუსეთი. XVI ტური.** „სპარტაკი“ – „კრილია“ 3:2, (სტუმართაგან პირველი გოლი **დავით მუჯირმა** გაიტანა), „ლუჩი“ – „ნალჩი“ 1:0, „ცსკა“ – „დინამო“ 3:2, „როსტოვი“ – „ლოკომოტივი“ 1:2, „ამკარი“ – „რუბინი“ 0:0, „შინიკი“ – „ტორპედო“ 1:1, „ტომი“ – „ზენიტი“ 2:2, „სატურნი“ – „მოსკოვი“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი.** „სპარტაკი“, ცსკა – 31-31, „ნალჩიკი“ – 28, „ლოკომოტივი“ – 27 ქულა.



ჭადრაკი

# მხოლოდ უკრაინამ გაგვისწრო

**თურქეთის ქალაქ ალრიშმა, 16-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადას უმასპინძლა. შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებიც (გიორგი მარგველაშვილი, ლუკა პაიჭაძე, დავით ბენიძე, ლევან ბრეგვაძე, დავით ლომსაძე) მონაწილეობდა. ჩვენმა ბიჭებმა ათ ტურში 29 ქულა მოაგროვეს და საბოლოოდ ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. ჩემპიონობა 31 ქულით უკრაინის ძლიერმა ნაკრებმა მოიპოვა. 26 ქულით მესამე ადგილზე ჩინეთის პირველი ნაკრები გავიდა.**

ასპარეზობის დებულების თანახმად ცალკეულ დაფებზეც გამოვლინდნენ პრიზიორები, რომლებსაც სხვადასხვა სინჯის მცირე მედლები გადაეცათ.



ჩვენებურთაგან „ოქრო“ ხვდა ლუკა პაიჭაძეს (II დაფა), „ვერცხლი“ – დავით ლომსაძეს (V დაფა), ხოლო დავით ბენიძემ (III დაფა) „ბრინჯაო“ დაისაკუთრა.

დაფების მიხედვით, ლუკას გარდა, ოქროს მედლეით დაჯილდოვდნენ: მარტინ კრავცოვი (I, ნაზარო იარემენკო (III, ორივე – უკრაინა), ხურშად მუსტაფაევი (IV, უზბეკეთი), პეტრუს დანიელ ვან ჰუსტნია (V, სამხრეთ აფრიკა).

მძლეოსნობა

# ოქრო ოქროს ემატებოდა

**მართალია, მსოფლიოს ახალი რეკორდის – 5,2 მეტრი – დამყარება უნდოდა ცნობილ ჭოკით მხტომელს, რუსეთელ ელენა ისინბაევას, მაგრამ მხოლოდ ევროპის ჩემპიონატების რეკორდის – 4,80 მეტრი – დამყარებით და რუსული ისედაც მდიდრული ყულაბისთვის კიდევ ერთი „ოქროს“ შემატებით დაკმაყოფილდა.**



ორმა სარეკორდო მცდელობამ უამინდობის გამო უშედეგოდ ჩაიარა, თუმცა ელენას ახალი მწვრთნელი ვიტალი პეტროვი აცხადებს, რომ ისინბაევას შეუძლია 5,20-მეტრიანი სიმაღლის დაძლევა, რადგან მას უდიდესი რეზერვი გააჩნია.

გეტებორგის სარბენ თუ სახტომ ბილიკებზე პირველობისთვის უკომპრომისო ბრძოლები მიმდინარეობდა. კვირას კაცთა შორის 800 მეტრზე სირბილში ოქროს მედალი მოიპოვა ჰოლანდიელმა სომმა, მარათონში ყველა დაჯაბნა იტალიელმა ბალდინიმ, ესტაფეტაში 4X100. პირველები დიდი ბრიტანელები იყვნენ, ხოლო ესტაფეტაში 4X400 – ფინიშთან ყველაზე ადრე ფრანგები მივიდნენ. ჭოკით ხტომაში ყველა ისრაელელმა ავერმუხმა დაჯაბნა – 5,70.

ქალთა შორის 1500 მეტრზე სირბილში ყველას გაასწრო რუსეთელმა ტომაშოვამ, ესტაფეტაში 4X100 და 4X400 რუსეთელებმა იპირველეს, ყველაზე შორსაც რუსეთელი კოლჩანოვა გადახტა – 6,93 მეტრი.

ჩემპიონატზე ყველაზე მეტი მედალი – 34 – რუსეთის ნაკრებმა მოიპოვა, საიდანაც 12 „ოქროა“, სწორედ იმდენი, რაც ერთად მოიპოვეს გერმანიის, ბელორუსიის და საფრანგეთის წარმომადგენლებმა.

ევროთასები

# „მაქაბი“ – „ლივერპული“ – კიევში?

**გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ რეგიონში შექმნილი საომარი დაპირისპირებების გამო უეფას გადაწყვეტილებით ჩემპიონთა ლიგაში ხაიფის „მაქაბის“ შეხვედრა „ლივერპულთან“ ნეიტრალურ მოედანზე უნდა გაიმართოს.** ფიქრობდნენ, რომ ის კვიპროსის დედაქალაქში შედგებოდა. მაგრამ, როგორც ამ ქვეყნის უშიშროების სამსახურები იტყობინებიან, ისინი მზად არ არიან მატჩის დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, ახლა ყველაზე რეალური კანდიდატია უკრაინის დედაქალაქი კიევი. მატჩი 23 აგვისტოს უნდა გაიმართოს. ფორმალური მასპინძლებისთვის ქმედითი დახმარების აღმოჩენას აპირებს კიევის „დინამო“.

ორბიტაზე

## ფეხბურთელი პრემიერი

**საფეხბურთო ოსტატობის თვალსაჩინო გაკვეთილი ჩაატარა ბრაზილიაში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა პორტუგალიის პრემიერ-მინისტრმა ჟოზე სოკრატესმა. იგი რიო-დე-ჟანეიროს მერის მიწვევით ქალაქ მანგუეირეს ერთ-ერთ უღარიბეს რაიონში ფეხბურთის აკადემიას ეწვია და ბურთთან თვისი დამოკიდებულებით, ჟონგლიორული ოსტატობით ნამდვილად გააოცა დამხვდურნი. ეს შემთხვევითი როდია, პორტუგალიის ნაკრები ბრაზილიელი მწვრთნელის სკოლარის ხელმძღვანელოით ხომ ბოლო ხანებში დიდ წარმატებებს აღწევს.**



შეიძლება ითქვას, პორტუგალიელებს ნამდვილად გაუმართლათ ასეთი პრემიერით, რომელიც ცხოვრების ჯანსაღი წესის აქტიური მიმდევარია, რის წყალობითაც დიდი პოლიტიკოსი ისეთ სპორტულ ფორმასაც ინარჩუნებს, რასაც ბევრი მისი კოლეგა ვერც ინატრებდა.

## კარიერა სიყვარულისთვის გაწირა

**ცნობილი ფაქტია, რომ დღეს ბევრი ლამაზმანი სპორტსმენებთან, განსაკუთრებით ფეხბურთელებთან ურთიერთობას იმიტომ ეძებს, რომ როგორმე ტელევიზორში მოხვდეს. „იუვენტუსის“ მეკარის ჯანლუიჯი ბუფონის სატრფომ ალენა სერედოვამ კი სწორედ ასეთი სიყვარულისთვის მიატოვა ტელეწამყვანის კარიერა.**

ის ბოლო ხანებში ძალზე ბევრს მუშაობდა – ფოტოსესიები, მოდების ჩვენებები, ტელევიზია. ძვირფასი ჯიჯისთვის კი კატასტროფულად ცოტა დრო რჩებოდა. ამიტომაც ყველასთვის მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა. ერთ-ერთი უმსხვილესი ტელეარხის ბოსებს აცნობა, რომ წყვეტს ტელეწამყვანის კარიერას და მხოლოდ მოდელის სამუშაოთი დაკმაყოფილდება.

არა და, ამ დროს ტელევიზიის პირველი ლამაზმანის სახელისთვის ბევრი ძალ-ღონეს არ იშურებს. მიმდინარე სეზონში ტელევიზორების ეკრანიდან მთელი იტალია ბევრ რამეს შეიტყობს ისეთი ლამაზმანების შესახებ, როგორნიც არიან ელისაბედ კანალისი, ელეონორა პედრონი, ილარია დ,ამიკო, სანდრა პიჩინინი, მაგდა გომესი და ბევრი სხვა.



◉ გუშინ დაიწყო ომი

# ძახილი

## სცენარის ვარიანტი

**— ეს კვალიც გავიტანოთ და შევისვენოთ, ბიჭებო!.. — ვახომ კიტრის ბუდნას ფრთხილად შემოუთოხნა, გლერტა ბალახი ხელით შემოაცალა და ბიჭებს გახედა.**

ორნი არიან — ოთიკო და შოთიკო — ათი-თხუთმეტი წლისანი. მამას უკან მოჰყვებიან, მარჯვედ ხმარობენ თოხს.

— აი, ასეეე... — ვახომ თოხი ასწლოვან კაკლის ხეს მიაყუდა და თვითონაც იქვე ჩამოჯდა. ბიჭებმაც გამოიტანეს კვალი, მამის წინ დადგნენ. „რა სუსტი იყო შოთიკო, ამ სოფელში დაკაცდა, საცაა სკოლას დაამთავრებს... ოთიკო უფრო ჩაჯიჯგვულია, ჯანიანი, მოჭიდავის ტანი აქვს... რამდენიმე თვის იყო, ჭუბერზე რომ გადმოვდიოდით, კინაღამ გაგვეყინა გზაში".

— სანამ შენ ისვენებ, ჩვენ წავალთ და მალე მოვალ, მამა, — თანატოლების ჟრიამული ესმით და გული იქით მოუწევთ ბიჭებს.

— მიდით და მოდით, ნუ დააგვიანებთ, მოვრჩეთ დღეს ამ კიტრის თოხნა, ხვალ პამიდორია მოსაკრეფი, საბაზროდ გასამზადებელი, მალე სკოლაც დაიწყება და ფეხსაცმელები ხომ უნდა გიყიდოთ!.. დედაშენს უთხარით, ცივი წყალი მომიტანოს!..

ვახო მწვანეზე პირაღმა წამოწვა...

*   *   *



**სოხუმში ცხოვრობდა ვახტანგ ლომიძე, ხელოვანი კაცი იყო, ნიჭიერი ქორეოგრაფის სახელი ჰქონდა. ოჯახს გვიან მოეკიდა. სათნო გულის სწორი შეირთო ცოლად და ცხოვრობდნენ სიამტკბილობით, ორ ვაჟიშვილს უზრდიდნენ ქვეყანას.**

ფერადი ოცნებები აფხაზეთის ტრაგედიამ თავდაყირა დააყენა, თითისტოლა ვაჟიშვილებატატებულებმა ძლივს გამოასწრეს მტრის ტყვიას ალმოდებული სოხუმიდან...

... ერთ დღესაც წყალტუბოში ვილაც მაღალ-მაღალი კაცი გაეცნო, თქვენთან მიმასწავლეს, წესიერ, ნორმალურ ოჯახს ვეძებ, რომ სოფელში მამაპაპური სახლ-კარი ჩავაბაროო, თბილისიდან ველარ ვაქცევ ყურადღებას აქაურობას, არადა, გაუქარცვავთ, წაუღიათ რაღაცეები და გულზე შემომეყარა, თუ იცხოვრებთ დროებით, თქვენც ისარგებლეთ და მეც ცოტა მშვიდად ვიქნებიო.

ვახტანგს ბევრი აღარ უფიქრია, ქუთაისის გარეუბანია, ბავშვები იზრდებიან, უკეთს ადგილს სად ვიშოვიო. ასე შეემატნენ სოფელს სოხუმელი დევნილები... ჰოდა, ცხოვრობენ, შრომობენ ისინი აქ სიცხიანში, წვიმიანში, ქარიანში. რაცა აქვთ, იმას სჯერდებიან, თითქოს შეეთვისენ აქაურებს, ჭირსა და ლხინს მეზობლებთან ერთად იყოფენ, ბიჭები სოფლის სკოლაში დადიან...

— სადაური ხართ, თქვენ, ბიჭებო? — ეტყვიან ხოლმე გამომცდელად აქაურები.

— სოხუმელები!.. — თვალებში სევდა უდგებათ ბიჭებს, სოხუმი აბა საიდან ახსოვთ, ერთიციცქნები იყვნენ მაშინ...

თუმცა, მაინც ჯიუტად, თუმცა, მაინც დაჟინებით: **სოხუმელები ვართ!..**

*   *   *

**— რას შვები, ჩაგეძინა, კაცო?! — ლეილამ სურით ცივი წყალი მოიტანა.**

— არა, ჩემთვის ვფიქრობდი რაღაცეებს, — ვახო წამოჯდა, ჭიქაში წყალი დაისხა.

— იყვნენ ბიჭები... ითამაშონ ბავშვებთან... ცოდვები არიან, მე მოგეხმარები, მოვრჩი უკვე სადილის კეთება.

და, მხარდამხარ მიჰყვება კიტრის კვალს დევნილი ცოლ-ქმარი.

ოდა-სახლის „ქუხნაში" სუფრაა გაშლილი, მაგიდას შემოსხდომია ვახტანგ ლომიძის ოჯახი, ჩუმად ვახშმობენ, ტელევიზორში „მოამბეა". აი, სარეკლამო კლიპიც: **„სოხუმი ჩვენი სახლია"**, რიგრიგობით ისმის ეკრანიდან ოთიკოსა და შოთიკოს ტოლი ბიჭების, სოხუმელ დევნილთა შვილების ხმები. **„სოხუმი ჩვენი სახლია, საქართველო ჩვენი სამშობლოა!"** მთელი ქვეყნის, მტერ-მოყვარის გასაგონად იძახიან ბიჭები.

ოთიკოსა და შოთიკოს სახე უნათდებათ.

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ ელამი სარკე

**ადრე თბილისში, ყველა დამერწმუნება, ერთი კუკარაჩა იყო, ერთი მურტალო და ერთი ზნეობა. ამ რევოლუციებმა ყველაფერი აურ-დაურია. ახლა შეიძლება, ვერის აღმართზე მიმავალს, კუკარაჩა შეგეჩეხოს და შენ შეცდომით ძალოვანი მინისტრი გეგონოს, ანდა, მინისტრის ფორმა ეცვას და სინამდვილეში მურტალო აღმოჩნდეს. თანაც მარტო ერთი მურტალო და ერთი კუკარაჩა ხომ აღარ არის!**

**დიდი სიფრთხილეა საჭირო, დიდი. არამც და არამც ისინი ერთმანეთში არ უნდა აგერიოს, თორემ შეიძლება პერმანენტული მუცლის ბუყბუყი და ნაწლავების გადახლართვაც კი დაგემართოს.**

# დააგვიანა

მე პირადად, მაგალითად, გაკვირვებული დავრჩი, როცა ამ ორიოდე კვირის წინათ ვაკეში, ქობულეთის აღმართზე, შემთხვევით კუკარაჩას გადავაწყდი. რა უნდა კუკარაჩას ვაკეში, გავიფიქრე ჩემთვის, როცა მურტალო ვერის რომელიღაც მივარდნილ ქუჩაზე ცხოვრობს? აზრის დამთავრებაც ვერ მოვასწარი, რომ ვარდისფერ ჰალსტუხში გამოპრანჭულმა კუკარაჩამ, რომელსაც მოზრდილი ჩანთა ეჭირა, პროფესორ ლერი გომარელის კარს მიაკაკუნა.

— მობრძანდით, ბატონო კუკარაჩა, მობრძანდით, — შეეგება მასპინძელი.

— ოჰ, რა კარგია, ბატონო პროფესორო, რომ შინ დაგხვდით და არა უნივერსიტეტის ბაღში, მჯდომარე აქციაზე, — შვებით ამოისუნთქა კუკარაჩამ და ხელჩანთიდან მოზრდილი წიგნების, კანონთა კრებულების და სამთავრობო დადგენილებების მთელი დასტა ამოალაგა.

— ეგ რა წიგნებია? — თვალები გაუფართოვდა პროფესორს.

— ისეთი არაფერი, — თქვა ნაცვით პოლიციელმა, — ისე, მართალი ბრძანდებით, ამდენი რამ ერთად არ უნდა ამომეწყო — ხომ არ შეგეშინდათ?

— ოჰ, არა, ბატონო. მე არა, მაგრამ თქვენ ხომ არ შეგეშინდათ?

— მე რისი უნდა შემშინებოდა? — გულუბრყვილოდ გაეღიმა კუკარაჩას.

— როგორ თუ რისი, მე ხომ ხულიგანი ვარ, თანაც წვრილმანი ხულიგანი.

— წვრილმანი რომ ხართ, სწორედ მაგიტომ არ მეშინია, — იხუმრასავით პოლიციელმა, — აი, მსხვილმანი ხულიგანი რომ იყოთ, ცოტა სხვა მანძილიდან დაგიწყებდით ლაპარაკს.

— ნეტა ვიყო, — ინატრა პროფესორმა, — მაშინ ვილაცა მეცნიერად თუ არა, კაცად მაინც ჩამთვლიდა. ახლა კი თავი სად უნდა გამოვყო, წვრილმანმა ხულიგანმა პროფესორმა, რომელიც გაასამართლეს და 100 მანეთით დააჯარიმეს!

— ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, ბატონო პროფესორო, მაგრამ საუბედუროდ, მე არ შემიძლია წვრილმანი ხულიგნობა მსხვილმანით შეგიცვალოთ.



— მადლობთ თანაგრძნობისთვის, ბატონო კუკარაჩა, მე ვერასოდეს გადავიხდი თქვენს სიკეთეს, მაგრამ შეიძლება ერთი შეკითხვა დაგისვათ?

— ბრძანეთ, ბატონო, მე აქ სწორედ ასეთი საალმზრდელო-დიდაქტიკური საუბრისთვის ვარ მოსული. მესმის, რომ ასეთ საკითხებზე პროფესორთან ლაპარაკი ძნელია, მაგრამ სხვა გამოსავალი არა მაქვს. წარმოიდგინეთ, თქვენგან რომ გავალ, ამ საღამოს სამ პროფესორს კიდევ უნდა შევხვდე წვრილმან ხულიგნობასთან დაკავშირებით.

— რატომ იწუხებთ თავს, ბატონო, თქვენ შეგიძლიათ საღამოობით უნივერსიტეტის ბაღში ყველა პროფესორი ერთდროულად ნახოთ.

— არა, ერთად ლაპარაკი არ ივარგებს, მით უფრო პროფესორებთან, როცა ბაღში მთავრობის საწინააღმდეგო აზრებს აფრქვევენ.

— მთავრობის კი არა, მეცნიერების მოძულეთა საწინააღმდეგო აზრებს, — შეუსწორა პროფესორმა, — ჰო მართლა, მინდოდა მეკითხა, მარტო პროფესორებთან მუშაობთ თუ სტუდენტებთანაც?

— მარტო პროფესორებთან, სტუდენტები ამჟერად შრომითს სემესტრში არიან ჩაბმული და სახულიგნოდ არ სცალიათ.

— თუ საიდუმლო არ არის, ბატონო კუკარაჩა, ამდენი წიგნები რისთვის გჭირდებათ?

— ხულიგნური გამოვლინებების მეცნიერული წყაროების შესასწავლად.

— ნუთუ ხულიგნობასაც მოეძევება მეცნიერული წყაროები?

— თქვენ წარმოიდგინეთ, რომ კი. მე, მაგალითად, ძალიან დამაინტერესა კანტის ერთმა ნაშრომმა, სადაც ის აღიარებს საგნების დამოუკიდებლად არსებობას და არც აღიარებს. მე ამაში მეცნიერული ორჭოფობის, შეიძლება ითქვას, მეცნიერული ხულიგნობის ნიშანს მივაგენი.

— შორს წასულხართ, ბატონო კუკარაჩა, ფილოსოფიაში, კანტი რთული მეცნიერია, მაგრამ არა ისეთი გაუგებარი, როგორც ჩვენი მინისტრი ლომაია.

— თქვენ ლომაიას კანტს ადარებთ, ბატონო?

— არა, რა თქმა უნდა, კანტი თავის დროზე მეცნიერებას ავითარებდა, ლომაია კი ანგრევს.

— მაინც რა დაანგრია?

— ყველაფერი, რაც კი დასანგრევი იყო.

— რატომ? — გაიკვირვა კუკარაჩამ, — ნეტა რექტორი ხომ ადგილზეა?

— რექტორი კი, მაგრამ თავად ქართული უნივერსიტეტი გადავიდა.

— სად, ბატონო პროფესორო?

— სადღაც შორს, მასაჩუსეტსის შტატში.

ამ საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ კუკარაჩას აცნობეს, რომ პროფესორი ლერი გომარელი მსხვილმანი ხულიგნობისთვის დააპატიმრეს.

— აი, ხომ ვამბობდი, პროფესორ ხულიგნებთან გაცილებით ძნელია მუშაობა, ვიდრე ჩვეულებრივ ხულიგნებთან, — თქვა დანაღვლიანებულმა კუკარაჩამ. დავაგვიანე, ნამდვილად დავაგვიანე, ეტყობა, პროფესორი წვრილმან ხულიგნობას ვერა და ვერ შეეგუა და მსხვილმანზე გადავიდა — რექტორს პირდაპირ ყბაში ხეთქა.

**ოთარ ხუციშვილი**

◉ მედიცინის სიახლენი

## გულის ხელახალი დატვირთვა



**მუცელში მოკალათებული გული ქირურგებმა მკერდში დააბრუნეს, თავის ადგილზე. ეს სასწაული ჩინურ ქალაქში, ჩუნცინში მოხდა, სინციაოს ჰოსპიტალში. ანომალია, რომლითაც ლიუ სინი დაიბადა (ასე ჰქვია ექვსი თვის პაციენტსძ, 7 მილიონი ახალშობილიდან ერთთან გვხვდება.**

— გული ძალიან შორს იყო ბუნებრივი ადგილმდებარეობიდან და ნორმალურად მუშაობას ვერ შესძლებდა, — ამბობს კარდიოლოგი სიაო ინბინი, — სიცოცხლის ნახევარი წლის მანძილზე ის ოთხჯერ გაჩერდა.

ჩინელი ექიმების აზრით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, თუმცა შორეული პროგნოზებისაგან თავს იკავებენ; და მაინც, რუსეთელი ექსპერტების შეფასებით, ჩინელ ქირურგებს თამამად შეუძლიათ პირველგამკვლევთა დაფნის გვირგვინის პრეცენდენტობა — აქამდე ხომ ასეთი ოპერაციები არავის გაუკეთებია.

საქმე ისაა, რომ მუცელში გულის „მოხვედრა" სიცოცხლესთან შეუთავსებელია და იმისი დაბრუნების ოპერაცია წარმოუდგენლად რთულია. საჭიროა სხვა მიმართულებით აორტისა და ფილტვის არტერიის ხელახლა განლაგება, ეს კი თითქმის ცირკული ტრიუკია. ასე რომ, ჩინელები კვლავ წინ მიიწევენ მედიცინაშიც.

## ვირუსული ჩასაფრება



**ადამიანის ორგანიზმში მიგნებულია ადგილი, სადაც შიდსის ვირუსი წამლების მოქმედებას ემალება. ამრიგად, კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს მიზეზი, რომლის გამოც ვერც ერთი პრეპარატი ვერ ახერხებს შიდსის ვირუსის დამარცხებას. გამოირკვა, რომ ის შეფასებულია განა სადმე გადაკარგულში, არამედ კუჭ-ნაწლავის ლორწოვან გარსში.**

საქმე ის არის, რომ კუჭ-ნაწლავში იმყოფება მთელი ორგანიზმის იმუნური სისტემის უჯრედების 70 პროცენტამდე. კალიფორნიელების აზრით, შიდსის ვირუსს ინკუბაციური პერიოდის შემდეგ ამ უჯრედების მასობრივი დაღუპვის გამოწვევა შეუძლია. ჰოდა, კუჭ-ნაწლავი, სადაც იმუნური სისტემის უჯრედები არ არის, ვირუსისათვის კარგი თავშესაფარი ხდება; ხოლო ვირუსი თუ ვერ შეიქმნის ასეთ ზონას, იმუნიტეტისგან თავისუფალს, ავადმყოფს აქვს დიდხანს სიცოცხლის შანსი.

ვირუსსა და ორგანიზმს შორის რეალური ბრძოლა კუჭ-ნაწლავში იწყება თითქმის დასნებოვნებისთანავე. ვირუსმა თუ ლორწოვანის ანთების პროვოცირება მოახერხა, ცუდადაა საქმე. ასეთ პაციენტებთან კუჭ-ნაწლავი ვირუსის რეზერვუარს წარმოადგენს, მისი სრული განადგურების ხელშემშლელს.

კალიფორნიელ სწავლულთა დასკვნა საკმაოდ მარტივია: საჭმლის მომნელებელ ტრაქტში საჭიროა ყველა ანთების დროულად მკურნალობა. კიდევ ერთი ვარიანტი — აგრესიული თერაპიის დაწყება რაც შეიძლება ადრე, კუჭ-ნაწლავზე ვირუსის შეტევის ასაცილებლად.

## გახდომისას ფრთხილად!

**შეიქმნა გასუქების საწინააღმდეგო ვაქცინა. სკეპტიკოსები ირწმუნებიან, რომ ის თვით გასუქებაზე სახიფათოა. ვაქცინის მოქმედება მიმართულია გრელინის საპირისპიროდ — შიმშილის გრძნობის გამოჩენისათვის პასუხისმგებელი ჰორმონისა.**

მსოფლიოში მილიარდამდე კაცია ზედმეტი წონით შეწუხებული. იმათგან გახდომის მოსურნეთა მხოლოდ 5 პროცენტი აღწევს მიზანს. სიძნელე ისაა, რომ ძანცგამომცლელი დიეტების შემდეგ ორგანიზმში გრელინის დონე მნიშვნელოვნად მაღლდება და ადამიანი ისევ იწყებს ბევრის ჭამას, რითაც წყალში ყრის მიღწეულ შედეგებს.



სკრიპსის ინსტიტუტის (აშშძ მკვლევარებმა ვაქცინა ჯერჯერობით ვირთხებზე გამოსცადეს. ის გრელინის მოქმედების მაბლოკირებელი ანტისხეულების წარმოქმნას იწვევს. ვაქცინირებული ცხოველები მართლაც შესამჩნევად ნაკლებად მატულობენ წონაში, ვიდრე არავაქცინირებულნი — ერთნაირი რაციონის მიუხედავად. იმედოვნებენ, რომ ადრე თუ გვიან ადამიანისათვის მისაღებ ვაქცინასაც შექმნიან.

გასუქების საწინააღმდეგო ვაქცინის შემუშავების იდეას ერთობ ცივად მოეკიდნენ ლონდონში. ანტისხეულების ტექნოლოგია ყოველთვის ძნელი სამართავია, — აცხადებენ იქაური ექსპერტები. — რამე რომ ისე არ გამოვიდეს, ანტისხეულების მოშორება შეუძლებელი გახდება. ჰოდა, რაკი გრელინი მუდამ არის თავის ტვინში, ჩნდება თვით ტვინის საზიანოდ იმუნური პასუხის გაშვების რისკი.

**შპს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი" ქ. თბილისი, ს. კედიას ქ. №7**

**აცხადებს კონკურსს ცენტრის ბალანსზე რიცხული ფართის: I სართული 85,7 კვმ. II სართული 84,22 კვმ., III სართული 146,5 კვმ. (სულ — 316.42 კვმ.ძ**

საწყისი საკონკურსო ღირებულებაა 3 აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარებში დღგ-ს გარეშე.

ცენტრის პრივატიზების შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად.

ობიექტის იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები:

1. საიჯარო ვადა განისაზღვროს არა უმეტეს 10 წლით;

2. მოიჯარემ დროულად დაფაროს წყლის, ელექტროენერგიისა და დასუფთავების გადასახადები (თანხა არ შედის საიჯარო გადასახადებშიძ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება იწარმოებს გაზეთში გამოცხადების დღიდან ბოლო 15 კალენდარული დღის განმავლობაში. კონკურსი გაიმართება შპს „შეზღუდული პასუხისმგებლობლის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის" შენობაში 2006 წლის 30 აგვისტოს — ქ. თბილისი, ს. კედიას ქ. №7, ოთახი 20. ტელ. 34-80-47.

## რა მოვუხერხოთ თამბაქოს მწევლებს?



| | |
|---|---|
| შევქმნათ სპეციალური ადგილები თამბაქოს მოსაწევად | – 40 პროცენტი. |
| დავაჯილდოვოთ პრემიით, თუ ხელს აიღებს ამ მავნე ჩვევაზე | – 27 პროცენტი. |
| დაე, მოწიონ მათ თამბაქო, თუ ეს სურთ | – 22 პროცენტი. |
| შევუმციროთ ხელფასი | – 11 პროცენტი. |

გამოკითხვაში მონაწილეობდა 537 კაცი.

## მკითხველთა დასახმარებლად

**„... გადავიტანე ორი ინფარქტი. მეუბნებიან, რომ შეიძლება მესამედაც დამემართოს. მოვსინჯე ყველაფერი. მეზობლებმა სადღაც იშოვეს „ელასტიდ-7მ“. ტელეფონის ნომერი კი დაკარგეს. თუ შეიძლება, შემატყობინეთ, სად შეიძლება მისი ყიდვა“.**

**გიორგი ლიპარიშვილი,**
**კასპი**

სპეციალისტის კომენტარი: „ელასტიდ-7მ“ პრეპარატი ხელს უწყობს გვირგვინოვანი სისხლძარღვების მუშაობის სტაბილიზაციას და კიდურებისა და თავის ტვინის სისხლძარღვთა მიკროცირკულაციის გაუმჯობესებას. ეს მნიშვნელოვანი მომენტია ინფარქტისა და ინსულტის წარმოქმნის რისკის შემცირებისას. პრეპარატს საფუძვლად უდევს ნატურალური წარმოშობის კომპონენტები. უკუჩვენება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიიღებს მას ესა თუ ის ორგანიზმი. უფრო სრული ინფორმაციის მიღება შეიძლება სპეციალისტებისგან, თუ დაუკავშირდებით მათ მოსკოვში შემდეგი ტელეფონით: 744-67-34.

## ანეკდოტები

**– სადა ხარ, ჩემო ფისუნია, სად მემალები? გამოჩნდი! – ოთახიდან ოთახში დადის ქმარი.**
**– აქა ვარ, საყვარელო, – სამზარეულოდან უპასუხებს გულაჩუყებული ცოლი.**
**– გაჩუმდი, შენ ვის რაში სჭირდები, კატას ვეძებ!**

* * *

**ახალმა რუსმა ხელი მოიტეხა.**
**– აბა, რა ვქნათ, ჩემო კეთილო, თაბაშირის დადება მოგვიწევს, – ეუბნება ექიმი.**
**– რად გვინდა, ძმაო, თაბაშირი, მარმარილო დავადოთ, გადავიხდი!**

* * *

**ორი ზოოლოგი საუბრობს:**
**– იცი, ავსტრალიაში კენგურუ და კოალა შეუჯვარებიათ.**
**– მერე?**
**– რა მერე, საბრალო ცხოველს გადახტომისას დასძინებია და დამტვრეულა.**

* * *

**– რა სჯობს, ფანტა თუ ლუდი?**
**– რა თქმა უნდა, ლუდი, აბა, სინჯე და დალიე ერთ საღამოს ხუთი ლიტრი ფანტა.**



* * *

**– სვამ? – ეკითხება მიხოს საცოლე.**
**– არა.**
**– ეწევი?**
**– არა.**
**– აზარტული თამაშები გიყვარს?**
**– არა.**
**– ესე იგი, თითქმის უნაკლო ხარ?**
**– ერთი ნაკლი მაქვს – ტყუილი მიყვარს.**

* * *

**ღმერთო, რად არის სულელებში ასე ცოტა ზარმაცი?**

* * *

**კვირაში არის ხუთი ცუდი დღე, როდესაც არ მუშაობენ პროგრამები, და ორი კარგი დღე, როდესაც არ მუშაობენ პროგრამისტები.**

## ლარის კურსი

**15 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3232 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7580 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2388 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,06560 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9838 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,44164 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5155 ლარი. |

## დარია თუ ავდარია

# ამინდი 15 აგვისტოს



**დასავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +31⁰ – +39⁰, ღამით +15⁰ – +29⁰.

**აღმოსავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +32⁰ – +39⁰, ღამით +26⁰ – +28⁰.

**თბილისში** – მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით +29⁰, დღისით +41⁰.

**ბათუმი** – ღ. +21⁰, დ. +35⁰; **სოხუმი** – ღ. +26⁰, დ. +39⁰; **ქუთაისი** – ღ. +27⁰, დ. +40⁰, **ოზურგეთი** – ღ. +26⁰, დ. +39⁰, **ზესტაფონი** – ღ. +28⁰, დ. +39⁰; **რუსთავი** – ღ. +29⁰, დ. +41⁰, **ფოთი** – ღ. +26⁰, დ. +39⁰; **მესტია** – ღ. +14⁰, დ. +21⁰; **სტეფანწმინდა** – ღ. +15⁰, დ. +20⁰; **თელავი** – ღ. +28⁰, დ. +39⁰; **გორი** – ღ. +26⁰, დ. +38⁰; **ახალციხე** – ღ. +16⁰ დ. +26⁰; **ბორჯომი** – ღ. +23⁰, დ. +37⁰; **ცხინვალი** – ღ. +19⁰, დ. +33⁰; **სამტრედია** – ღ. +27⁰, დ. +39⁰; **ზუგდიდი** – ღ. +29⁰, დ. +38⁰; **ჭიათურა** – ღ. +23⁰, დ. +35⁰.

## იურმალას ექო

# ბალტიის ზღვის მეკობრეები

**ვინ ბატონობს მოდას? XXI საუკუნეში ახალგაზრდებს იტაცებს იმგვარი აქსესუარები, რასაც მათი კერპები ატარებენ. არც წლევანდელი შემოდგომა იქნება გამონაკლისი. ამას ხელი იურმალაში ჩატარებულმა ფესტივალმა შეუწყო. თითქოსდა გამადიდებელი შუშით დასდევდნენ მომღერლებსა და ცნობილ პიროვნებებს თაყვანისმცემლები. აინტერესებდათ, ვის როგორი პარიკი და ქუდი ეხურა, ვის როგორი საყურე ეკეთა, ვინ როგორ მედალიონსა და ყელსაბამს ატარებდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ვის როგორი სვირინგით ჰქონდა ტანი მოხატული.**



ქრისტინა ორბაკაიტე



ვალერია

მართლაც ბუნებრივია, ოღონდ თავად მომღერალს არ ეკუთვნის. „მეკობრის ლეონტიევისებური ბენდენა“ უკვე გამოჩნდა მოსკოვის მაღაზიებში. თავად ლეონტიევმა ათას დოლარზე მეტი გადაიხადა ამ თავსაბურავში.

* * *



ვალერი ლეონტიევი



„ბლესტიაშჩიე“

**ვალერი ლეონტიევის თაყვანისმცემლები მართლაც გაოგნებული დარჩნენ თავიანთი კერპის ხილვით. ცნობილ „კაზანოვას“ დაშნა, რომით სავსე ბოთლი და დამბაჩაღა აკლდა, თორემ ნამდვილ მეკობრეს წააგავდა.** აჭრელებული ბენდენიდან (თავსაბურავიძ აფრიკული სტილის ლოკონები ეშვებოდა მხრებზე, რომლებშიც ათასგვარი პაწაწკინტელა ნივთი ჩაექსოვა. საერთოდ რუსეთის სახალხო არტისტი მეტად გამომწვევი და თამამი სამოსით იწონებს თავს. ყელსაბამები, სამაჯურები, მედალიონები, უცნაური ქამრის ბალთები, ბეჭდები, საყურეები მისი ყოველდღიური ალკაზმულობის ელემენტებია. ყველასთვის ცნობილია, რომ ვალერი არასოდეს ატარებს ოქროულობას. იგი უპირატესობას ანიჭებს ვერცხლს, რკინას, სპილოს ძვალს. რაც შეეხება „იურმალურ“ ლოკონებს, იგი ტოებს და იაპონელ გეიშებს შემორჩათ.

**კვარტეტი „ბლესტიაშჩიე“ თავისი ექსტრავაგანტულობით უკვე დიდი ხანია იზიდავს თაყვანისმცემლებს.** გამომწვევი ჩაცმულობით, მშვენიერი აღნაგობით, ზესექსუალური მანერებით აჯადოებენ ნებისმიერი ასაკის მამაკაცებს. რაც შეეხება მეკობრულ თემას, იურმალაში ისინი ყელზე ჩამოკიდებული თავის ძალებით გამოცხადდნენ.

* * *

**მარაოები, თუ თბილისელებს არ ჩავთვლით ამ პაპანაქებაში, მხოლოდ თეატრების სარეკვიზი-**

**ტოებს და იაპონელ გეიშებს შემორჩათ.** გამონაკლისი გახლდათ ესტრადის ლეგენდა, უბერებელი ალა პუგაჩოვა. იგი ფესტივალზე ულამაზესი მარაოთი გამოცხადდა. ცისფერი ნაჭრით გაწყობილი მარაო ვერცხლის ძაფებით იყო ნაქარგი. პრიმამომღერალს მარაოს ფასიც კი დასტყუეს – დაახლოებით ხუთას დოლარზე მეტი. ჟურნალისტები მაინც გაკენწლა ალა ბორისოვნამ – რა გაგიკვირდათ, აბა კარლსონივით პროპელერით ხომ არ ვივლიო.

* * *

**რაც შეეხება სხვა ვარსკვლავებს, ისინიც არანაკლებად ჰგავდნენ მეკობრეებს.** მაგალითად, **ქრისტინა ორბაკაიტე** შავი უზარმაზარი ქამრით იწონებდა თავს. **სოფია როტარუმ** თინეიჯერებს წაბაძა – ვიწრო ტყავის ქამარს ოქროს გულის ფორმის ბალთა უმშვენებდა. **ჟანა ფრისკე** ყვითელი მოკლე ტუნიკით გამოცხადდა. მასზე ყავისფერი აღმოსავლური ორნამენტებით მოქარგული ტყავის ქამარი ეკეთა. **ლაიმა ვაიკულე** მოტომრბოლელის უზარმაზარი სათვალით წარსდგა თაყვანისმცემლების წინაშე.

მოკლედ, ყველა ვარსკვლავი არაფრით ჩამოუვარდებოდა მეკობრეებს. ამიტომაც მათ „ბალტიის ზღვის მეკობრეები“ შეარქვეს.

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ



ჟანა ფრისკე



სოფია როტარუ



ლაიმა ვაიკულე

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ოთარ ხუციშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.